კვირის პალიტრა

ალმოაჩინე ყოველი კვირა

WWW.KVIRISPALITRA.GE

№33 (1202) ◆ 14 - 20 აგვისტო, 2017 წ. ◆ ფასი 1,5 ლარი

„საქართველოში ე.წ. ელიტური ნარკობარიგების კასტა მოძღვიერდა!“



მამუკა არეშიძე: „ახლობელმა მითხრა, თავი ანაკლიაში კი არა, კოლუმბიაში მეგონაო. ყველამ იცოდა, რომ ფესტივალზე რამდენიმე პირს ჩანთა ნარკოტიკებით ჰქონდა სავსე და ყიდდა. რეაგირებაზე კი არავის უფიქრია, სანამ 23 წლის გოგონას გარდაცვალება არ გახმაურდა“

„კლუბებში ბარმენები და მიმტანები ყიდიან ნარკოტიკებს, თუმცა, მათ არავინ ეხება, რადგან კლუბების მეპატრონეები ავტორიტეტული ფიგურები არიან, რომლებსაც, თავის მხრივ, პოლიტიკურ წრეებზე აქვთ გავლენა“

გვ.6,7

მოდის მასწავლებელი, ვაშლით გამხარებელი

ლადო პაპავა: „სკოლებში უამრავი პრობლემაა, განათლებისთვის გამოყოფილი თანხა რატომ უნდა დაიხარჯოს იმ საეჭვო პროექტზე, რომელზეც თავად მინისტრსაც კი ეცინება?“

გვ.6,7

„კვირის პალიტრის“ ამ ნომერთან ერთად!

საქართველოს კულინარიული ატლასი

ტომი V

წიგნის სპეციალური ფასი 13.50₾

გაზეთთან ერთად 15.00₾

8-ტომეული

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის

იკითხეთ პრესის გამავრცელებლებთან

„ეროვნულ ბანკს ეროვნული ვალუტა ეროვნულ ეკონომიკას ეროვნულ ეკონომიკურ ზრდას ეროვნულ ეკონომიკურ ზრდა ეროვნულ ეკონომიკურ ზრდა ეროვნულ ეკონომიკურ ზრდა“

„დიდია საფრთხე, რომ ვიღაცას ნერვებმა უმტყუნოს და ბირთვული ტრაგედია მივიღოთ“

გვ.2,3

„ბატონო ელჩო, ექვსი დღეა, რაც ცოხე დავტოვე“

რა კავშირია ყოფილ პატიმარსა და ამერიკის ელჩ იან კელის შორის

გვ.5

რაზე ისაუბრეს ბუბა კიკაბიძემ და ილჰამ ალიევის ქალიშვილმა



გვ.16

თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

კვირის თემა

„ დიდია საფრთხე, რომ ვიღაცას ნერვებმა

საქართველო-რუსეთის ომის მეცხრე წლისთავზე რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის სოხუმში ჩასვლას და მის განცხადებებს ქართველი თუ უცხოელი ექსპერტების დიდი ნაწილი აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ მაიკ პენსის თბილისური ვიზიტის საპასუხო ნაბიჯად მიიჩნევს. მიუხედავად მსოფლიოში მიმდინარე ურთულესი პროცესებისა, ფაქტია, აშშ-ისა და რუსეთის დაპირისპირების ხაზი სამხრეთ კავკასიაზეც გადის და ოფიციალური ვაშინგტონიც და მოსკოვიც საკუთარი ინტერესების მონიშვნას ცდილობენ. გვესაუბრება ექსპერტი გია ხუხაშვილი:

„ხელისუფლებამ ძალიან დაბეჯითებით უნდა აგვიხსნას, რა ხდება, ნარკობარიგები ციხეში უნდა ვნახოთ! უნდა ვნახოთ, რომ ამ ბოროტების სათავეს სერიოზული პრობლემები შეექმნება“

— ეს ყველაფერი უნდა განვიხილოთ არა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის, არამედ იმ პროცესების კონტექსტში, რაც სამყაროში დღეს მიმდინარეობს. აშშ-სა და რუსეთს შორის გლობალური დაპირისპირება სახიფათო ზღვარს აღწევს და ამას აქვს თავისი განვითარების ლოგიკა.

დაწესებული სანქციებით აშშ-მა რუსეთს, ფაქტობრივად, სრულმასშტაბიანი სავაჭრო ომი გამოუცხადა. აშკარაა, რომ ამ დაპირისპირებაში დღეს მიმდინარეობს პირობითი ფრონტის ხაზის გატარება სხვადასხვა მიმართულებით და, როგორც წესი, ე. წ. ფრონტის ხაზის გატარება საკუთარი აქტივების ინვენტარიზაციით იწყება.

აშშ-ისთვის პოსტსაბჭოთა სივრცეში ამგვარი აქტივია ბალტიისპირეთის სახელმწიფოები, უკრაინა, პოლონეთი, საქართველო. შესაბამისად, ამერიკული პოლიტიკა სწორედ ამ არეალში აქტიურობს. პენსის ტურნეც ამ გეოგრაფიული სქემით იყო დალაგებული.

რუსეთისთვის ამგვარი აქტივებია: ბელორუსია, სადაც დაგეგმილია ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები, და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სეპარატისტული რეგიონები: დონბასი, დნესტრისპირეთი და საქართველოს ორი რეგიონი, ასევე სომხეთი, რომლის მიმართულებითაც ბოლო დროს კრემლი გააქტიურდა. ამ თვალსაზრისით, ბალკანეთი გარკვეულწილად რუხი ზონაა, სადაც ჯერ ყველაფერი არ არის გარკვეული.

მოკლედ, შეიძლება ვთქვათ, რომ

მიმდინარეობს ამ ორი ზესახელმწიფოს აქტივების ინვენტარიზაცია, რაც საბოლოო ჯამში ან მოლაპარაკების მაგიდაზე დაიდება, ან კიდევ უფრო მწვავე დაპირისპირების მოწმენი გავხდებით.

აქედან გამომდინარე, პუტინის აფხაზეთში ჩასვლა იყო გზავნილი არა ჩვენთვის, არამედ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. პუტინმა აჩვენა, რომ ამერიკის აქტიურობას სამხრეთ კავკასიაში აუცილებლად მოჰყვება კონტრნაბიჯები. რა თქმა უნდა, ჩვენთვისაც იყო მინიშნება, მაგრამ მისი განცხადებების მთავარი ადრესატები ჩვენ არ ვყოფილვართ — ოფიციალური ვაშინგტონი იყო.

— დღეს მსოფლიოში არაერთი კონფლიქტის კერაა. უკიდურესად არის დაძაბული ვითარება კორეის ნახევარკუნძულზე, არანაკლებ მწვავე მდგომარეობაა ახლო აღმოსავლეთში, გრძელდება კონფლიქტი უკრაინაში, მაგრამ გამოდის, რომ ჩვენი რეგიონის მნიშვნელობა დიდი პოლიტიკის დაფაზე არ იკლებს.

— გეთანხმებით, ზესახელმწიფოებს თითქოს არ უნდა ეცალოთ ჩვენთვის, მაგრამ გლობალური დაპირისპირება ზუსტად იმას ნიშნავს, რომ ყველა მიმართულებით ხდება რესურსების მობილიზება. პროცესები როგორ განვითარდება, ძნელი სათქმელია, რადგან დღეს ვითარება სამყაროში ძალიან მყიფეა.

განსაკუთრებით გააქტიურებულია ჩრდილო კორეის პრობლემატიკა. იმდენად დიდია დაძაბულობა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ სამხრეთ კორეაში ხალხმა მშრალი საკვების მომარაგება დაიწყო. მოკლედ, ომის მოლოდინი ძალიან მაღალია.

თითქმის ყოველდღიურად ორმხრივად გვესმის ძალიან რადიკალური, სახიფათო რიტორიკა. ამას ჩრდილო კორეის რეჟიმისგან თითქოს შეჩვეული ვართ, მაგრამ უკვე იმავე ტონის განცხადებები გვესმის ამერიკისგანაც, რაც უარესის მოლოდინს ამძაფრებს. იმედია, ეს ყველაფერი დიდ ომში არ გადაიზრდება.

არ არის გამორიცხული, შეერთებული შტატების პრეზიდენტი ამ რიტორიკით ცდილობდეს, გადაფაროს პრობლემები შიდა პოლიტიკაში, ანუ კორეის თემის აქტუალურობა სჭირდება, რათა მასზე მიტანილი შეტევა რუსეთთან კავშირის თაობაზე დროებით მაინც გადაიტანოს მეორე პლანზე.

მოკლედ, ყველაფერი აღრეულია ერთმანეთში — შიდა, გარე თუ პირადი პოლიტიკური პრობლემები.

თითქოს შემაკავებელი ინსტრუმენტები დღევანდელ სამყაროს იმდენად დიდი აქვს, რომ ეს დაპირისპირება დიდ კატაკლიზმსა და ბირთვულ ტრაგედიაში არ უნდა გადაიზარდოს, მაგრამ ძალიან ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით, საფრთხე იმისა, რომ ვიღაცას ნერვებმა უმტყუნოს და ბირთვული ტრაგედია მივიღოთ, სამწუხაროდ, ძალიან მაღალია.

— დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს შიდა პრობლემატიკას. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ახლოვდება, თუმცა, საკმაოდ მშვიდ წინასაარჩევნო პროცესს ვადევნებთ თვალს. აშკარაა, რომ პოლიტიკური ძალები დიდად არ აქტიურობენ.

— გეთანხმებით, წინასაარჩევნო დინამიკა ნამდვილად მოკლებულია დრამატიზმს. ეს ლოგიკურიც არის, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩვენთან არც არასდროს მიიჩნეოდა მნიშვნელოვან არჩევნებად და მასზე დიდი რესურსის დახარჯვას პარტიები ყოველთვის ერიდებოდნენ, მით უფრო, რომ ეს რესურსი სახელისუფლებო ძალის გარდა, ყველას მწირი აქვს.

დღევანდელი ხელისუფლება, სამწუხაროდ, იმავე სქემით მუშაობს, რითაც მუშაობდნენ წინა ხელისუფლებები, როდესაც პოტენციურ სპონსორებს, ფაქტობრივად, ეპრძალებოდათ ალტერნატიული პოლიტიკური ძალების დაფინანსება და მხოლოდ სახელისუფლებო პარტიას ედგა რიგი.

ფაქტობრივად, იგივე ვითარებაა დღესაც, რაც იყო სააკაშვილის თუ შევარდნაძის მმართველობისას.

შესაბამისად, რესურსები მწირია და ყველას ენანება ამ რესურსების, მათი გაგებით, არცთუ ისე მნიშვნელოვან არჩევნებში დახარჯვა.

კიდევ უფრო დიდი პრობლემაა იდეების სიმცირე ოპოზიციაში. რეალური ალტერნატივა ქვეყანაში ვერა და ვერ შეიქმნა.

ფაქტობრივად, პოლიტიკა კვლავ ორპოლუსიანია, თუმცა, არც მარტო ორპოლუსიანობაა ამ არჩევნების უბედურება... მთავარი პრობლემა ის არის, რომ ეს ორი პოლუსიც ვერ პასუხობს ამომრჩევლის მოთხოვნებს. ამომრჩეველი ისევ დარჩენილია ნეგატიური არჩევნის წინაშე, ანუ ისევ მოუწევს, აირჩიოს ცუდსა და უარესს შორის. ამგვარ ნეგატიურ არჩევნებში ყოველთვის იმარჯვებს ის, ვინც მეტს გადაიხდის, ანუ ვინც მეტი რესურსის მობილიზებას შეძლებს, ასეთი კი მმართველი პარტიაა.

ამომრჩეველი, რომელიც ვერ ხედავს ძალას, რომელსაც ანდობს ქვეყნის მართვას, მზად არის გაიყიდოს ერთჯერად სარგებელზე. ამ მხრივ ხელისუფლებას მეტი საშუალება აქვს. ამიტომაც არ ველოდები, რომ ასეთი ტიპის არაჯანსაღ არჩევნებში ხელისუფლებას პრობლემა შეექმნება. შეიძლება დიდ ქალაქებში რაღაც ინტრიგაც გამოჩნდეს...

ამ არჩევნების მთავარი ასპარეზია თბილისის მერის არჩევნები. ცხადად

„ეს სიმსივნესავით დაავადება მეტასტაზებად ვრცელდება, მით უფრო, თუ ზოგიერთს ხელში „ნარკონარუშილოვკა“ უჭირავს. ამას ერთ-ერთ ვერსიად გთავაზობთ, თუმცა, გამორიცხული არაფერია

კვირიდან კვირამდე

პუტინი აფხაზეთში

8 აგვისტოს, საქართველო-რუსეთის ომის მეცხრე წლისთავზე, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ოკუპირებულ აფხაზეთში ჩავიდა. როგორც დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბასთან შეხვედრაზე პუტინმა განაცხადა, „რუსეთი აქტიურად გააგრძელებს აფხაზეთის მხარდაჭერას საერთაშორისო ასპარეზზე“.

პუტინი 2008 წელს განვითარებულ მოვლენებსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ცხრა წლის წინ რუსეთმა გაბედული ნაბიჯი გადადგა და სამხრეთ ოსეთის განადგურება არ დაუშვა. მისივე თქმით, რუსეთსა და აფხაზეთს მჭიდრო კოორდინაცია ექნებათ კავკასიაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ვლადიმირ პუტინის აფხაზეთში ჩასვლა გააპროტესტეს ოფიციალურმა თბილისმა და ასევე საერთაშორისო თანამეგობრობამ, განცხადებები გაკეთდა ნატოსა და ევროკავშირის სახელით.

სეპარატისტების მორიგი გადაწყვეტილება

ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

ინფორმაციით, ახალი სასწავლო წლიდან ახალგორის რაიონის სკოლებსა და ბაგა-ბაღებში სწავლება მხოლოდ რუსულ და ოსურ ენებზე წარიმართება. ქართული ენა მხოლოდ და მხოლოდ ერთი რიგითი საგანი იქნება. მშობლების თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ მათმა შვილებმა არ იციან რუსული ენა, შესაძლოა, მათ ახალგორის დატოვება მოუხდეთ.

მაშველებმა 5 კაცი გადაარჩინეს

მაშველებმა ფოთში ზღვიდან 5 კაცი გამოიყვანეს. საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, 3 ბავშვისა და 2 ზრდასრული მოქალაქის წყლიდან გამოყვანა მას შემდეგ გახდა აუცილებელი, რაც ზღვის მოქცევა დაიწყო და ტალღებმა ტურისტები სიღრმეში გაიტაცა. „5 მაშველი შევიდა ზღვაში და 10 წლამდე 3 ბავშვი, მათი მამა და ოჯახის ახლობელი ქალი უვნებლად გამოიყვანა. სასწრაფო დახმარების მისვლამდე მათ პირველადი სამედიცინო დახმარება მაშველებმა აღმოუჩინეს. ყველა ტურისტი თავს კარგად გრძნობს“, — განაცხადეს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში.

„სიყვარულიც ეს ყოფილა...“

რამდენიმე დღის წინ პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი ე.წ. არამიანცის საავადმყოფოში ინსულტის დიაგნოზით გადაიყვანეს. როგორც პოეტის ქალიშვილმა თაკო ჩარკვიანმა განაცხადა, მისი მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა.

„ბოლო დღეებში მამას მდგომარეობა ძალიან დამძიმდა, ცნობიერებაც დაკარგა. ფილტვის პნევმონიაც აქვს. ექიმები ყველაფერს აკეთებენ მისი მდგომარეობიდან გამოსაყვანად. მთელი საქართველო გვირეკავს, სიყვარულიც ეს ყოფილა, გაოცებული ვართ“, — განაცხადა თაკო ჩარკვიანმა. „კვირის პალიტრა“ ბატონ ჯანსუღს გამოჯანმრთელებას უსურვებს!

უმტყუნოს და ბირთვული ტრაგედია მივილოთ“

ჩანს, რომ აქ ოპოზიცია გაერთიანებას ვერ მოახერხებს, თუმცა, მოლოდინი და შანსიც იმისა, რომ საქმე მეორე ტურამდე მივა, რეალურია.

თუ მეორე ტურში აღმოჩნდა დამოუკიდებელი, არაპარტიული კანდიდატი, ასეთ შემთხვევაში ხელისუფლებას შეიძლება შეექმნას პრობლემები. საქმე ის არის, რომ არაპარტიული კანდიდატი, რომელიც ყველაზე მომგებიანი, დაახლოებით ასე ჩამოყალიბებული ლოზუნგით გამოდის — „გავათავისუფლოთ თბილისის მერია პარტიული და კლანური ინტერესებისგან!“ — ბევრი ამომრჩევლის გულს მოიგებს...

საქმე ის არის, რომ

თბილისელებს აქვთ ძალიან ცუდი გამოცდილება როგორც წინა, ასევე დღევანდელი ხელისუფლების პირობებში მერიაში კორუფციული ფაქტების, ნეპოტიზმის, პარტიული აქტივის დასაქმებისა და ა.შ.

ამ ფონზე ეს ლოზუნგი თბილისელი ამომრჩევლისთვის კარგი მოსასმენია. თუმცა, ელისაშვილს აქვს მნიშვნელოვანი სისუსტეებიც, უმთავრესად კი ის, რომ ამომრჩეველს ესმის, რომ მას აქვს ამის გაკეთების სურვილი, თუმცა, ეჭვი ეპარება მის შესაძლებლობებში. ერთია, რომ გინდა კარგი საქმის გაკეთება, მაგრამ მეორე, შეგიძლია თუ არა? ეს პრობლემა ელისაშვილს აქვს, არ ჩანს მისი გუნდი, რომელიც მასთან ერთად ძველ სისტემას დაანგრევს და ახალს ააშენებს.

მოკლედ, ჩემი აზრით, თბილისში ხელისუფლებას არცთუ კარგად აქვს საქმე. მათი კანდიდატის, კალაძის კამპანიაც, ჩემი აზრით, ძალიან უხარისხო, ყალბი და ხელოვნური ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებს იყენებს, მთლიანად გაჟღენთილია პროვინციალიზმით, რაც თბილისელ ამომრჩეველს ძალიან არ მოსწონს. კარგია, თუ მიხვდებიან ამას და ამ აბსურდს თავს დაანებებენ.

თუ ალეკო ელისაშვილმა წინასაარჩევნო ეტაპი წარმატებით გაიარა, ხელისუფლებამ ვერ მოახერხა მისი მარგინალიზაცია და გადავიდა მეორე ტურში, ამ შემთხვევაში კახა კალაძეს სერიოზული პრობლემები შეექმნება, რადგან ელისაშვილს ხმას აუცილებლად მისცემენ დანარჩენი კანდიდატების მხარდამჭერებიც, რადგან ამ ამომრჩეველთან მას ხიდები დამწვარი არა აქვს, რასაც ვერ ვიტყვით თუნდაც უდუმაშვილის გასვლის შემთხვევაში — პარტიულ კანდიდატს სხვა პარტიის ელექტორატი ნაკლებად დაუჭერს მხარს, შესაბამისად, კალაძის გამარჯვების შანსიც გაიზრდება.

— **რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის გუბერნატორი პაპუნა მარგველიძე თანამდებობებიდან გაათავისუფლა. ოფიციალური ვერსიით, ამის მიზეზი მათი სხვა თანამდებობებზე გადაყვანა გახდა, თუმცა, ბევრის აზრით, ეს მომავალ არჩევნებს უკავშირდება.**

— თითქოს მოვლენების ლოგიკა მეტყველებს იმაზე, რომ ეს სწორი ვერსიაა, მაგრამ მაინცდამაინც დამაჯერებლად არ მიმაჩნია. ვფიქრობ, არც ეს ბატონები იქნებოდნენ წინააღმდეგი, რომ მაქსიმალურად ზედმიწევნით შეესრულებინათ ხელისუფლების საარჩევნო დავალებები. შესაძლებელია წინასაარჩევნო პერიოდს ვიღაც იყენებდეს ხელისუფლებაში არსებულ ძალთა ცენტრებში კონფიგურაციის შესაცვლელად. წინასაარჩევნოდ ამის გაკეთება და არგუმენტირება ადვილია. მაგალითად,

შეიძლება იმის თქმა, რომ გუბერნატორები რეგიონებში პოპულარული არ არიან, ამომრჩეველს აღიზიანებენ და ამიტომ მათი შეცვლა აუცილებელია.

არადამაჯერებელი არგუმენტია, მაგრამ შიდასახელისუფლებო ინტრიგებისთვის ლოგიკური, თუმცა, არა საარჩევნო გათვლით, არამედ შემდგომში ძალაუფლების გამყარების თვალსაზრისით.

დასამალი არ არის, რომ გაურკვეველია, დღეს ძალაუფლება ვის ხელშია. სხვადასხვა ჯგუფი, კლანები სხვადასხვა სეგმენტს აკონტროლებენ და ძალაუფლების კონცენტრაცია ვერსად ვერ ხდება. პოლიტიკური პროცესისგან ივანიშვილი გარკვეულწილად დისტანცირებულია, ხელისუფლებაში კი სრული ქაოსია. ხელისუფლებაში მმართველობითი კრიზისი აშკარაა, რაც სახელმწიფოებრივად საკმაოდ სახიფათოა.

— **ანაკლიაში, „ჯემ ფესტზე“ მომხდარმა ტრაგედიამ საზოგადოება კიდევ ერთხელ დაფიქრა სახელმწიფოს ნარკოპოლიტიკაზე. ახალგაზრდის დაღუპვა და ფესტივალის ათობით სტუმრის მოწამვლა გახდა საჭირო, რომ სამართალდამცავებს რამდენიმე ნარკორეალიზატორი ანაკლიაშივე დაეკავებინათ. თითქოს ყველამ იცის, რომ თბილისურ კლუბებში იოლად შეიძლება კლუბური ნარკოტიკის შოვნა, თუმცა, სახელმწიფო, რომელიც ერთი შეხედვით რეპრესიულ ნარკოპოლიტიკას ატარებს, ამაზე თვალს ხუჭავს.**

— გეთანხმებით, ვითარება ძალიან მძიმეა. ერთი მხრივ, ვუყურებთ პლაკატურ ბრძოლას ნარკოტიკებთან, მაგრამ ამასთან, ვაკვირდებით პროცესს, როდესაც ბრძოლა, ძირითადად, მომხმარებლებთან მიმდინარეობს. სანამ მომხმარებლამდე თუ წვრილმან რეალიზატორამდე მივა ნარკოტიკი, განსაზღვრულ გზას გადის. სწორედ აქ ჩნდება ძალიან სერიოზული კითხვები. ასეთ პატარა ქვეყანაში, მით უფრო ისეთ ქალაქში, როგორიც თბილისია, ყველამ კარგად იცის, ვინ არის ნარკობარიგა, საიდან მოაქვს, სად მიაქვს, საიდან ყიდის. თუმცა, სამართალდამცავები ამას არ იმჩნევენ. ეს ხალხი ხელშეუხებელ კასტად იქცა. თან ეს ხდება მაშინ, როდესაც

ცოტა ხნის წინ რამდენიმე კაცი დაიჭირეს მოხმარებაზე და მერე ძალიან უცნაურად გამოუშვეს ციხიდან. თუ მოხმარებისთვის კაცს იჭერ, ის ხომ ამ ნარკოტიკს სადღაც ყიდულობს, რატომ არავინ ეძებს ამ უბედურების სათავეს?!

შესაძლებელია ვითარდებოდეს ასეთი ვერსიაც — როდესაც არ შეგიძლია რაღაცას მოერიო, შენვე ცდილობ, მოექცე სათავეში... არ გამოვრიცხავ, რომ არსებობენ ძალაუფლებისგან არცთუ შორს მყოფი პირები, რომლებიც სწორედ ამ მარტივი ლოგიკით კურირებენ ამ საკითხებს.

„ვრცელდება ინფორმაცია, რომ სამხრეთ კორეაში ხალხმა მშრალი საკვების მომარაგება დაიწყო. მოკლედ, ომის მოლოდინი ძალიან მაღალია“

ლოგიკა ასეთია: ნარკობიზნესი მაინც იქნება და ჯობს იყოს კონტროლირებადი და ეს კონტროლი ჩვენ თვითონ გავუწიოთო... შესაძლოა, ეს ლოგიკა ვიღაცისთვის მისაღებია, მაგრამ როგორც კი ხვდები სფეროში, სადაც ძალიან დიდი ფული ტრიალებს, ზღვარს კარგავ და იწყება ძალაუფლების დანაშაულთან შეზრდა. ეს სიმსივნესავით დაავადება მეტასტაზებად ვრცელდება, მით უფრო, თუ ზოგიერთს ხელში „ნარკონარუშილოვკა“ უჭირავს. ამას ერთ-ერთ ვერსიად გთავაზობთ, თუმცა, გამორიცხული არაფერია.

თუ ადამიანებს უთვალთვალებენ მოხმარების გამო და აკავებენ კიდეც, ნარკობარიგებს რატომ ვერ პოულობენ?!

სიმკაცრე ამ პროცესში ისევ და ისევ ნარკობიზნესის წისქვილზე ასხამს წყალს, რაც უფრო მკაცრია რეგულაციები, მით რთულია „საქმე“ და ფასიც იმატებს.

ხელისუფლებამ ძალიან დაბეჯითებით უნდა აგვიხსნას, რა ხდება. ნარკობარიგები ციხეში უნდა ვნახოთ! უნდა ვნახოთ, რომ ამ ბოროტების სათავეს სერიოზული პრობლემები შეექმნება.

— **ისევ „ჯემ ფესტზე“ მინდა გკითხოთ, რომლის არაორგანიზებულობასა და არასწორად დაგეგმილ პროგრამაზე ყველა ჩივის, არადა, როგორც ირკვევა, ეს ფესტივალი სახელმწიფოს დიდი ფული დაუჯდა.**

— ფესტივალები უნდა ტარდებოდეს, ოღონდ იქ ხელისუფლების ერთადერთი მოვალეობა უნდა იყოს წესრიგის დაცვა. კატეგორიულად მიუღებელია სახელმწიფო ასეთ საეჭვო ტიპის ღონისძიებებს აფინანსებდეს, ისევე როგორც არ უნდა აფინანსებდეს კონცერტებს და სხვა ამგვარ კომერციულ პროექტებს. ეს სააკაშვილის დროს ხდებოდა და „ქართული ოცნებაც“ იმავე გზას აგრძელებს. ნებისმიერი კომერციული პროექტის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან კატეგორიულად მიუღებელია!

„გაურკვეველია, დღეს ძალაუფლება ვის ხელშია. სხვადასხვა ჯგუფი, კლანები სხვადასხვა სეგმენტს აკონტროლებენ და ძალაუფლების კონცენტრაცია ვერსად ვერ ხდება

ნათია დოლიძე

ნარკოდანაშაულის ბრალდებით ძმები დააკავეს

ქვემო ფონიჭალაში, ცურტაველის ქუჩაზე, ნარკოდანაშაულის ბრალდებით ძმები ჯაფაროვები დააკავეს. სპეცოპერაციის ადგილზე სამართალდამცველები და სპეცდანიშნულების რაზმის წევრები იყვნენ მობილიზებული. შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღებას გულისხმობს. დაკავებულების მტკიცებით, მათ საცხოვრებელ სახლში ნარკოტიკული საშუალება სამართალდამცველებმა ჩადეს.

ტრაგედია ბათუმში

8 აგვისტოს ბათუმში, ხიმშიაშვილის ქუჩაზე, საცხოვრებელი კორპუსის მე-9 სართულზე მომღერალი გიორგი ხაჭაპურიძე და მისი მეგობარი, მოდელი ზვიო სახლთხუციშვილი გარდაცვლილი იპოვეს. ბიჭები თბილისიდან ბათუმში დასასვენებლად იყვნენ ჩასული და 5 აგვისტოს შემდეგ ოჯახის წევრები ვერ უკავშირდებოდნენ. მშობლები 8 აგვისტოს ჩავიდნენ ბათუმში და იპოვეს ბინა, სადაც საშინელი სურათი დახვდათ. თავდაპირველად ითქვა, რომ ბიჭებს ძალადობის კვალი ეტყობოდათ და ისინი ნაწამები იყვნენ, მაგრამ ამას ძალოვან სტრუქტურაში არ ადასტურებენ. არაოფიციალური ინფორმაციით, ბიჭები ნარკოტიკის ზემოქმედებით გარდაიცვალნენ, თუმცა, ამას მათი ახლობლები და მეგობრები კატეგორიულად არ ეთანხმებიან და ამბობენ, რომ ნარკოტიკის მომხმარებელი არც ერთი არ იყო.

სამი პოლიციელი დასაჯეს

პროკურატურამ გორის გვირაბთან მომხდარი ავარიის დროს დაღუპული ბექა ხახუბიას საქმეზე შიდა ქართლის სამმართველოს სამ თანამშრომელს ბრალი წარუდგინა და სასამართლოს მათთვის აღკვეთის ღონისძიებად 5.000 ლარის გირაოს შეფარდების და თანამდებობიდან გადაყენების შუამდგომლობით მიმართა. გორის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებულებს 1.000 ლარის გირაო შეუფარდა და მათი თანამდებობიდან გადაყენების გადაწყვეტილება მიიღო. გამოძიება მათ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას ედავება. შეგახსენებთ, რომ 17 მაისს გორის გვირაბთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის, ირაკლი ხახუბიას ვაჟი, 21 წლის ბექა ხახუბია დაიღუპა. არსებული ინფორმაციით, გადაჭარბებული სიჩქარით მიმავალ მანქანას გორის გვირაბთან პოლიციელებმა გზა ტრაილერით ჩაუხერგეს. მანქანა ტრაილერს შეასკდა და ახალგაზრდა დაიღუპა.

სარკინიგზო კატასტროფა

11 აგვისტოს ეგვიპტეში, ალექსანდრიის გარეუბანში, ერთმანეთს შეეჯახა სამგზავრო მატარებლები, რომლებიც კაიროდან და პორტ-საიდიდან მოემართებოდნენ. სარკინიგზო კატასტროფას 49 მგზავრი შეეწირა, 179 კი დაშავდა. მომხდარის მიზეზს სამართალდამცავები იკვლევენ.

რა ზნე გვჰირსა

10 დღეში გზებზე 17 ადამიანი დაილუპა!



შს სამინისტრომ ასქულიანი სისტემის შემოღებით კანონი გაამკაცრა — გაჩნდა მოლოდინი, რომ გზებზე სიკვდილიანობისა და ავტოსატრანსპორტო შემთხვევების რიცხვი შემცირდებოდა. თუმცა, დიდ ცვლილებებს ვერ ვგრძნობთ — საინფორმაციო საშუალებები კვლავ გვატყობინებენ ახალ-ახალი ავტოავარიის ამბავს. რა გამოდის, რეფორმა არც ისე შედეგიანი აღმოჩნდა?.. „კვირის პალიტრა“ საქართველოს საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ მევლუდ მელაძეს ესაუბრა:

— ასქულიან სისტემაზე გადასვლას უნდა მოჰყოლოდა ავტოსაგზაო შემთხვევების შემცირებაც, მაგრამ ამან ისეთი ნაყოფი ვერ გამოიღო, როგორსაც ველოდით. კარგი იქნებოდა, ეს ასქულიანი სისტემა იმ სახით მიგვეღო, როგორსაც ევროპაში ან ამერიკაში იყენებენ. მაგალითად, ამერიკის ზოგიერთ შტატში 12-ქულიანი სისტემაა. აბსოლუტურად ყველა ჯარიმაზე, მნიშვნელობა არა აქვს, რატომ გაგაჩერეს, სასამართლოში წარდგებიან მძღოლიც და პატრულის ის თანამშრომელიც, რომელმაც გააჩერა. მძღოლს საშუალება აქვს, თავი დაიცვას, თუ მიაჩნია, რომ მართალია. სასამართლოზე ჯარიმასა და ქულებზე მიმდინარეობს ვაჭრობა — თუ გადაიხდი ამდენს, დაგიტოვებ ამდენ ქულას და შენ იქვე განსაზღვრავ, რომელი გიღირს, ქულა თუ საჯარიმო თანხა. მაგალითად, ჩემს მეგობარს 8 ქულამდე მოუგროვდა. სანამ 18 თვე არ გავა ბოლო დაჯარიმებიდან, თანაც დარღვევის გარეშე, მანამდე ქულა არ მოაკლდება. ბოლო ჯარიმიდან წელიწადის გასვლის შემდეგ მხოლოდ 2 ქულა ჩამოაკლდება. შესაბამისად, 4 წელი უნდა გავიდეს, 8 ქულა რომ გაუნულდეს. ეს ინდივიდუალურად, მხოლოდ ჩემი მეგობრის შემთხვევაში. მნიშვნელოვანია, რაზე ხარ დაჯარიმებული. ზოგიერთს, შესაძლოა, 11 წლის განმავლობაშიც არ გაუნულდეს ქულები. ჩვენთან კი იცი, რომ წლის ბოლოს ჯარიმები გაგინულდება და კვლავ ასი ქულა დაგერიცხება, ამიტომ შიში არაფრის გაქვს. ამას ისიც ემატება, რომ თუ კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან მძღოლები მეტ სიფრთხილეს იჩენდნენ, ერთ კვირაში დარწმუნდნენ, რომ დიდად არც არაფერი შეცვლილა. უკვე ნათელია, რომ ამ რეფორმამ ნაყოფი არ გამოიღო.

— **გამოსავალს რაში ხედავთ?**

— ცვლილებები სწავლებიდან უნდა დაიწყოს. 2-3 დღეში კოდირების მეთოდით დაზეპირებული საკითხებით აბარებენ თეორიულ გამოცდას. ალბათ, 2%-ს თუ შეუძლია ავტომანქანის ნორმალურად მართვა, მაშინ როდესაც 450-500 ათასი ავტომანქანა დადის მხოლოდ დედაქალაქში.

რაიონებში უფრო იოლია გამოცდის ჩაბარება. ამიტომაც ბევრი იქ გარბის. იქაური მოედნები უფრო მარტივია, ვიდრე რუსთავის.

6 თვეში 3002 ავტოავარია მოხდა

შსს-ს ინფორმაციით, 2017 წლის იანვრიდან ივლისის ჩათვლით დაფიქსირდა 3002 ავტოავარია, გასულ წელთან შედარებით 345-ით ნაკლები. იმავე პერიოდის წინა და მიმდინარე წლების სტატისტიკის შედარებისას ნათელი ხდება, რომ დაშავებულების რიცხვი წელს 1107-ით არის შემცირებული. დაღუპულთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით დაუზუსტებელია.

გზებზე სიკვდილის ქრონიკები

26 ივლისი. ყვარლის რაიონის სოფელ გავაზში ავტოავარიის შედეგად სამი ახალგაზრდა მამაკაცი დაიღუპა და ორი დაშავდა.

გორის შესასვლელთან ავტოსაგზაო შემთხვევას ქვეითად მოსიარულე მამაკაცი ემსხვერპლა. მძღოლი მიიმალა.

5 აგვისტო. სურამში ავტოავარიის შედეგად დედა-შვილი დაიღუპა.

6 აგვისტო. ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე, სწრაფად მიმავალი მსუბუქი ავტომობილი 60 წლამდე ქალს დაეჯახა. ქალი დაიღუპა.

7 აგვისტო. გორთან, ავტობანზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 21 წლის მამაკაცი გარდაიცვალა; თერჯოლაში, სოფელ ჩხარში, მომხდარ ავარიას ორი 16 წლის ახალგაზრდა და 28 წლის მძღოლი ემსხვერპლნენ. თვითმხილველები ადასტურებენ, რომ მძღოლი მთვრალი იყო; სოფელ ნინოწმინდაში ავტოავარიაში ერთი მამაკაცი დაიღუპა.

ხობში, სოფელ ხუთასთან ავტოავარიაში დაიღუპა ერთი მამაკაცი; საგარეჯოს რაიონში, სოფელ წყაროსთავთან, ავტოავარიას 23 წლის ახალგაზრდა შეეწირა; ტყიბული-საწირეს მონაკვეთზე ავტოსატრანსპორტო შემთხვევას ერთი კაცი ემსხვერპლა.

9 აგვისტო. ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში ავტოავარიაში დაიღუპა ერთი მამაკაცი.

10 აგვისტო. თბილისში, ვახუშტის ხიდთან ერთმანეთს შეეჯახა მოტოციკლი და მინივენი. მოტოციკლისტი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

P. S. ყველა შემთხვევაში გამოძიება 276-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის დარღვევას გულისხმობს.

„ამ პრობლემას ჩვენს მენტალობაში აღმოვაჩენთ“

ლელა იაკობაშვილი, კულტუროლოგი: — რატომ არ ვცდილობთ უფრო მეტად გავუფრთხილდეთ საკუთარ და გარშემო მყოფთა სიცოცხლეს, რატომ არ გვიშველა 100-ქულიანი სისტემის შემოღებამაც? — ამ პრობლემას ჩვენს მენტალობაში აღმოვაჩენთ. ჩვენ პასუხისმგებლობას არ ვიღებთ ჩვენსავე თავზე. რამდენიმე საუკუნე სხვა იმპერიის პროვინცია ვიყავით, ამიტომ კანონებს სხვები აწესებდნენ და სხვები გვთხოვდნენ პასუხსაც. ჩვენი ქცევა თითქოს პროტესტის ინერციაა სხვათა დაწესებულ წესებზე. რამდენადაც მე არ დამიწესებია მოძრაობის წესები, ის ჩემი ორგანული ნაწილი არ არის — ეს ზნეობრივი დაუდევრობაა. იმის გამო, რომ ჩვენ არ ვქმნიდით ჩვენივე ცხოვრების წესებს, ჩვენსავე სასიცოცხლო გარემოს, დღემდე შერჩენილი გვაქვს ორმაგი, სამმაგი მორალი. ეს ყველაფერი პრობლემას ქმნის ერის ცხოვრებაში.

ჩვენ 100 ქულის შიშით ვცდილობთ ზნეობრივი დაუდევრობის დაძლევას, შიში კი არის ფაქტორი, მაგრამ არა გადამწყვეტი.

გამოსავალი ისევ და ისევ ის არის, რომ ზნეობრივი, წესიერების დაცვისა და შესაბამისად, წესრიგის დაცვის გარემო შევუქმნათ ახალგაზრდებს. ჩვენ და ჩვენი გაზრდილი თაობა უკვე ძნელად შეიცვლება. მოძრაობის წესების ცოდნასთან ერთად განათლებაც არის საჭირო. განათლების მიღება მარტო ცოდნის მიღებას არ გულისხმობს, განათლება ზნეობრივი ვითარებაა სულისა. რთული გზა იქნება გასავლელი. ვფიქრობ, 100 ქულის დაკარგვის შიშით კი არა, ზნეობრივი ცვლილებების შედეგად უფრო იოლად შევიცვლებით.

პატრულის თანამშრომლებსაც იგივე სკოლა აქვთ მართვის მოწმობის ასაღებად გავლილი, როგორიც რიგით მძღოლებს. პატრულის გადამზადება უნდა დაიწყოს, უფრო მაღალკვალიფიციური კადრებია საჭირო.

პატრულის თანამშრომელი უნდა იყოს მკაცრი, მაგრამ სამართლიანი და მძღოლებიც დაიწყებენ წესების დაცვას. უნდა დაიწყოს სწავლება და აღსრულება.

მნიშვნელოვანია ისიც, ვინ აწყობს საგზაო ინფრასტრუქტურას, ვინ აკეთებს საგზაო მონიშვნებს და აყენებს საგზაო ნიშნებს. არც მათ აქვთ სპეციალური სკოლა გავლილი, იმიტომ, რომ არ არსებობს სკოლა, რომელიც საგზაო უსაფრთხოებას ასწავლის ერთიან კონტექსტში. უფრო მეტიც,

არ არსებობს სამსახური, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საგზაო უსაფრთხოებაზე. ვინმე ამოწმებს, არის თუ არა გზა ვარგისი, საგზაო ნიშნები და მონიშვნები სწორად დამონტაჟებული, ავტობანი სწორად მოწყობილი?..

არ არსებობს ორგანო, რომელიც საგზაო უსაფრთხოებას გააკონტროლებს. როდესაც საკითხი იჩენს თავს, ამას მოსდევს სამინისტროებს შორის კინკლაობა, ერთმანეთზე გადაბრალება. მაგალითად, ავტოსკოლას რომ ლიცენზია არა აქვს, განათლების სამინისტრო ამბობს, მე რა შუაში ვარო, და შსს-ც იმავეს იმეორებს. შედეგიც სახეზეა — პასუხისმგებელი არავინაა.

— **განსაკუთრებით ხშირია ავტოსაგზაო შემთხვევები ავტობანზე, რიკოთის მიდამოებში და ქუთაისის შემოვლით გზაზე.**

— ფატალური შემთხვევების გამომწვევი მთავარი მიზეზი იყო და არის შემხვედრი მოძრაობის მონაწილე ორი ან რამდენიმე ავტომობილის რადიკალურად განსხვავებული სიჩქარე იქ, სადაც არ არსებობს (ან იშვიათია) გასწრებისთვის განკუთვნილი სპეციალური სივრცე... რაც შეეხება რიკოთის უღელტეხილს, ყველა მძღოლი არღვევს წესებს, როცა ზესტაფონისკენ ეშვებიან! სხვაგვარად მოუწევთ, საათობით სდიონ ტრაილერს, რომელიც შეუძლებელია, აჩქარდეს!

ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით, ავტობანზე ველოსიპედით თუ მოპედით, ან ქვეითად სიარული დაუშვებელია. მაშინ რომელი გზით იარონ, ალტერნატიული გზა ხომ არ არსებობს? ამიტომაც სარგებლობენ ავტობანით. გადასასვლელები ათეულობით კილომეტრის მოშორებითაა. რა ქნან მათ, ვინც იქვე ცხოვრობს ან მუშაობს? ძალაუნებურად უწევთ ავტობანის გადაკვეთა.

მთავარი პრობლემა განათლება, აღსრულება და ინფრასტრუქტურაა. ყველაფერი ერთად ვერ შეიცვლება, ამიტომ ახლავე უნდა დავიწყოთ მუშაობა, რომ ათი წლის მერე მაინც მივიღოთ შედეგი.

ეკა სალაღაია

„ბატონო ელჩო, ექვსი დღეა, რაც ციხე დავტოვე“

რა კავშირია ყოფილ პატიმარსა და ამერიკის ელჩ იან კელის შორის

ამერიკის ელჩ იან კელის უფლისციხის რესტორან „გამარჯობაში“ სასიამოვნო სიურპრიზი დახვდა — სადილობისას უთხრეს, რომ შეფმზარეულს მასთან შეხვედრა სურდა. მართლაც, ცოტა ხანში ელჩს ახალგაზრდა მამაკაცი მიუახლოვდა, თავისი ხელით მომზადებული, ლამაზად გაწყობილი თევზი მიართვა და თავი შეახსენა: ბატონო ელჩო, ექვსი დღეა, რაც ციხე დავტოვე და უკვე აქ ვმუშაობ, ჩვენ ადრეც შევხვედრივართ ერთმანეთს — ამერიკის საელჩოს ჰქონდა ექვსთვიანი პროგრამა მსჯავრდადებულთათვის, სადაც ცნობილი შეფმზარეული მანუელი კულინარიას გვასწავლიდა. მე რომ აქ ვმუშაობ, თქვენი დამსახურებაა. ამ პროექტმა ჩემი ცხოვრება შეცვალა და მინდა მადლობა გადაგიხადოთო. 41 წლის ყოფილ პატიმარს ელჩი გადაეხვია და თავის მეუღლესაც გააცნო იგი.

ირაკლი მირუაშვილმა ციხეში ორი წელი გაატარა. ამბობს, რომ ეს წლები ფუჭად არ დაუკარგავს და სულ სიახლის ძიებაში იყო. სამსახურის ძებნა პირველივე დღეს დაიწყო და ციხეში შესწავლილი პროფესიის წყალობით უკვე ერთ-ერთი რესტორნის შეფმზარეულია.

— თქვენი დაკავების შესახებ გვიამბეთ?

— მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება მაქვს. 8 წელი სკოლის დირექტორი ვიყავი, ვკითხულობდი ლექციებს გორის უნივერსიტეტში, ვმღეროდი გორის ანსამბლში. ბოლო ორი წელი მუზეუმის დირექტორი გახლდით და თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და დიდი ოდენობით თანხის აღების ბრალდებით გამასამართლეს. ვფიქრობ, ეს პროვოკაცია იყო, მაგრამ ამაზე საუბარი ახლა არ ღირს. სამი წელი მომისაჯეს, ორი წლის შემდეგ შეწყალების კომისიამ სასჯელი გამინახევრა, შემდეგ კი ვადაზე ადრე გამათავისუფლეს.

ციხეში მოხვედრა თავზარდამცემი იყო, რადგან ჩემი სუბკულტურა არ არის კრიმინალი. გლდანის მერვე დაწესებულება სატრანზიტოა და ძნელია იქ ცხოვრება, მაგრამ გასამართლების შემდეგ რუსთავის მე-16 დაწესებულებაში გადავედი. იქ ციხის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებდა, რომ ნორმალურად გვეგრძნო თავი.

— როგორც ვიცი, ციხეში დადგით სპექტაკლი, რომელიც რუსთაველის თეატრში იხილა მაყურებელმა.

— დავდგით ცნობილი კინოფილმის, „12 განრისხებული მამაკაცის“ ადაპტირებული ვერსია. ტექსტი გადავაკეთეთ, მუსიკაც ჩვენია. პრემიერას პატრიარქი, პრემიერი, მინისტრები, ოჯახის წევრები და დიპლომატიური კორპუსი ესწრებოდნენ. დარბაზში ოვაცია არ ცხრებოდა.

— თქვენ რა როლი გქონდათ?

— ცოტა კურიოზულია, მაგრამ იქაც სკოლის დირექტორის როლი მერგო. სცენარის მიხედვით, სასამართლოში რემონტია, ამიტომ სკოლაში გაიმართა პროცესი, რომლის დროსაც ასამართლებენ ამავე სკოლის მოსწავლეს, ვისაც სიკვდილი უნდა მიუსაჯონ. პატარა როლი მქონდა, მაგრამ, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი.

— რუსთაველის თეატრში რეპეტიციების შემდეგ ციხეში დაბრუნება არ გიჭირდათ?

— როცა გვითხრეს, რუსთაველის თეატრის სცენაზე დავდგებოდით, ყურებს არ ვუჯერებდით. რეჟისორი ვანო მაჭავარიანი იყო — ჩვენ ერთ საკანში ვისხედით და ის ჯერ ისევ ციხეშია. რამდენჯერმე გაგვიყვანეს რეპეტიციაზე, რომ სცენას შევჩვეოდით. უკან დაბრუნება ძნელი იყო, მაგრამ ვახერხებდით თავის მოთოკვას.

— გვიამბეთ თქვენს კლიპზეც, რომელიც „არტგენის“ მაყურებელმა ნახა.

— ეს არის რვაწუთიანი მუსიკალური კომპოზიცია — მასში მეტალი, როკი და ელექტრომუსიკაა ერთმანეთთან შერწყმული. „არტგენზე“ უნდა გვემღერა, ამისთვისაც ვემზადებოდით, მაგრამ ვერ მოხერხდა, რადგან ღია სივრცეში ტარდებოდა, ვერ გარისკეს. სამაგიეროდ, გადავიღეთ კლიპი, რომელმაც ფესტივალზე დიდი მოწონება დაიმსახურა. მერე გავაკეთეთ მეორე, მესამეც დავიწყეთ, მაგრამ ამასობაში გამათავისუფლეს და საქმე გაჩერდა. ვოკალისტი არა ჰყავთ, „ნიჭიერში“ დაგვარეგისტრირეს და თუ ეს შედგა, მე სახლიდან მივალ „ნიჭიერში“, ბიჭები — დაწესებულებიდან და ფართო საზოგადოება ნახავს ჩვენს ნამუშევარს.



„ვიყიდე მაისური, რომელსაც უნდა დავაწერო, „მე ყოფილი პატიმარი ვარ“, მინდა, დაინგრეს სტიგმა, ყოფილი პატიმარი საშიშია“

ირაკლი მირუაშვილი და ამერიკის ელჩი საქართველოში იან კელი

საქართველოში ამერიკის ელჩს ყოფილი პატიმარი მიუახლოვდა, თავისი ხელით მომზადებული, ლამაზად გაწყობილი თევზი მიართვა და თავი შეახსენა – ჩვენ ადრეც შევხვედრივართ ერთმანეთს...

სექტემბერში ნიაზ დიასამიძე გეგმავს დაწესებულებაში შესვლას. მეც ვიმღერებ, უკვე სტუმრის სტატუსით და მიხარია, რომ ვნახავ ჩემს მეგობრებს.

— ამბობენ, რომ გიტარის დაკვრას ასწავლიდით პატიმრებს.

— დაწესებულებაში რომ მივედი, დირექტორს ვუთხარი, თუ რეჟიმი იძლევა ამის საშუალებას, შემიძლია გიტარის დაკვრა შევასწავლო პატიმრებს-მეთქი. ციხის დირექტორმა გიტარა მიყიდა და პატიმრებს დაკვრასა და ქართულ საგალობლებს ვასწავლიდი. რთული შესასრულებელი იყო ის კომპოზიცია. ჩვენს ხუთკაციან ანსამბლში უკრავენ სანდრო შერაზადაშვილი, რომელმაც ციხეში ისწავლა გიტარის დაკვრა და დღეს საკმაოდ კარგი მუსიკოსია, ნიკუშა წერეთელი, რომელიც კლავიშვანებს უკრავს, ვანო მაჭავარიანი, რომელიც დაკავებამდე დრამერი იყო, და ნიჭიერი მიშა თოდუა. ჯგუფს ჰქვია „სანამ“ — სანამ აქა ვართ, ეს ვაკეთოთ-მეთქი და დავარქვით კიდეც ასე ჯგუფს.

თავად მუსიკალურ ტრეკს „უძილობა“ ჰქვია, ციხეში უძილობა ყველას აწუხებს.

პარალელურად ისტორიის ლექციებს ვუკითხავდი მსჯავრდადებულებს. აქტუალურ თემებს განვიხილავდით, ვატარებდით ღია გაკვეთილებს. ჩამოვაყალიბეთ მსჯავრდადებულთა ინტელექტუალური კლუბი, რომელსაც პაატა შენგელია ხელმძღვანელობდა. კარგია, რომ დიდი ბიბლიოთეკაა და ამ რესურსს ყველაფერში ვიყენებდით.

— მოწყენის საშუალება არ გქონდათ...

— როგორ არ მოიწყენ, იზოლირებული ხარ და ეს არის აუტანელი სევდა, მაგრამ რომ დამეძლია, ძალიან ვაქტიურობდი.

— თქვენი ლექციები პატიმრებს მოსწონდათ?

— როცა სასწავლო კორპუსში მივედით, 25 მსჯავრდადებული ვიყავით. რა თქმა უნდა, გაუკვირდათ, რომ პატიმარი კითხულობდა ლექციას, მაგრამ მალე პოპულარული გახდა ჩემი ლექციები.

— იქ ახალ პროფესიასაც დაეუფლეთ.

— სიამოვნებით ვსწავლობდი კულინარიას, ექვსთვიანი კურსი გავიარე და სერტიფიკატი ავიღე. კურსი ამერიკის საელჩომ დააფინანსა, ამიტომ ხშირად მოდიოდა ბატონი ელჩი. ბოლოს ბანკეტსაც დაესწრო. ამიტომ საშუალება მომეცა, პირადად გამეცნო.

გათავისუფლებიდან მეექვსე დღეს რესტორანში დავიწყე მუშაობა. რესტორნის მეპატრონეს რომ ვუთხარი, ამერიკის ელჩს საქართველოში ვიცნობ-მეთქი, გაუკვირდა. იან კელისთვის სიურპრიზი იყო ჩემთან შეხვედრა. ელჩს რესტორნის ანსამბლთან ერთად „მრავალჟამიერიც“ ვუმღერე. მოკლედ, აღფრთოვანებული წავიდა ჩვენგან.

— მოულოდნელი იყო თქვენი გათავისუფლება?

— ერთ დღეს ციხის თანამშრომელმა მითხრა, სად გაქვს ის შარვალი, რომლითაც ციხეში შემოხვედიო. მაშინ 136 კილოგრამი ვიყავი, ახლა 100-ს ვიწონი. ციხეში ინტენსიურად ვვარჯიშობდი, კალათბურთის ჩემპიონატსაც ვატარებდით, მოკლედ, 36 კილოგრამი დავიკელი. აღარ მჭირდება ის შარვალი-მეთქი, ახლა დაგჭირდება, დღეს გახვალ აქედანო. მერე აღარაფერი მახსოვს, სიხარულისგან ვეღარ ვაზროვნებდი. ბიჭებს დავემშვიდობე, მეგობარს დავურეკე, წამიყვანე-მეთქი. მეუღლეს გზიდან დავურეკე და შევაპარე, რომ შინ მივდიოდი. პირველ დღეებში არ მეძინებოდა, ისევ ციხეში მეგონა თავი.

— სამსახურის ძებნა არ გაგჭირვებიათ?

— ციხიდან გამოსვლის პირველივე ღამეს ინტერნეტში დავიწყე სამსახურის ძებნა. 20 წლის ბიჭი მყავს, რომელიც წარჩინებული სტუდენტია, ვარშავაში აპირებს სწავლის გაგრძელებას. გოგონაც მყავს. შვილებს ჩემი თანადგომა სჭირდებათ. ეს რესტორანი ჩემს სოფელშია, გორის რაიონის სოფელ ქვახვრელში. აქვეა უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალი. კლდეში ნაკვეთი ქალაქია, როგორც ვარძია, ოღონდ უფრო პატარა. მეგობრებმა შემომთავაზეს შეფმზარეულად მუშაობა და სიხარულით დავთანხმდი. ვიყიდე მაისური, რომელსაც უნდა დავაწერო, „მე ყოფილი პატიმარი ვარ“, მინდა დაინგრეს სტიგმა, ყოფილი პატიმარი საშიშია.

— რა გეგმები გაქვთ?

— სექტემბრიდან ისევ წავიკითხავ ლექციებს გორის უნივერსიტეტში და ვფიქრობ, შევუთავსებ ამ ორ საქმეს ერთმანეთს. პარალელურად ვივლი ანსამბლში, უამისოდ არ შემიძლია.

— რა მოგცათ ციხეში გატარებულმა ორმა წელმა?

— იქ უამრავი სოციალური სტატუსის, მენტალიტეტის ადამიანთან გიწევს ურთიერთობა. ჩემთვის ეს დიდი სკოლა იყო.

თეა ხურცილავა

ПОЛИТИКУРИ ДАБИРИНТШИ

„კომბლედან“ ვაშლამდე მისული მინისტრი

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი სკოლებში, სადაც ათასზე მეტი მოსწავლეა დარეგისტრირებული, „ვაშლის დარიგების“ კამპანიას იწყებს. ალექსანდრე ჯეჯელავას განცხადებით, ვაშლი სკოლებში კვირაში ერთხელ, 40-დან 60 ათასამდე მოსწავლეს დაურიგდება. მაშინ, როცა განათლების სისტემაში უამრავი პრობლემაა, მათ შორის, მასწავლებლების დიდი უმრავლესობა გამოცდებზე მინიმალური ზღვრის გადალახვას ვერ ახერხებს და ბოლო მონაცემებით, სასკოლო გამოცდებში 12 ათასი მოსწავლე ჩაიჭრა, რამდენად დროული და მნიშვნელოვანია მინისტრის ინიციატივა?! ვიცე-პრემიერ ალექსანდრე ჯეჯელავას ახალ კამპანიას პროფესორი ვლადიმერ პაპავა აფასებს:

— განათლების სისტემაში ბევრი პრობლემა დაგროვდა. ბავშვს სკოლა ვერ აძლევს ჯეროვან განათლებას და ეს შემდეგ უნივერსიტეტებზეც აისახება.

ვხედავთ, როგორ უჭირთ სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩაბარება, საერთო-ეროვნულ გამოცდებშიც უამრავი ჩაიჭრა, ესე იგი, საზოგადოებას გაუნათლებელ ახალგაზრდათა დიდი ჯგუფი შეემატა.

სამწუხაროდ, ვერც სკოლის მასწავლებლების დიდი ნაწილი აკმაყოფილებს სტანდარტებს. უდიდესი პრობლემაა სახელმძღვანელოების ხარისხიც. ამას წინათ ჩემმა უმცროსმა ვაჟმა მთხოვა დახმარება გეოგრაფიაში, რადგანაც ვერ გაიგო, რა ეწერა სახელმძღვანელოში. ერთი წაკითხვით მეც გამიჭირდა იმის გაგება, თუ რისი თქმა უნდოდათ მე-8 კლასის სახელმძღვანელოს ავტორებს, თუმცა, საბოლოოდ მივხვდი, რაშიც იყო საქმე და ავუხსენი ბავშვს საკითხი, რომელიც სულაც არ არის რთული. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ გეოგრაფიის სახელმძღვანელოზე არ ითქმის და ყოველივე ამის ფონზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრი კიდევ ერთ კომიკურ განცხადებას აკეთებს, — თურმე სექტემბრიდან თბილისის იმ სკოლებში, სადაც 1000-ზე მეტი ბავშვი სწავლობს, კვირაში ერთხელ ყოველ მოსწავლეს თითო ვაშლი დაურიგდება! არც კი ვიცი, რა ვთქვა! გასაგებია, რომ პრემიერ-მინისტრი კრონიზმის (ფავორიტიზმის ერთ-ერთი სახე, ახლობელ-მეგობრებისთვის, კვალიფიკაციის დამოუკიდებლად, უპირატესობის მინიჭება) სენითაა დაავადებული და ამიტომაც ვერ ხედავს მინისტრობისთვის შეუფერებელი თავისი მეგობრის, რბილად რომ ვთქვათ, არაადეკვატურობას, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ ხომ ჰყავს სხვა ლიდერებიც, მათ რაღა დაემართათ? მათი ასაკიდან გამომდინარე, შვილები ჯერ კიდევ სკოლებში უნდა დადიოდნენ და ნუთუ არ ეცოდებათ თუნდაც საკუთარი შვილები ასეთი კურიოზული მინისტრის ხელში? თანაც ამ ინიციატივამ უამრავი კითხვა გაგვიჩინა. მაგალითად, რატომ უნდა დარიგდეს ვაშლები მარტო თბილისში და თანაც მხოლოდ იმ სკოლებში, სადაც ათას ბავშვზე მეტი სწავლობს? რა დააშავეს რეგიონებისა და თბილისის მცირეკონტინგენტიანმა სკოლებმა?

კვირაში ერთი ვაშლი ვერ გადაწყვეტს კვების პრობლემას. ბავშვებს შედარებით გაჭირვებული ოჯახებიდან, შესაძლოა, ის ერთი ვაშლიც არ ჰქონდეთ კვირაში, მაგრამ იმ ბავშვებს რატომ უნდა მიეცეს სახელმწიფოს ხარჯზე თუნდაც ერთი ვაშლი, რომლებიც მეტ-ნაკლებად შეძლებული ოჯახებიდან არიან და არათუ ვაშლის პრობლემა არა აქვთ, არამედ ბევრ სასარგებლო თუ გემრიელ პროდუქტზე მიუწვდებათ ხელი?

„ნაცების“ დავალებების შემსრულებელი „ქოცებმა“ მინისტრად დანიშნეს“

— როგორ წარმოგიდგენიათ ყოველკვირეულად „ვაშლის დარიგების“ კამპანიის ორგანიზება? ითხოვს თუ არა ინიციატივა მასშტაბურ შესყიდვებს და თანხას სახელმწიფო ბიუჯეტიდან, იქმნება თუ არა კორუფციის საფრთხეც?

— რა თქმა უნდა, ცალკე პრობლემაა არამიზნობრივი ხარჯები სკოლებში. როცა სკოლებში უამრავი გადაუჭრელი პრობლემაა, განათლებისთვის გამოყოფილი თანხა რატომ უნდა დაიხარჯოს იმ საეჭვო პროექტზე, რომელზეც თავად მინისტრსაც კი ეცინება? მისი ეს სიცილი კი მთლიანად ჩვენი საზოგადოების დაცინვაა! „კომბლედან“ ვაშლამდე მისული მინისტრი უკვე სასაცილოც აღარ არის, ის უკვე მავნეც ხდება და ჩვენი შვილების განათლებისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს ლეგალურად გაფანტვას უპირებს და თანაც ამის შესახებ საზოგადოებას სიცილ-ხითხითით ამცნობს...

ერთმა ტაქსისტმა ჩემთან პირად საუბარში ასე ახსნა ვიცე-პრემიერის ეს ინიციატივა: ეტყობა, მთავრობა ვაშლის დიდ მოსავალს ელის და შიშობს, იგივე არ მოუვიდეს ქართულ ვაშლს, რაც ატამს მოუვიდაო...

რეგიონებისა და თბილისის მცირეკონტინგენტიანი სკოლების მასწავლებლები მშვიდად უნდა იყვნენ, რომ მათ არ მოუწევთ „ადამის მაცდუნებელი გველის“ ფუნქციის შესრულება... მინისტრმა ისინი დაინდო! გუნებრივია, თბილისის დიდი სკოლების „გავაშლიანების“ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო გახდება სახელმწიფო შესყიდვების კანონით განსაზღვრული პროცედურების დაცვა. რა თქმა უნდა, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას ყოველთვის არის კორუფციის საფრთხე.

იმავდროულად, კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ იმიტომ არის მიღებული, რომ მინიმუმადე დავიდეს კორუფციის საფრთხე. ვეჭვობ, ამ კანონის ყველა მოთხოვნის დაცვითაც კი დიდ სკოლებში თუნდაც კვირაში თითო ვაშლის დარიგება დროულად მოხერხდეს. ამას მათქმევინებს შესყიდვების რთული პროცედურები...

— მინისტრის ინიციატივითვე, შესაძლოა, აღდგეს ე.წ. შრომის გაკვეთილები. ითქვა ისიც, რომ სკოლებში საპილოტე რეჟიმში შევა სამაგიდო თამაშებიც. რას შეცვლის ეს ინიციატივები განათლების სისტემაში?

— შრომის გაკვეთილებთან დაკავშირებული იდეა სულაც არ არის ცუდი, თუმცა, არ მინდა განმეორდეს ის, რაც ჩემს შორეულ ბავშვობაში იყო, როცა შრომის გაკვეთილები იყო მეორეხარისხოვანი და ისინი უმთავრესად ფორმალურად ტარდებოდა. თუ იმავეს გაიმეორებენ განათლების სისტემის დღევანდელი მესვეურები, მაშინ აჯობებს, შრომის გაკვეთილები არ შემოიღონ, რათა თავიდან ავიცილოთ უკუეფექტი, ანუ ბავშვებს შრომა თავიდანვე არ შესძულდეს.

შრომის გაკვეთილების შემოღება მარტო იმას არ უნდა ემსახურებოდეს, რომ მხოლოდ შრომის მასწავლებლები დასაძმდნენ. მთავარია, ბავშვობიდანვე შეეჩვიოს

ეროვნული ბანიგების

ანაკლიაში ორი ქართველისა და ერთი ირანელი მოქალაქის ნარკოტიკების შენახვა-გასაღების ბრალდებით დაკავების შემდეგ, ნარკოდანაშაულისთვის კიდევ ერთი სპეცოპერაცია თბილისში, ფონიჭალაში ჩატარდა. შსს-ის ცნობით, ორი დაკავებული პირის წინააღმდეგ გამოძიება მიმდინარეობს. არის თუ არა დღეს ნარკოტიკი ხელმისაწვდომი, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის გენერალური დირექტორი ლაშა კილაძე გვესაუბრება:

„ახლობელმა მითხრა, თავი ანაკლიაში კი არა, კოლუმბიაში მეგონაო. ყველამ იცოდა, რომ ფესტივალზე რამდენიმე პირს ჩანთა სავსე ჰქონდა და ნარკოტიკებს ყიდდა, თუმცა, რეაგირებაზე არავის უფიქრია“

„ნარკორეალიზატორი სიკვდილს ყიდის“

— ნარკოტიკების მოხმარებით გარდაცვლილთა რაოდენობა გახშირდა. მზარდი ტენდენციის მთავარი მიზეზი ნარკობაზარზე ახალი, განსაკუთრებით საშიში ფორმულების გამოჩენაა. ნარკორეალიზატორები ცვლიან ნივთიერებების სტრუქტურას და მომხმარებელმა არ იცის, რას იღებს. ახალ ნარკოტიკებს შეფუთვასაც უცვლიან.

გაიოლდა საზღვარგარეთიდან მისი შემოტანა — ყველაზე აპრობირებული გზაა ინტერნეტით გამოწერა. იმის მიუხედავად, რომ კონკრეტული ინტერნეტ-საიტები დაიხურა, შექმნილ ვითარებაზე გავლენა ვერ მოახდინა — ახალი საიტები ყოველწამიერად იხსნება. შესაბამისად, ბიონარკოტიკების ნაკადი საზღვარგარეთიდან ზოგს მცირე პარტიად შემოაქვს,

...ალარ არის სასაცილო“



„აშკარაა, რომ ჯეჯელავა ნებისმიერი პოლიტიკური თანამდებობისთვის შეუფერებელია, განათლების მინისტრის რანგში კი საერთოდ გაუგებრობაა...“

„ქართული ოცნების“ წევრებს ნუთუ არ ეცოდებათ შვილები ასეთი კურიოზული მინისტრის ხელში?“

„სკოლებში უამრავი გადაუჭრელი პრობლემაა, განათლებისთვის გამოყოფილი თანხა რატომ უნდა დაიხარჯოს იმ საეჭვო პროექტზე, რომელზეც თავად მინისტრსაც კი ეცინება?“

ჩვენი მომავალი თაობა შრომას.

რაც შეეხება სამაგიდო თამაშებს, მათ თავისი ადგილი აქვს და განსაკუთრებით დაბალ კლასებშია ეფექტიანი. ის უნდა იყოს დამხმარე და არა ძირითადი ინსტრუმენტი ცოდნის დაუფლებაში. ბავშვები უნდა შეეჩვიონ, რომ ცხოვრება სულაც არ არის თამაში. ალექსანდრე ჯეჯელავა უკვე წელიწადზე მეტია მინისტრია, ამიტომ მისი ერთწლიანი მუშაობის შეფასება სულაც არ არის რთული, რადგანაც აშკარაა, რომ ბატონი ჯეჯელავა შეუფერებელი პიროვნებაა ნებისმიერი პოლიტიკური თანამდებობისათვის, ხოლო განათლების მინისტრის რანგში საერთოდ გაუგებრობაა...

თუ პრემიერ-მინისტრი მას მაინცდამაინც ვერ ელევა, ჰყავდეს თუნდაც მოადგილედ და თავადვე დატკბეს მეგობრის სიბრძნით, ხოლო განათლების და მეცნიერების სფერო დაინდოს. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ლომაიასეული ტრადიციები განათლებისა და მეცნიერების სისტემაში გრძელდება. „ქართული ოცნება“, სამწუხაროდ, არ ცვლის განათლების დაფინანსების სისტემას, ხოლო „მეცნიერება“ სამინისტროს დასახელებაში მხოლოდ ფორმალურადაა შესული.

ის პირები, რომლებიც 2013 წლიდან ამ სისტემაში იღებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, „ნაცების“ მმართველობის დროს დისკომფორტს არათუ არ განიცდიდნენ, არამედ „ნაცების“ დავალებებსაც დიდი მონდომებით ასრულებდნენ. ამგვარი წარსული აქვს ჯეჯელავასაც, რომელიც იმ საკონკურსო კომისიის წევრი იყო, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი დაატოვებინა არაერთ ღირსეულ პროფესიონალს, „ნაცების“ დავალებების შემსრულებელი კი „ქოცებმა“ მინისტრად დანიშნეს.

ჯეჯელავას ერთადერთ დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს მისი კომიკურობა, რადგანაც ამდენი სასაცილო რამ არც ერთ მის წინამორბედს არ უთქვამს.

მისი „სკოლების გავაშლიანების“ პროგრამა ქმნის რეალურ საფრთხეს: სიცილი უკვე მავნებლობაში შეიძლება გადაიზარდოს.

„გუბერნატორებს წინასაარჩევნოდ სუს-იც გამოიყენებს“

ბასულ კვირას რაჭა-ლეჩხუმის გუბერნატორმა პაპუნა მარგველიძემ და ასევე, გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ თანამდებობები დატოვეს — რეგიონებში საკადრო ცვლილებებს დინამიკურ პროცესად აფასებს მმართველი გუნდი, ოპოზიცია კი გადაადგილებას არჩევნებს უკავშირებს. „კვირის პალიტრასთან“ ექსპერტი ლევან ალაფიშვილი საუბრობს:

— გუბერნატორების ცვლილებას პირდაპირი კავშირი აქვს არჩევნებთან — მმართველი გუნდის განცხადებები, რომ გადაწყვეტილება ადგილობრივი თვითმმართველობის გაუმჯობესებისთვის მოხდა, არასერიოზულია. „ქართულ ოცნებაშიც“ კი შეთანხმდნენ, რომ გუბერნატორის ინსტიტუტი აბსოლუტურად უფუნქციოდ იქცა და მხოლოდ საარჩევნო რესურსების კოორდინაციისთვის იყენებენ. სავარაუდოდ,

არჩევნებამდე მმართველ გუნდში სუსტი რეგიონები გამოკვეთეს, სადაც თვითმმართველობის მეტი კონტროლია საჭირო, მოსახლეობის განწყობაც არაპროგნოზირებადია და ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს.

— თუ გუბერნატორი უფუნქციოა, როგორ უნდა მოახერხოს მან წინასაარჩევნოდ ადგილობრივი თვითმმართველობის კონტროლი ან საარჩევნო რესურსების კოორდინაცია?

— სქემა ასეთია — გუბერნატორს საარჩევნო შტაბებსა და პარტიას შორის კოორდინაცია დაევალება. ამასთან, მმართველი ძალა შეეცდება საარჩევნოდ გუბერნატორის მეშვეობით ადგილობრივი ბიუჯეტიც გამოიყენოს, მათ შორის, ღონისძიებებისა და კამპანიის დასაგეგმად. ამის მეტს მმართველი გუნდი ვეღარ გაბედავს, რადგან

გუბერნატორები არჩეულ გამგებლებს ფუნქციებით ვერასოდეს შეეჭიდებიან — გამგებლები მაღალი ლეგიტიმაციის ფიგურები არიან, გუბერნატორებს კი მხოლოდ მმართველი ძალის პოლიტიკური ლოიალობა აქვთ, ისიც არაფორმალურად.

ვფიქრობ, გუბერნატორებს წინასაარჩევნოდ სუს-იც გამოიყენებს. კარგად გვახსოვს, ჯერ კიდევ წინა პარლამენტში გაჟღერდა, რომ საარჩევნო სიების ფორმირებაში სუს-ი იყო ჩართული. თუმცა, დეცენტრალიზაციის პროცესი ახლა აქტიურ ფაზაშია და ეს დინამიკა მაძლევს იმედს, რომ თუნდაც არაფორმალური ბერკეტებით, სპეცსამსახურები მუნიციპალიტეტებზე ზეგავლენას ვეღარ მოახდენენ, რადგან საქმე არჩეულ მერებთან ექნებათ, რომლებიც ნელ-ნელა საკუთარ ლეგიტიმაციას თავადაც გაიაზრებენ.

გურიასთან დაკავშირებით განსაკუთრებული შემთხვევა გვქონდა. ჩემი ინფორმაციით, გია სალუქვაძის ნაცვლად, ოზურგეთის ჯერ კიდევ მოქმედ გამგებელს მერაბ ჭანუკვაძეს დანიშნავენ. შესაძლოა, ჭანუკვაძე ფიქრობს, რომ გუბერნატორად დანიშვნა დაწინაურება იქნება და შიდაპარტიული ამბიციები დაკმაყოფილდება, მაგრამ მალევე მიხვდება, რომ დიდ გაუგებრობაში მოხვდა. არჩეული თანამდებობის შემდეგ, ჩემი აზრით, მას აბსოლუტურად სხვა მიმართულებით უნდა გაეგრძელებინა კარიერა. ჩანს, პარტიაში სხვა მნიშვნელოვანი პოზიცია მისთვის ვერ გამოინახა.

„გუბერნატორს საარჩევნო შტაბებსა და პარტიას შორის კოორდინაცია დაევალება“

გია ვოლსკი, *ვიცე-სპიკერი*: — ორი გუბერნატორის ცვლილება უფრო არჩევნების შემდგომ პერიოდს უკავშირდება, რათა გამგებლებმა მეტი ხარისხით იმუშაონ. გუბერნატორის მთავარი ფუნქციაა უზრუნველყოს რეგიონული, სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტების კოორდინაცია, 2018 წელს კი ამას საგანგებო მნიშვნელობა ექნება, რადგან ინფრასტრუქტურული პროექტების რამდენიმე მილიარდი ლარის მოცულობის სამუშაოების ათვისებაზეა საუბარი. რწმუნებულის ინსტიტუტის არსებობა-არარსებობაზე გვქონდა მსჯელობა, თუმცა კოორდინაციის მნიშვნელობა დღის წესრიგში რჩება და შესაძლოა, გუბერნატორმა მეტი ფუნქციაც შეიძინოს.

...ინსტიტუტი?!

„არაერთი შემთხვევა მახსენდება, როდესაც საზოგადოებისთვის ცნობილი პირები ნარკორეალიზაციის გამო დააკავეს და მალევე გაათავისუფლეს. რა მნიშვნელობა აქვს, რას წარმოადგენს, ან ვისი შვილია, თუ სხვის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის, ისინი ხომ ჩვენი შვილების სიცოცხლის ხარჯზე მდიდრდებიან?! მათ უნდა დაესვათ სამარცხვინო დაღი, რომ ადამიანებს სასიკვდილოდ წირავენ

ზოგიც ინტერნეტით იწერს. ოპერატიული ინფორმაციის გარეშე რთულია თითოეული მგზავრის შემოწმება, ამიტომ რეალიზატორების უმრავლესობას დაუბრკოლებლად შემოაქვს.

— თუ საბაჟოზე ან ინტერნეტით ძნელია რეალიზატორის დადგენა, რატომ ვერ ხერხდება მათი გამოვლენა კლუბსა თუ ფესტივალებზე?

— ეს არის უზარმაზარი ინდუსტრია, რომელიც წელიწადში ასზე მეტ ახალ ნარკონივთიერებას ამზადებს. მათ კავშირი აქვთ როგორც პოლიტიკურ, ისე კრიმინალურ სამყაროსთან. ზოგიერთი იმის პროპაგანდასაც ეწევა, რომ ნარკოტიკები თავისუფლების სიმბოლოა. განსაკუთრებით საშიშია მიდგომა, რომ კლუბური ნარკოტიკები არ არის საშიში, ძლიერი ნარკოტიკები კი საშიშია. ნებისმიერი ტიპის ნარკორეალიზატორი სიკვდილს ყიდის.

არაერთი შემთხვევა მახსენდება, როდესაც საზოგადოებისთვის ცნობილი პირები ნარკორეალიზაციის გამო დააკავეს და მალევე გაათავისუფლეს. რა მნიშვნელობა აქვს, რას წარმოადგენს, ან ვისი შვილია, თუ სხვის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის, ისინი ხომ ჩვენი შვილების სიცოცხლის ხარჯზე მდიდრდებიან?! მათ უნდა დაესვათ სამარცხვინო დაღი, რომ ადამიანებს სასიკვდილოდ წირავენ.

„გორი ნარკოტიკების გავრცელების ცენტრად იქცა“

მამუკა არეშიძე, *ექსპერტი:* — ნარკოტიკების შემოსატანად რამდენიმე გზა არსებობს — აზერბაიჯანის საზღვარი, ოკუპირებული ტერიტორიები, ევროპა და ინტერნეტი. საქართველოში მოძლიერდა ე.წ. ელიტური ბარიგების კასტა, რომლებსაც დიდი ალბათობით მაღალჩინოსნები და გავლენიანი პირები მფარველობენ. პარალელურად, აიწია ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციის მოთხოვნის ხარისხმა როგორც პოლიტიკურ, ისე სამოქალაქო სექტორში. ესეც ნარკორეალიზატორების გეგმის ნაწილია. გამოძიება თავად ვაწარმოე — გორი ნარკოტიკების გავრცელების ცენტრად იქცა, სადაც ბარიგები თავხედურად იქცევიან. ცნობილი ნარკობარიგის გვარიც ვიცი, რომელიც გორის ცენტრში ცხოვრობს და სახლიდან ყიდის ნარკოტიკს.

მისი სახელი პოლიციისთვისაც ცნობილია, თუმცა, მე არ დავაკონკრეტებ. ის ერთ-ერთი ადგილობრივი სტრუქტურის ხელმძღვანელთან კაბინეტში მიდის ნარკონივთიერებით. მას იმდენად გავლენიანი მფარველები ჰყავს, რომ გორის პოლიციის ხელმძღვანელი გადაწყვეტილების მიღებას ვერ ბედავს.

გორში რამდენიმე წლის წინ ბარიგები დაიჭირეს, თუმცა, მათი ნაწილი დღეს გარეთაა და თავისუფლად „საქმიანობს“.

ცოტა ხნის წინ საპატიმროდან გამოვიდა ცნობილი ბარიგა, რომელსაც ჰყავს წვრილი გამსაღებლები და მათი საშუალებითაც სხვა ბარიგებს აწვდის წამალს — აქ იკვეთება გორის საქალაქო პოლიციის თანამშრომლისა და მისი ძმის მფარველობა.

ეს ჯგუფი ისე ჩქარობს, რომ იქმნება შთაბეჭდილება, სხვა უფრო დიდი მფარველი არ ჰყავს, ამიტომ მოსწრებაზეა...

გორში ნარკოტიკები ცხინვალიდან შედის. ელიტური ბარიგების ნაწილი მათგან იღებს ნარკოტიკს. ნარკოტიკი აზერბაიჯანიდან ან სომხეთიდან ტრანსპორტით შემოაქვთ. ნაწილი თურქეთიდან შემოდის. სარფის გამშვებ პუნქტთან ათასობით მანქანა გადის, ნარკორეალიზატორებმა კი იმდენად დახვეწეს ტექნოლოგიები, რომ ინფორმაციის გარეშე ვერ მიაგნებ, სად შეიძლება იყოს დამალული ნარკონივთიერება. ხშირად რუსი სამხედროებიც არიან ჩართული ნარკორეალიზებაში — ყველა მათგანთან ელიტურ ბარიგებს მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილება აკავშირებთ.

კლუბებში ბარმენები და მიმტანები ყიდიან ნარკოტიკებს, თუმცა, ისინი ხელშეუხებელი არიან, რადგან კლუბების მეპატრონეები ავტორიტეტული ფიგურები არიან, რომლებსაც, თავის მხრივ, პოლიტიკურ წრეებზე აქვთ გავლენა.

ანაკლიის ფესტივალმა თვალნათლივ დაგვანახა, თუ რა ვითარებაა ქვეყანაში. ახლობელმა მითხრა, თავი ანაკლიაში კი არა, კოლუმბიაში მეგონაო. ყველამ იცოდა, რომ ფესტივალზე რამდენიმე პირს ჩანთა სავსე ჰქონდა და ნარკოტიკებს ყიდდა, რეაგირებაზე კი არავის უფიქრია, სანამ 23 წლის გოგონას გარდაცვალება არ გახმაურდა.

ე.წ. ელიტური ბარიგა, რომელიც შოუბიზნესის წარმომადგენელია, ფესტივალში აქტიურად იყო ჩართული — ის იმდენჯერ ფიგურირებდა ამ დანაშაულში, ეჭვიც არ მეპარება, ფესტივალზეც „წარმატებით საქმიანობდა“.

მოამზადა
რუსუდან შელიამ

SMB
მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამა
223-80-09 smb@palitra.ge იოსებიძის N49

ხის მასალა
ევროვაგონკა კატეგორია A 12,5-96 მმ
2,0 მ, 2,7 მ, 3,0 მ, 3,6 მ, 4,0 მ, 6,0 მ.
ბიოკჭუსი კატეგორია AB 12,5-96 მმ
2,0 მ, 3,0 მ, 6,0 მ.
იატაკის ფიცარი კატეგორია AB
40-112 მმ 3,0 მ, 6,0 მ.
იატაკის მოწყობა
კლასიკურად, თანამედროვედ, კრეატიულად ...
ზეთი მყარი ცვილით ლაქის თანამედროვე ალტერნატივა
glimtrex გერმანია
კოტეჯების მშენებლობა
ევროვაგონკა
მექანიზაციის 1 თბილისი
574 03 20 20
ანტისეპტიკები
www.evrovagonka.ge

Racia.ge
easy connect
რაციები და აქსესუარები
ტელ: 597303065 / 592037010

ARBITRANS
Financial & Business Advisor
კვალიფიციური ფინანსური და აუდიტორული მომსახურება თქვენი ბიზნესისათვის
მომსახურების შესრულება საერთაშორისო სტანდარტების დაცვით
info@arbitrans.ge; www.arbitrans.ge
ფინანსური აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება
საბუღალტრო მომსახურება
ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა
ბიზნესს-საგადასახადო კონსულტაციები
შპს „არბიტრანსი“, თბილისი, ჩაჩავას ქ.№8
ტელ: (+995 93) 23 88 73; (+995 599) 50 25 77

TU
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
TBILISI TEACHING UNIVERSITY
135
ყველა პირობა წარმატებისთვის!
მობილობით გადმოსული სტუდენტებისთვის: 1800 ₾
ტელ: 599 350 330 WEB: TU.EDU.GE FB: FB.ME/TBILUNI

მოდი ისწავლე
აილე მართვის მოწმობა
ავტოსკოლა
გზაჯვარედინი
ვამზადებთ ყველა კატეგორიის,ავტომობილებისა და ტრაქტორების მძღოლებს!
B კატეგორიის თეორიული კურსი - 55 ლარი
პრაქტიკა 15ლარი
A B C D E T S
პრაქტიკული მეცადინეობები მიმდინარეობს როგორც ქალაქის პირობებში, ასევე დახურულ მოედანზე „შკოდის“ მარკის ავტომატური და მექანიკური გადაცემათა კოლოფიანი ავტომობილებით.
ჩვენი მისამართებია
მუხიანი: I მკრ-ნი, II კორპუსი. ტელ 264-02-01 599-14-14-84
სოლოლაკი: ლ.ასათიანის 12 ტელ: 272-99-53

SALAMANDER
50% ფასდაკლება მეორე შენაძენზე.
40% ფასდაკლება ყველა სტუდენტს
მის: ჭავჭავაძის 17 / ვაჟა-ფშაველას 3
ტელ: 2 14 74 37 / 2 38 67 84

ტურისტების

ისაც თბილისის ძველ უბნებში ხშირად უწევს სიარული, უცხოელი ტურისტების აქამდე არნახულ სიმრავლეს შენიშნავდა. „არნახულს“ გადაჭარბებით სულაც არ ვამბობ, ძველი უბნის ერთ-ერთ ქუჩაზე ვცხოვრობ და ამდენი უცხოელი ტურისტი ჩვენს იტალიურ ეზოსა თუ ქუჩაზე აქამდე არასდროს მინახავს. ვისთვისაც სასტუმროებისა და გესტჰაუსების ფასები ძვირია, ბინას ან ოთახს ქირაობს, ამიტომ სახლიდან გამოსულს ხან ინდოელი მესალმება, ხან ირანელი, ხან ფრანგი და ხანაც უკრაინელი. როგორც ამბობენ, საქართველოში ჩამოსასვლელად რამდენიმე რამ იზიდავთ: ქართული სამზარეულო, კულტურული ძეგლები და ხელმისაწვდომი ფასი.

2017 წლის პირველ ნახევარში ტურიზმიდან უკვე 1,1 მილიარდი დოლარია შემოსული, რაც შარშანდელთან შედარებით 26%-იანი ზრდაა

ტურისტების რაოდენობა რომ ყოველწლიურად იზრდება, ოფიციალური სტატისტიკაც ცხადყოფს. ცოტა ხნის წინ მეილზე კვლევითი და საკონსულტაციო კომპანია „გალთ ენდ თაგარტის“ კვლევა მივიღე, სადაც სხვადასხვა ოფიციალური წყაროსგან მიღებული საინტერესო ინფორმაცია იყო მოცემული. ოფიციალური სტატისტიკითაც ბოლო დროს ირანელი ტურისტების რაოდენობამ ქვეყანაში უკრაინელი ტურისტებისას გადააჭარბა. არადა, უკრაინა საქართველოსთვის ტურისტების სიმრავლით ტრადიციული ქვეყანაა, ისევე როგორც რუსეთი და თურქეთი და სხვა მეზობელი ქვეყნები, მაგრამ, თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, ტურისტული თვალსაზრისით ტრადიციული ქვეყნების გეოგრაფია შეიცვალოს და მეზობლების ნაცვლად, ტურისტების სიმრავლით პირველ პოზიციებზე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები აღმოჩნდნენ.

„ვიზიტორების რაოდენობა ყველაზე მეტად გაიზარდა სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან“

საგარეო შოკების მიუხედავად, რომელმაც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად დაამუხრუჭა ქვეყნის ეკონომიკის განვითარება, ტურიზმი ქვეყანაში მაინც დინამიკურად ვითარდებოდა. მაშინ, როცა ფულადი გზავნილები და ექსპორტი მცირდებოდა, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები პირიქით, იზრდებოდა. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის, ლარის სტაბილურობისთვის ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები ძალიან მნიშვნელოვანია და უცხოური ვალუტის შემოდინების ერთ-ერთ ძირითად წყაროდ განიხილება. მაგალითად, შარშან ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 15% შეადგინა. ანალიტიკოსების შეფასებით, ეს მაჩვენებელი წლეულს 17%-მდე გაიზრდება. სხვათა შორის, საქონლის ექსპორტი გასულ წელს გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე ტურიზმისგან მიღებული შემოსავლები. და თუ გასულ წელს ტურიზმმა 2,2 მილიარდი დოლარი მოგვცა, ხუთი წლის წინ, 2012 წელს, ეს მაჩვენებელი მხოლოდ 1,4 მილიარდი დოლარი იყო.

2017 წლის პირველ ნახევარში ტურიზმიდან უკვე 1,1 მილიარდი დოლარია შემოსული, რაც შარშანდელთან შედარებით 26%-იანი ზრდაა.

ივლისის თვის მაჩვენებლებიდან გამომდინარე, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ გასულ წელთან შედარებით, წლეულს ტურიზმით მიღებული შემოსავლების დაახლოებით 25%-იანი ზრდა გვექნება და წლის ბოლოს ეს მაჩვენებელი 2,7 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

საინტერესოა, რომ საერთაშორისო მოგზაურებმა მხოლოდ ივლისში საქართველოში უცხოური ბარათებით 165,1 მილიონი ლარის ოპერაციები შეასრულეს, ხოლო ჯამურად წლის პირველ ნახევარში ეს მაჩვენებელი 952,3 მილიონი ლარი იყო. ხარჯვის განსაკუთრებით მაღალი წილით გამოირჩევიან რუსი ტურისტები.

საქართველოში ტურისტად მიიჩნევა ის პირი, ვინც ქვეყანაში 24 საათზე მეტხანს გაჩერდება. მიმდინარე წლის შვიდ თვეში ასეთი 1,83 მილიონი კაცი შემოვიდა. მთლიანად ვიზიტორების რაოდენობამ კი ამ პერიოდში საქართველოში 4 მილიონს მიაღწია, მაგრამ მათ შორის არიან ერთდღიანი ვიზიტით შემოსული პირებიც და ტრანზიტით შემოსულებიც. კარგი ის არის, რომ

ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია ყველა ევროკავშირის ქვეყნიდან

ვიზიტორების რაოდენობა ქვეყანაში, ძირითადად, სწორედ ტურისტების ზრდის ხარჯზე იზრდებოდა.

საქართველოში შემოსული ვიზიტორების ბოლო წლების დინამიკას რომ გადავხედოთ,

შარშან საქართველოში 6 360 503 ვიზიტორი შემოვიდა და მათგან ტურისტი 2 720 970 იყო. 2015 წელს საქართველოში 5,9 მილიონი ვიზიტორი შემოვიდა და მათგან ტურისტი 2,2 მილიონი იყო, 2012 წლის 4,4 მილიონი ვიზიტორიდან კი ტურისტი იყო 1,7 მილიონი კაცი.

საქართველოში მხოლოდ ივლისში შემოვიდა 0,98 მილიონი საერთაშორისო ვიზიტორი, რაც დაახლოებით 28%-ით მეტია შარშანდელი ივნისის მაჩვენებელზე.

წამყვანი ქვეყნების ოთხეულიდან, ვიზიტორების რაოდენობა ყველაზე მეტად გაიზარდა სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან. ევროკავშირის ქვეყნებიდან კი მხოლოდ ივლისში საქართველოში 45 ათასი ვიზიტორია შემოსული.

თუ წლეულს შვიდ თვეში საქართველოში შემოსული ვიზიტორების რაოდენობას (3,98 მილიონი) შარშანდელ რიცხვებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია თითქმის ყველა წამყვანი ქვეყნიდან, გარდა თურქეთისა, საიდანაც შემოსული ვიზიტორების რაოდენობა პირიქით, დაახლოებით 13%-ით შემცირდა.

ჩუპიები და ჯიჩჰამები საქართველოში ჩამომსვლელთათვის

ინდური და არაბული ტურისტული სააგენტოები მსურველებს საქართველოში მოგზაურობას სთავაზობენ. პირობებს ინდურ და არაბულ ტურისტულ საიტებზე გაეცნობით. მაგალითად, ერთ-ერთ არაბულ საიტზე მითითებულია, რომ არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან საქართველოს უვიზო მიმოსვლა აქვს და ამ ქვეყანაში მოგზაურობა 1.099 დირჰამად შეუძლიათ (ეროვნული ბანკის კურსით 12 აგვისტოსთვის, დაახლოებით 715 ლარი), რაშიც ფრენისა და სასტუმროს ხარჯებიც შედის.



ერთ-ერთ ინდურ ტურისტულ საიტზე კი წავაწყდით ინფორმაციას საქართველოში შეთავაზებული ტურების შესახებ — ერთი კაცისთვის, ფრენისა და სასტუმროს ხარჯების გარეშე. მაგალითად, ინდოელებს 5.186 რუპიად (დაახლოებით 193 ლარი) სთავაზობენ ტურს ყაზბეგში, ანანურსა და გერგეტზე. მცხეთის, გორისა და უფლისციხის მონახულება 4.494 რუპია (დაახლოებით 167 ლარი) ღირს. ბორჯომის, ვარძიისა და რაბათის ტურის ღირებულება ერთი პერსონისთვის 8.296 რუპიას (დაახლოებით 310 ლარი) შეადგენს. შეთავაზებული ტურებიდან ყველაზე ძვირი კახეთში, ლოპოტის ტურია, სადაც ერთი დღის გატარება 20.740 რუპია (დაახლოებით 772 ლარი) ღირს.

„შემოსევა“

„თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, ტურისტული თვალსაზრისით ტრადიციული ქვეყნების გეოგრაფია შეიცვალოს და მეზობლების ნაცვლად, ტურისტების სიმრავლით პირველ პოზიციებზე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები აღმოჩნდნენ

სამაგიეროდ 2,7-ჯერ არის გაზრდილი ირანიდან შემოსულთა რაოდენობა — 166 ათასი კაცი შვიდ თვეში.

თურქეთიდან ვიზიტორების შემცირება ბოლო პერიოდში ამ ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ არასტაბილურობას უკავშირდება.

გასული წლის ივლისში, როცა თურქეთში სამხედრო გადატრიალების მცდელობა მოხდა, თურქეთის მთავრობამ მოგზაურობაზე შეზღუდვები დააწესა. ამჟამად სარფის საბაჟოზე თურქეთის მხარეს სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს და ესეც არის ტურისტების შემცირების განმაპირობებელი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში თურქეთიდან ინვესტიციების 42%-იანი ზრდა გვაქვს და ეს მაშინ, როცა ყველა მოელოდა, რომ პოლიტიკური გაურკვევლობა ცუდად აისახებოდა საინვესტიციო აქტივობაზე საქართველოში.

ექსპერტები ფიქრობენ, რომ წლეულს თურქეთიდან სულ 300 მილიონი დოლარის ინვესტიცია შემოვა, რაც გასულ წელთან შედარებით 10%-იანი ზრდა იქნება...

ტურისტების რაოდენობის მატებასთან ერთად, იზრდება მათი განთავსების ობიექტების, ანუ სასტუმროების, ჰოსტელების, გესტჰაუსების რაოდენობა. თუმცა, როგორც ტურისტული კომპანიები და სტუმრები ამბობენ, ხელსაყრელ ფასად დაბინავება ხშირად პრობლემაა. მაგალითად, 2016 წელს საქართველოში 1 927 განთავსების ობიექტი იყო, სადაც ოთახების საერთო რაოდენობამ 26 859 შეადგინა. ტურისტები ხშირად საშუალო კატეგორიის, ე.წ. ორ და სამვარსკვლავიანი სასტუმროების სიმცირეს უჩივიან, სადაც გაჩერება ხელსაყრელ ფასად არის შესაძლებელი. საქართველოში ამ თვალსაზრისით თითქოს ორი უკიდურესობა არსებობს — ან მაღალი კლასის სასტუმრო გვაქვს, რომელთა ხარჯებსაც საშუალო-სტატისტიკური ტურისტის ჯიბე ვერ შესწვდება, ან ძალიან დაბალი სერვისის მქონე ღამის გასათევი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ პრობლემას აწყდებიან ტურისტები რეგიონებში და არის შემთხვევები, როცა ტურისტებს ღამის გათევა მანქანაშიც კი უწევთ.

საერთაშორისო ვიზიტორების ზრდასთან ერთად, იზრდებოდა ავიაფრენების სიხშირეც. მაგალითად, მხოლოდ მიმდინარე წლის ივლისში პირდაპირი ფრენების რაოდენობამ მაქსიმუმს მიაღწია და კვირაში საშუალოდ 400 ფრენას. ანალიტიკოსების შეფასებით, ეს დაკავშირებულია ე. წ. მეორადი, ნაკლებად ტრადიციული ბაზრებიდან ვიზიტორების ზრდასთან. მაგალითად,

2017 წლის შვიდ თვეში ახლო აღმოსავლეთიდან საქართველოში ვიზიტორების რაოდენობამ 78 ათასს გადააჭარბა. ამ პერიოდში მხოლოდ საუდის არაბეთიდან საქართველოში ჩამომსვლელთა რაოდენობა, შარშანდელთან შედარებით, 217%-ით გაიზარდა, დაახლოებით 180%-ით გაიზარდა ქუვეითიდან და თითქმის 400%-ით — იორდანიიდან ჩამოსული სტუმრების რაოდენობა.

ემა ტუხაშვილი



SMB
ხარ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელი?
მიიღე მონაწილეობა კონკურსში, გაიმარჯვე და გახდი პროექტის მონაწილე.
223-80-09 smb@palitra.ge იოსებიძის N49

CAMPING in Kazbegi
დასვენება ყაზბეგის კარვებისა და კოტეჯების ქალაქში.
CAMPING KAZBEGI 599 63 10 30

NEO-NEO AESTHETIC CLINIC
ესთეტიკული მედიცინის კლინიკა ნეო-ნეო
ყველა სახის კოსმეტოლოგიური და უახლესი აპარატურული პროცედურა
ლიოდური ეპილაცია - მე-5 თაობის
SOPRANO ICE აპარატი
ტელ: 592 19 11 00 მის: ბახტრიონის 11ბ

ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი
მზერა
პროფესიონალთა გუნდი თქვენი ჯანმრთელობის სადარაჯოზე!
მის: წინანდლის 9 (მეტროსთან 300 არაგველი)
ტელ: 032 2 77-55-88

რა არის ლარიფანი?
“ლარიფანი არის ლატვიური კომპანია, რომელიც წარმოგიდგენთ უნივერსალურ ანტივირუსულ პრეპარატებს - გრიპის, გაცივების, ჰერპესის, ჩუტყვავილას, პაპილომა ვირუსის პროფილაქტიკისთვის და მკურნალობისთვის.
კომპანია ლარიფანის მიერ წარმოებული პრეპარატები უსაფრთხოა - არ აქვს გვერდითი მოვლენები.
გამოიყენება ბავშვებში 0 ასაკიდან და ორსულებში.
„ვირუსების სეზონი“ თქვენი ოჯახისთვის უსაფრთხოა კომპანია ლარიფანთან ერთად. “
larifan®

Kabistoni Wine School and Studio
ღვინის სკოლა სტუდიო კაბისტონი
+995 599 873 517
www.kabistoni.ge

სახურავები.გე
პროფფენილი; მეტალოკრამიტი და სხვა სამშენებლო მასალები თქვენი სახლისთვის და საწარმოსთვის
საუკეთესო ფასად.

ინფორმაციისთვის დაჰეკეთ: ∂ ∂5 95 ∂5 / 570 70 76 14
მისამართი: ქ. თბილისი, ჯედილას #10 www.saxuravebi.ge

აგვისტოს ომის ღლიურები

„სამხედროები, პოლიციელები, გორელები, გამქცევები...“

(დასასრული, დასაწყისი №32)

2008 წლის ომის ერთ-ერთი მოხალისე, აფხაზეთის ომის მონაწილე** აჩიკო ხოფერია **აგვისტოს მოვლენების შესახებ თხრობას აგრძელებს:

„დაიყვირეს – ტანკებიო... უცებ შტაბთან მყოფი მთელი ეს არმადა მანქანებში ჯდება, ჩვენ ყველაზე ბოლოს მოვახტით სოდ-ის ნათხოვარ ნივას და ტანკებს პირისპირ არ შევეჩეხეთ? ღამეა, მოდი და გაარჩიე, ვისი ტანკია. ყოლბაიამ დაგაზა და ტანკებს გადაუსწრო. ხელმარჯვნივ აუხვიე და თუ რუსულია, ერთს მაინც დავადუღებთ-მეთქი. კიდევ კარგი, ბოლო წამს მივხვდით, რომ ჩვენები იყვნენ... გამოდის, ამდენი ხალხი საკუთარმა ტანკებმა გაგვაქცია თავქუდმოგლეჯილი...

— ბრძანება მოვიდა — დისლოკაციის ადგილის შეცვლას და ქარელის გადასახვევთან მისვლას ითხოვდნენ. ეს წყეული ყვითელი ავტობუსები ხომ კარგი სამიზნეა. თან რუსებმაც იციან, რომ ამით მხოლოდ რეზერვისტები გადაჰყავთ. ერთი კარგი გასროლა „ალიგატორიდან“ და 40 კაცი მზად ვიქნებით დასახოცად.

— უფრო სწრაფად ვერ ივლი? — ვეუბნები ერთ ჩვენიანს, რომელმაც ავტობუსის მართვა იკისრა (აბა, მძღოლმა როგორც კი საფრთხე იგრძნო, დატყდა!). როგორც იქნა, ჩავედით ქარელის გადასახვევთან. ორი ჩვენი „ფაგოტი“ დაგვხვდა — 24-ლილვიანი, მეოთხე ბრიგადის იყო და ცოტა გული მოგვეცა... მაშინ მითხრა ირაკლი კოდუამ, ნამდვილად არ გვეგონა, თუ რუსები ასეთი ძალებით ჩაერთვებოდნენ კონფლიქტშიო. თვითონ კოდუა მშვიდად იყო, ერთიორ პანიკიორს საკადრისი პასუხიც გასცა. დარწმუნებული ვიყავი, ის და მისი სპეცრაზმი გასაკეთებელს გააკეთებდნენ. მისი სამხედრო კომპეტენცია დაბალი კი იყო, მაგრამ პოლიციელს მეტი არც მოეთხოვება, ეს ისე, სიმართლისთვის...

ცოტა ხანში ბრძანება მივიღეთ — უკან, ორჭოსანში დავბრუნებულიყავით და სანგრები გაგვეთხარა. ახალი დისლოკაციის ადგილი კომბოსტოს ნაკვეთებია, ზოგი სანგარს თხრის, ზოგი ფიქრობს, სარწყავი არხი როგორ გადააკეთოს სანგრად. მეგობარს ვეუბნები, — მშვენიერი არხია, აბა, ნახე, შიგ თუ ჩაეტევი... ისეთი ვიწროა, ტანკის დაწოლასაც კი გაუძლებს-მეთქი. ისეთი ხარხარი ისმის, წუთით გავიწყდება კიდეც, რომ ომში ხარ.

ორი ოსი ბიჭი მოიყვანეს, მახლობელი სოფლიდან ყოფილან.

— მიდი, ჰკითხე, აქ რატომ მოვიდნენ, — ამბობს ერთი.

— აბა, ბიჭებო, დასხედით, ჯერ მირთვით რამე, — ვანიშნებ პაკეტებზე (სამხედრო პაკეტები სოდ-მა გვიწილადა).

არაო, — დგანან სარგადაყლაპულებივით. კარგი, მაშინ თქვენი ვიზიტის მიზანი გვამცნეთ-მეთქი. ესაო, — დაიწყო ერთმა, — კომბოსტოს დასათვალიერებლად ჩამოვედითო. ამ სიტყვებზე ატყდა ჩოჩქოლი, მერე ხარხარი. ვფიქრობ, თუ დაზვერვაზე გამოუშვეს, ჯანდაბას ჩვენი თავი, მტერს მაინც აქ უნდა დავხვდეთ. ამათ ახლა რომ მოვუჭირო, ან ხელში ანთებული ბალახი დავაჭერინო, ალბათ პუტინის აგენტობასაც დაიბრალებენ... მიდი, დაახვიეთ აქედან სირბილით-მეთქი, — ვუღრიალე. სიტყვა დამთავრებული არ მქონდა, რომ მოკურცხლეს.

საღამოს კასპისკენ გადმოვიწიეთ (დარტმებს ხან სად ელოდნენ, ხან სად და ჩვენც აქეთ-იქით დავრბოდით). გათხრილი სანგრები ოხრად დაგვრჩა, კოდუას ხალხმა — სასწრაფოდ გორში უნდა ვიყოთო. მობრუნებისას ვნახე ჩემი რაზმი, მთვრალები იყვნენ (ორი დღის უძინარ და ნახევრად მშიერ ბიჭებს უცებ მოეკიდათ სასმელი). ამათ მორჯულებას დრო სჭირდება, არადა, გვაჩქარებენ. ესენი დავტოვე და წავიყვანე მხოლოდ ხუთი, ჩემიანი, გამოცდილი.

ეს ჩვენი „05“ როდის გაჩერდება, არ ვიცი, ამიტომ იგოეთის გადასახვევთან ჩარიგებულ ჯიხურებს მივადექით. ერთი ხნიერი ქალი დაგვხვდა. დედი, მანქანას აქ დავტოვებთ, შიგ რაღაცები გვიყრია-მეთქი. პასუხად ის მივიღეთ, რასაც არ ველოდი, — მომაშორეთ აქედან, ვაჭრობაში ხელს მიშლისო(?!). რა უნდა გვქნა, იქვე, შორიახლო დავტოვეთ...

გორში ამბავი დაგვახვედრეს, — ყოველ წამს ველოდებით რუსების გამოჩენასო... მთელი თბილისის კაი ბიჭობას აქ ვნახულობ. მთაწმინდელ გიორგი მიქაძეს გორში ნაღდად არ ველოდი, აფხაზეთში ერთად ვიბრძოდით. გურჩიანსაც მოვკარი თვალი. ვხვდები შიხიაშვილს, გაბრაზებულია, — ესენი გამქცევები არიანო, — ნაცებზე მეუბნება და ჩვენ რა გეგმები გვაქვსო? სამხედრო საიდუმლოს ხომ არ გავთქვამდი, ამიტომ წავიოხუნჯე — რა და, ქალაქი რომ დაეცემა, დათო ყოლბაიას სარდაფში დავიმალებით და მერე კაბებგადაცმულები გავიპარებით-მეთქი. შიხა ეჭვიანად მიყურებს — დამიჯეროს თუ არა. მერე ხელი აიქნია, რაღაც წაიბურტყუნა და შტაბში შებრუნდა.

ქალაქი „სასწრაფოებით“ არის სავსე, ყველა გაქცევაზე ფიქრობს. ექიმების და ექთანების განწყობამ დამაინტერესა და „სასწრაფოებთან“ მივედი. უმეტესობა პატარა გოგოები არიან, მშვიდები და მობილიზებულები, ცოტა არ იყოს, მეც დავმშვიდდი და შტაბში წავედი. უკვე ღამეა, თუმცა შტაბთან მილეთის ხალხი ირევა, „ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე ცნობილი სახეც შევნიშნე. ვანოც აქ არის, მერაბიშვილი. შტაბში შევედი, იქაურობას თვალი მოვავლე — ერთი პატარა ოთახია, რამდენიმე კაცი წყნარად საუბრობს, აღელვება არც ვანოს ემჩნევა. ვიღაცები ირაკლი კოდუას შემოხვევიან. ჩემი იქ გაჩერება უაზრო იყო, ამიტომ გარეთ გამოვედი. ვინ არ ირევა იქ — სამხედროები, პოლიციელები, გორელები, გამქცევები... მოკლედ, აქაურობა სასიამოვნო სანახავი ნამდვილად არ არის. გადაწყვეტილებას ველოდები. კოდუა გარეთ გამოდის. მითხრეს, ორ საათში გორზე დარტმას ველოდებითო. ამის მთქმელს ვცდილობ, ავუხსნა, რომ ეს სისულელეა და რუსები ორი დღე ქალაქში არ შემოვლენ... თან გორის მისადგომებთან მოუმზადებლად ბრძოლის გამართვა მაშინ, როდესაც მოსახლეობა ევაკუირებული არ არის, დიდი შეცდომა იქნება... მიდი, ეს კოდუას უთხარიო, — მაძალებენ. მივედი და ვეუბნები... როგორც ყოველთვის, აქაც გამოჩნდა არამკითხე მისი გარემოცვიდან, ერთი მუტრუკი ჯეელი, ნაძვის ხესავით აჩონჩხილი ჰქონდა ყველაფერი, დამიწყო — ვინ იძლევა გარანტიას, რომ გორს ღამით არ შეუტევენო. ვეუბნები, სანამ რუსები სივრცეს არ აითვისებენ, აქ ფეხის შემომდგმელები არ არიან-მეთქი. კოდუაც დამეთანხმა — დუმილით. მერე გვერდზე გადის და ვიღაცას ტელეფონზე ესაუბრება. ამ დროს დაიყვირეს — ტანკებიო. რა ტანკები, ნუთუ შევცდი-მეთქი, — ვიგინები გულში. უცებ შტაბთან მყოფი მთელი ეს არმადა მანქანებში ჯდება, ჩვენ ყველაზე ბოლოს მოვახტით სოდ-ის ნათხოვარ ნივას და ტანკებს პირისპირ არ შევეჩეხეთ? ღამეა, მოდი და გაარჩიე, ვისი ტანკია. ყოლბაიამ დაგაზა და ტანკებს გადაუსწრო. ხელმარჯვნივ აუხვიე და თუ რუსულია, ერთს მაინც დავადუღებთ-მეთქი. კიდევ კარგი, ბოლო წამს მივხვდით, რომ ჩვენები იყვნენ... გამოდის, ამდენი ხალხი საკუთარმა ტანკებმა გაგვაქცია თავქუდმოგლეჯილი...

მომდევნო დღეებში ჩვენ, ნაომარი ხალხი, ვფიქრობდით, რომ თუ რუსები დაიკავებდნენ საქართველოს, პარტიზანული მოძრაობა უნდა გაგვეშალა... ყველაფერი დაწვრილებით გვქონდა გაანგარიშებული...

როცა გადავწყვიტე, რომ უკვე აღარაფერს ჰქონდა აზრი, თბილისში დავბრუნდით და სოდ-ს თავისი ნივა დავუბრუნეთ, ჩვენ კი მთელი შეიარაღებით ჩემი მამიდაშვილის ბინაში დავბინავდით „მოდულის“ პირდაპირ. ერთი კვირის შემდეგ, როცა ჩავთვალე, რომ ყველაფერი მორჩა, დავურეკე კოდუას — თქვენ წინ ახლა მთელი არსენალი მაქვს, მოვიტან და ჩაგაბარებ-მეთქი. მოვიდნენ. გაივსო ერთი მანქანა. წასვლის წინ ხელწერილი მოვითხოვე. არ უნდა, კაცო, ირაკლიმ იცისო. ბოლოს მაინც დამიწერეს, რომ ერთი მანქანა იარაღი ჩაიბარეს.

ომი, რომელიც მოულოდნელად დაიწყო, ასევე მოულოდნელად დამთავრდა...

ნინო ბურჭულაძე

სახალხო აფთიაქი

ანტი-ქოლესტერინი არის უმაღლესი ხარისხის მცენარეული საშუალება, რომელსაც აწარმოებს ბრიტანული კომპანია HEALTHAID

ანტი-ქოლესტერინი:
აშორებს ზედმეტ ცხიმს და აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას
ამაგრებს სისხლძარღვებს
აუმჯობესებს გულის მუშაობას
ამაღლებს შრომისუნარიანობას და აძლიერებს იმუნიტეტს,

ანტი-ქოლესტერინი შეიცავს კუნელს, ცაცხვის ყვავილს და ნიორს, შესაბამისად:
კუნელი კვებავს გულის კუნთს, აწესრიგებს გულისცემას და გულის მუშაობას. კუნელს გულის პურსაც უწოდებენ.
ცაცხვის ყვავილს აქვს დამამშვიდებელი მოქმედება
ნიორი ხელს უწყობს პროთრომბინისა და ქოლესტერინის დონის მოწესრიგებას.

ანტი-ქოლესტერინის ბრიტანული ხარისხი განაპირობებს მის ეფექტურობასა და უსაფრთხოებას ხანგრძლივი გამოყენებისას. ანტი-ქოლესტერინში არსებული მცენარეები მოპოვებულია ეკოლოგიურად სუფთა გარემოში და დამუშავებულია უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად

მიღების წესი: გამოყენებამდე კარგად შეანჯღრიეთ, მიიღეთ 20-30წვეთი (1მლ) მცირე რაოდენობის წყალთან ერთად.

მოიკითხეთ სახალხო აფთიაქის ქსელში.
კუპონის წარმოდგენისას თუ შეიძენთ ერთ კოლოფს, მკურნალობის კურსის დასასრულებლად საჩუქრად მიიღებთ მეორე კოლოფს.

მწარმოებელი: HEALTHAID LTD, HealthAid House, Marlborough Hill, ჰაროუ, მიდლსექსი HA1 1UD, დიდი ბრიტანეთი

ინფორმაციისთვის დარეკეთ ტელ: 577 04 90 12

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲬᲧᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲝᲛᲘ...

***25** წლის წინ, 1992 წლის 14 აგვისტოს, აფხაზეთში ომი დაიწყო, რომელიც 13 თვეს გაგრძელდა და მისმა მძიმე შედეგმა უდიდესი უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს განვითარებაზე.*

შეიძლებოდა თუ არ თავიდან აგვეცილებინა ეს სისხლისმღვრელი ომი? ამ კითხვაზე სხვადასხვა პასუხი არსებობს, მაგრამ უდავოა, რომ ამ ომში საქართველოს ჩათრევას, რომელსაც ახალგამოცხადებული ჰქონდა დამოუკიდებლობა, ძალზე გავლენიანი ძალები ცდილობდნენ... მინდა, გავიხსენო ომის წინა პერიოდის ერთი ეპიზოდი, რომლის თვითმხილველი და მონაწილე თვითონ გახლდით. 1992 წლის ივლისიდან, როგორც სამხედრო კორესპონდენტი, ვიყავი ცხინვალის რეგიონში, ქართულ სამშვიდობო ბატალიონში, რომელიც ზემო ნიქოზთან, ყოფილი საბჭოთა საშვეულმფრენო პოლკის ტერიტორიაზე იყო განთავსებული. აგვისტოს ერთ დღეს პოლკოვნიკ კარლენ კალანდაძესთან ერთად, რომელიც გამოცდილი მენაღმე-ინჟინერი გახლდათ, 4 კაცი „უაზით“ ცხინვალიდან ახალციხეში გავემგზავრეთ რუსებისგან შეიარაღების მისაღებად.

ეს ფოტო 1993 წლის სექტემბრის ბოლოს აფხაზეთში, მაჭარკის ხიდთან გადავიღე. უკვე ალყაში ვიყავით და ეს ბოლო ქართული ტანკი იყო, რომელიც ჯერ ისევ იბრძოდა... ასზე მეტი ასეთი ტანკი რუსმა გენერლებმა სასწრაფოდ გადმოგვცეს 1992 წლის აგვისტოში — მათ ხომ იცოდნენ, რომ აფხაზეთში დიდი ომი უნდა დაწყებულიყო...

მაშინ ახალციხეში ყოფილი საბჭოთა მე-10 კადრირებული მოტომსროლელი დივიზია იყო დისლოცირებული და საქართველოს სახელმწიფო საბჭომ მოსკოვთან მიაღწია შეთანხმებას ამ დივიზიის შეიარაღების ახალჩამოყალიბებული ქართული არმიისთვის გადაცემის შესახებ.

ახალციხეში, დივიზიის შტაბის შენობის წინ, დაუჯერებელ დიალოგს შევესწარი. დივიზიის მეთაური რუსი გენერალი საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, პოლკოვნიკს, რუსული „ფოლკლორული“ გამონათქვამების გამოყენებით „ესაუბრებოდა“: „აჰა, ტანკები, „გრადები“, ჰაუბიცები“, „შილკები“, ნაღმები — ყველაფერს გაძლევთ, ოღონდ სასწრაფოდ წაიღეთ, სასწრაფოდ...“

„ქართველებსაც და აფხაზებსაც მეტი იარაღი მიეცით, რომ უფრო მეტად დახოცონ ერთმანეთი...“

გაკვირვება ვერ დავმალე — ზუსტად ორი თვით ადრე, 13 ივნისს, გორში, სატანკო ნაწილის ტერიტორიაზე მომხდარი შეტაკების შემდეგ რუსებმა ტანკები ქალაქში გამოიყვანეს და მანქანებს გადაუარეს, არადა, ტანკების ქართული მხარისთვის გადმოცემა ნაწილის მეთაურთან თითქოს შეთანხმებული იყო.

რა მოხდა ისეთი, რომ გორის ტრაგედიიდან ორი თვის თავზე რუსი გენერლები აქეთ გვეხვეწებოდნენ, სასწრაფოდ წაიღეთ ტანკები და სხვა შეიარაღებაო? — ეს კითხვა ახალციხიდან სოფელ კლდემდე გზაში მოსვენებას არ მაძლევდა, მაგრამ როდესაც ამ სოფელთან საინჟინრო საწყობში შევედით, ენა ჩამივარდა — რუსები 25 ათას ტანკსაწინააღმდეგო ნაღმს გვაძლევდნენ! თითოეულ ყუთში ხუთი ნაღმი იდო. წარმოიდგინეთ ხუთი ათასი ერთმანეთზე დაწყობილი ყუთი, რომლებიც უზარმაზარ პირამიდას ქმნიდა...

ძალიან გვიხაროდა — ამდენი შეიარაღება მანამდე არც ქართულ გვარდიას და არც ახალჩამოყალიბებულ არმიას არც კი დასიზმრებია.

იმავე დღეს აბასთუმნის შესასვლელთან სამხედრო-საინჟინრო ტექნიკის სამხედრო ნაწილიც გადმოვიბარეთ, სადაც განაღმვითი სამუშაობის ჩასატარებელი სპეციალური საინჟინრო ჯავშანტექნიკა იდგა, რომელიც ასე გვჭირდებოდა ცხინვალის რეგიონში დანაღმულ ქართულ სოფლებთან მიმავალი გზების გასანაღმავად.

სამხედრო ტექნიკის ნაწილის გადმოცემის პროცესი დილამდე გაჭიანურდა. მშვენიერი დილა გათენდა — 1992 წლის 14 აგვისტო. უკან, ცხინვალისკენ, გახარებული ვბრუნდებოდით — მალე სულ გავნაღმავდით სოფლების გზებს და აღარავინ აფეთქდებოდა...

შუა გზაში რადიოთი შევიტყვეთ, რომ აფხაზეთში შეიარაღებული შეტაკება დაიწყო და მაშინვე მივხვდით, რომ რუსების მიერ ასე „დიდსულოვნად“ გადმოცემულ ნაღმებს მალე საქმე გამოუჩნდებოდათ... მოგვიანებით გაირკვა, რომ 14 აგვისტოსვე გუდაუთაში გათამაშდა რუსულ სამხედრო ნაწილზე აფხაზების ვითომდა თავდასხმის სცენარი, რის შემდეგაც მოწინააღმდეგეს ხელში ათასზე მეტი ავტომატი და ტყვიამფრქვევი ჩაუვარდა.

უდავოა, ქართველებსაც და აფხაზებსაც რუსი გენერლები იარაღს ერთი მიზნით გვაძლევდნენ — გეყოთ ერთმანეთის კეტებით ცემა, აი, „კალაშნიკოვები“, ტყვიამფრქვევები, ტანკები, ჰაუბიცები და ხოცეთ ერთმანეთი უფრო მონდომებით და მრავლად!..

ᲕᲐᲖᲘᲐᲜᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ „ᲯᲐᲕᲔᲚᲘᲜᲘ“ ᲛᲘᲖᲐᲜᲡ ᲛᲝᲮᲕᲓᲐ

პირველად „ჯაველინი“ ვაზიანის პოლიგონზე ამერიკელმა სამხედროებმა გაისროლეს. კარგი იქნება, მომავალში „ჯაველინებით“ უკვე ქართველმა სამხედროებმა ივარჯიშონ...

ამერიკელმა სამხედროებმა მესამე თაობის ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსი „ჯაველინი“ პირველად გამოიყენეს ქართულ პოლიგონზე

ᲣᲘᲢᲧᲕᲐ „ᲯᲐᲕᲔᲚᲘᲜᲘ“ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲬᲕᲠᲕᲐᲚᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ. ᲔᲰ, „ᲯᲐᲕᲔᲚᲘᲜᲘ“ ᲠᲝᲛ ᲒᲕᲥᲝᲜᲝᲓᲐ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲝᲛᲨᲘ, ᲠᲣᲡᲣᲚ ᲢᲐᲜᲙᲔᲑᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲛᲘᲕᲐᲧᲝᲚᲔᲑᲓᲘᲗᲝᲗ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲣᲗᲥᲕᲐᲛᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲔᲑᲡ, ᲛᲐᲗᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲙᲝᲚᲔ�გᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲓᲝᲜᲔᲪᲙᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲨᲘ „ᲯᲐᲕᲔᲚᲘᲜᲔᲑᲖᲔ“ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲔᲜ.

და აი, მრავალეროვნულ სამხედრო სწავლებაზე „ღირსეული პარტნიორი-2017“ აშშ-ის არმიის მე-2 საკავალერიო პოლკმა არა მარტო ჩამოიტანა საქართველოში „ჯაველინები“, არამედ ვაზიანის პოლიგონზე ჩვენ თვალწინ წარმატებით გამოიყენა კიდეც.

ვაზიანის პოლიგონზე სამიზნედ გამოყენებულ „საწყალ“ საბჭოთა ჯავშანტრანსპორტიორს მანამდეც არაერთი ჭურვი მოხვედრია, მაგრამ ყველა — შუბლა და გვერდითა ჯავშანში, იმ დღეს კი მას ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა პირველად დაეცა ზემოდან...

სწორედ ეს განასხვავებს მესამე თაობის ტანკსაწინააღმდეგო მართვად სარაკეტო კომპლექს „ჯაველინს“ მოძველებული რუსული ანალოგიური დანიშნულების შეიარაღებისგან — მას შეუძლია ტანკის აფეთქება ზემოდან. ეს ნაწილი ნაკლებად არის შეჯავშნული, ვიდრე ტანკის შუბლი.

მეორე და უმთავრესი პლუსი ამერიკული „ჯაველინის“ არის ის, რომ იგი „გაისროლე-დაივიწყე-მოარტყი“ პრინციპით მოქმედებს, ანუ ტანკის მიზანში ამოღებისა და რაკეტის სტარტის შემდეგ მას ოპერატორის მართვა აღარ სჭირდება — კარგად დაგეშილი მეძებარი ძაღლივით ბოლომდე მიჰყვება სამიზნეს.

მესამე პლუსი — „ჯაველინის“ დასამიზნებლად არ გამოიყენება ლაზერის სხივი, რაც ნიშნავს, რომ რუსული ტანკების ეკიპაჟებს ამ ტანკებზე დამონტაჟებული ლაზერული დასხივების აღმომჩენი დეტექტორები მისი დამიზნების შესახებ განგაშის სიგნალს ვერ მისცემს.

მაგრამ იდეალური იარაღი ბუნებაში არ არსებობს და, რა თქმა უნდა, „ჯაველინისაც“ აქვს ნაკლი. თუკი სამიზნე ტანკის ეკიპაჟმა მოასწრო კვამლისა და აეროზოლის ღრუბლის შემქმნელი ყუმბარების გატყორცნა, რომლებიც რამდენიმე წამში ფარავს ტანკის სილუეტს, „ჯაველინის“ სითბოვიზური დამიზნების სისტემამ შეიძლება „ჩაჭერილი“ მიზანი თვალთახედვის არეალიდან დაკარგოს. თუმცა, ტანკის ტრიპლექსებიდან მზირალი ეკიპაჟის წევრებისთვის თითქმის შეუძლებელია ორი კილომეტრიდან გაშვებული „ჯაველინის“ სტარტისა და მით უმეტეს — ფრენის რთული ტრაექტორიის აღმოჩენა. ოღონდ, თუკი ტანკი აღჭურვილია აქტიური თავდაცვის სისტემის ლოკატორით, მას ბოლო წამებში შეუძლია ამ რაკეტის აღმოჩენა, სწორედ მაშინ, როდესაც „ჯაველინი“ ტანკის სახურავზე პიკირებს.

„ჯაველინის“ მეორე და მთავარი პრობლემა მისი ფასია — ერთი სარაკეტო კომპლექსი, რომელშიც არის მრავალჯერადი გამოყენების სამეთაურო-გამშვები ბლოკი და თვითდამიზნებადი მართვადი რაკეტა, 250 ათას დოლარამდე ღირს, არადა, ამ ფასად ერთ ნახმარ ტანკს იყიდი.

„ჯაველინის“ კონკურენტია ისრაელის წარმოების „სპაიკი“, რომელიც მას არაფრით ჩამოუვარდება (სტატიის ავტორს ჯერ კიდევ 1999 წელს მიეცა საშუალება, ბუქარესტში, შეიარაღების საერთაშორისო გამოფენაზე, „სპაიკის“ სარაკეტო კომპლექსი დაეთვალიერებინა), თუმცა მისი ფასიც 200 ათას დოლარს აღწევს. გასული წლის აპრილის ოთხდღიან ომში მთიან ყარაბაღში აზერბაიჯანელმა სამხედროებმა „სპაიკებით“ ათზე მეტი სომხური ტანკი გაანადგურეს.

ამჟამად მიმდინარეობს უკრაინისა და აშშ-ის ინტენსიური მოლაპარაკებები დონბასში მებრძოლი უკრაინის არმიის დანაყოფებისთვის „ჯაველინების“ მიწოდების თაობაზე. თუკი ეს პროცესი წარმატებით დამთავრდა, უკრაინელებს რუსული ტანკების შესაჩერებლად ზუსტი და ეფექტიანი იარაღი გაუჩნდებათ.

რაც შეეხება ქართულ არმიას, ცხრა წლის წინ, აგვისტოს ომის დროს, მართალია, მესამე თაობის „ჯაველინები“ არ გვქონდა (ისევე, როგორც დღეს არ გვაქვს), მაგრამ საწყობები სავსე იყო ბულგარეთში ნაყიდი ტანკსაწინააღმდეგო „ფაქტორიებით“ („ფაგოტის“ მოდერნიზებული ვერსია), რომლებიც მასობრივად ვერ ან არ გამოვიყენეთ და მათი ნაწილი მოწინააღმდეგემ ალაფად წაიღო. შეიძლება ამ „ფაქტორიებს“ რუსული ტანკების დინამიკური დაცვით აღჭურვილი შუბლა ჯავშანი ვერ გაერღვია, მაგრამ გვერდიდან მოხვედრისას დააზიანებდა მაინც, ქვეითთა საბრძოლო მანქანებსა და ჯავშანტრანსპორტიორებს კი ბოლომდე გაარღვევდა...

ასე რომ, მთავარი „ჯაველინების“ ქონა-არქონა არ არის, მთავარია, რაც გაქვს, მოუფრთხილდე, ტექნიკურად გამართული გქონდეს (და არა ისე, სტარტაღებული რაკეტა იქვე, რამდენიმე მეტრში რომ ვარდება) და მებრძოლებს მისი ზუსტად გამოყენება ასწავლო.

ყველაზე თანამედროვე ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღება, რაც კი ქართულ არმიას აქვს, უკრაინული წარმოების „სკიფებია“, რომლებსაც „ჯაველინზე“ ორჯერ უფრო შორს — ხუთ კილომეტრზე შეუძლია ტანკის აფეთქება. მართალია, ის ზემოდან არ ხვდება ტანკს, მაგრამ ტანდემურად განთავსებული ორი კუმულაციური ქობინის საშუალებით ჯერ ტანკის შუბლა ჯავშანზე დაყენებულ დინამიკური დაცვის ელემენტს აფეთქებს, შემდეგ კი 800 მმ სისქის მონოლითური ჯავშნის ეკვივალენტ ჯავშანს ხვრეტს.

ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, პირველი „სკიფები“ უკრაინამ აგვისტოს ომის დაწყებამდე მოგვაწოდა, თუმცა ისინი ბრძოლებში არ გამოგვიყენებია. ომის შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში, ქართული არმიის ერთ-ერთ ყველაზე დიდ საიდუმლოდ არსენალში „სკიფების“ ქონა ითვლებოდა (ჩვენც თავს ვარიდებდით ამ თემაზე წერას), სანამ ისინი 26 მაისის დღესასწაულზე, სხვადასხვა ქალაქში, შეიარაღების სხვა ნიმუშებთან ერთად არ გამოფინეს.

მტკიცება, თითქოს ქართულ არმიას სავარაუდო მოწინააღმდეგის ტანკების მოსაგერიებელი საშუალებები არ გააჩნია, რა თქმა უნდა, მართებული არ იქნებოდა, თუმცა „ჯაველინები“ ნამდვილად არ გვაწყენდა. ის თავდაცვითი დანიშნულების შეიარაღების კლასს განეკუთვნება და აშშ-ის ხელისუფლება, წესით, არ უნდა ორჭოფობდეს, „ჯაველინები“ მიჰყიდოს ან სულაც — საერთაშორისო სამხედრო დახმარების პროგრამის ფარგლებში გადასცეს სტრატეგიულ პარტნიორსა და მეგობარ ქვეყანას — საქართველოს, რომლის არმიის მებრძოლები ავღანეთში ამ პარტნიორობისთვის სიცოცხლეს წირავენ.

რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა

მოზაიკა

პრეზიდენტების მანქანები

პრეზიდენტების ცხოვრების, საქმიანობისა თუ პირადი ცხოვრების დეტალები ყოველთვის იწვევს საზოგადოების ინტერესს. ამ მხრივ არც ქართველები ვართ გამონაკლისი. ჩვენს რუბრიკაში ქართველი პრეზიდენტების მანქანებზე მოგითხრობთ.

ზვიად გამსახურდია

პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია უმეტესწილად მუქი ნაცრისფერი SL კლასის „მერსედესით“ გადაადგილდებოდა, რომელიც მეშვიდე კატეგორიის ჯავშანმანქანას წარმოადგენდა. ეს ავტომობილი, როგორც სახელმწიფო საკუთრება, 1991 წელს კახი ასათიანმა (მაშინდელი ოფიციალური პირი) გერმანიაში 42.000 მარკად შეიძინა. სწორედ ამ მანქანით გაემგზავრა (გადატრიალების დროს) პრეზიდენტი გამსახურდია სომხეთში, ქალაქ იჯევანში, შემდეგ კი გროზნოში გადავიდა, „მერსედესი“ კი იჯევანში დატოვა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს მანქანა საქართველოში დააბრუნეს.

რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნდა განცხადება, რომ 32.000 დოლარად იყიდებოდა ლურჯი დაჯავშნული „მერსედესი“ და ის, თავის დროზე, ზვიად გამსახურდიას ეკუთვნოდა. თუმცა მოგვიანებით პრეზიდენტის ვაჟმა კონსტანტინე გამსახურდიამ განაცხადა, რომ პრეზიდენტის ესკორტში მუქი ნაცრისფერი და ოქროსფერი მანქანები ირიცხებოდა.

ედუარდ შევარდნაძე

პრეზიდენტი შევარდნაძე ავტომობილს ანიჭებდა უპირატესობას, თუ დრო ჰქონდა, უარს ამბობდა თვითმფრინავით ან შვეულმფრენით მგზავრობაზე. სიჩქარის მოყვარულიც არასდროს ყოფილა. კარიერის განმავლობაში არაერთი ავტომობილი გამოიცვალა და სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობისას მძღოლი ყოველთვის ემსახურებოდა. თუ არ ჩავთვლით მცხეთის რაიკომის მდივნობის 6-თვიან პერიოდს, როდესაც თავად უწევდა „გაზ-69“-ის, „ვილისის“ მართვა მაღალმთიან სოფლებში მგზავრობისას.

ცენტრალური კომიტეტის მდივნობის პერიოდში „ვოლგა“ ემსახურებოდა. 90-იან წლებშიც, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორის, გურამ ქაშაკაშვილის ნაჩუქარი „ვოლგით“ გადაადგილდებოდა.

1995 წელს, პირველი ტერაქტის შემდეგ, ამერიკელებმა ჯავშნიანი „მერსედესი“ აჩუქეს. 1998 წლის მეორე ტერაქტს შევარდნაძე კი გადაურჩა, მაგრამ მისი „მერსედესი“ — ვერა.

„ვიცოდი, რომ ჯავშნიანი „მერსედესი“ საიმედო იყო, მაგრამ ექსპერტებმა მაინც სასწაული უწოდეს იმას, რომ მან ორ „მუხას“ გაუძლო. ამ მანქანამ უიმედო ვითარებაში გადამარჩინა. პირველი ჭურვი საბარგულს მოხვდა, მეორე კი საქარე მინას. სამაგიეროდ, ავტომობილის სალონს, ფაქტობრივად, არაფერი მოსვლია. დაცვამაც იყოჩაღა“, — იტყვის მოგვიანებით შევარდნაძე.

ტერაქტიდან რამდენიმე დღის შემდეგ გერმანიიდან ვინმე ვაიზეგერი ჩამოვიდა და ედუარდ შევარდნაძეს ჯავშნიანი „მერსედესი“ გადასცა საჩუქრად, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდგომაც მის განკარგულებაში დარჩა.

1998 წლის ტერაქტმა მსოფლიოში დიდი რეზონანსი გამოიწვია — ამბობენ, რომ ამ ამბის შემდეგ ჯავშნიან „მერსედესზე“ მოთხოვნა გაიზარდა. ცნობილია ისიც, რომ გერმანელები შევარდნაძეს მისი გადამრჩენელი „მერსედესის“ სარეკლამო რგოლში გადაღებას სთხოვდნენ, რაშიც პრეზიდენტს სოლიდური გასამრჯელოც შესთავაზეს, მაგრამ მაინც ვერ დაითანხმეს. 1998 წლის 9 თებერვლის ტერაქტსა და პრეზიდენტ შევარდნაძის დაცვის სისტემას „დისქავერიზე“ გადაცემათა ციკლიც მიეძღვნა.

მიხეილ სააკაშვილი

როგორც ამბობენ, პრეზიდენტობამდე სააკაშვილი „ვილისით“ დადიოდა, ერთხანს „ოპელ ომეგასაც“ მართავდა. როდესაც პრეზიდენტი გახდა, მისთვის შეიძინეს S კლასის „მერსედესის“ 2012 წლის მოდელი — იმ დროისთვის ბოლო გამოშვება.

სააკაშვილის გადაადგილების საყვარელი საშუალება ველოსიპედიც იყო, აღარაფერს ვამბობთ თვითმფრინავზე. პრეზიდენტი საზოგადოებაში ხშირად ჩნდებოდა ელექტრომობილ Nissan Leaf-ითაც. ეს ავტომანქანა კანადაში ააწყვეს. მიხეილ სააკაშვილისა და ვერა ქობალიას კანადაში ვიზიტისას, პრეზიდენტმა ჩაიფიქრა, რომ საქართველოს სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები ელექტრომობილებზე გადაესვა. წინასწარი გათვლებით, პროექტი 150 მილიონი ლარის ღირებულებისა იყო. თუმცა ჩანაფიქრი ჩანაფიქრადვე დარჩა. მხოლოდ 3 Nissan Leaf-ი ჩამოიყვანეს საქართველოში, ერთს თავად პრეზიდენტი მართავდა.

გიორგი მარგველაშვილი

მოგეხსენებათ, საპრეზიდენტო ავტოპარკი მხოლოდ ერთ ან ორ ავტომობილს არ ითვლის, თუმცა საქართველოს დღევანდელ პრეზიდენტს ყველაზე ხშირად ხედავენ S კლასის „მერსედესით“ და Toyota-ს ჯიპით.

P.S. ბევრ ქვეყანაში პრეზიდენტების მანქანები მუზეუმებში იდებენ ბინას. იმედია, ოდესმე საქართველოშიც გადაიქცევიან სამუზეუმო ექსპონატებად.

ეკა სალაღაია

თბილისის ზღვის ავტოპლაჟი

ამ ზე თავზე მოექცა თბილისის ზღვას და მიუხედავად იმისა, რომ სანაპირო მოუწყობელია, პლაჟზე ხალხი მრავლადაა. ძალიანაც რომ მოინდომოთ, ზღვის ნაპირის ახლოს ვერსად ნახავთ თავის შესაფარებელ ჩრდილობს, აქ ჩირგვიც კი სანატრელია. სამაგიეროდ, გინდათ თუ არა, გვარიანად გაირუჯებით. ნაპირისგან მოშორებით, ბორცვებზე მეჩხრად ჩარიგებულან ფიჭვები — ეს ლუდის მოყვარულთა სამფლობელოა.

ის იყო, ლექსომ შუა ზღვისკენ თავგადასავლის საძიებლად მიმართა ნავი, რომ უეცრად იქვე მდგომმა „ნისანის“ მარკის ავტომობილმა მშვიდად გადაჭრა პლაჟი და ზღვაში შესრიალდა. შემდეგ რამდენჯერმე ტანზე ღონივრად გადაივლო წყალი, წყალმარჩხში ჩაუშვა ღუზა და მსხვერპლის მომლოდინე თეთრი ზვიგენივით გაიტრუნა... ლექსოს ვეუბნები, რომ მალე ყველაფერი გამოსწორდება, რომ აქ ყველაზე მაგარი სანაპირო ექნებათ ბავშვებს, თუმცა, ახსნა-განმარტება დამთავრებული არ მქონდა, რომ მოძველებულმა შინდისფერმა „ოპელმა“ ხვნეშა-ხვნეშით აგვიარა გვერდი და ოციოდე მეტრში მტვრიანი ცხვირ-პირი წყალში ჩაყო, ხოლო იქიდან ენერგიულად ისკუპა მძღოლმა და თავისი მზედაკრული მერანის ხეხვა-ჭეჭყვას შეუდგა

მივუყვები უქვიშო სანაპიროს და ფერად-ფერად კენჭებს ვეძებ. არადა, იოლად შეიძლება ახლომახლო მდინარეებიდან ჭარბი ნატანის ამოღება და ნაპირზე გაშლა... ლამს ვინ ჩივის, მაგრამ კარგი იქნება, ამ წვეტიან, ბასრ ნაშალზე არ იმტვრევდეს ხალხი ფეხებს და ამის ნაცვლად რიყის ქვებით მოიკირწყლოს აქაურობა. სიცხისგან გათანგული ადამიანები თავს არიდებენ კითხვებზე პასუხს. ყველაფერი ხომ ისედაც ნათელია, ყველას უნდა სუფთა სანაპირო. ცოტა ხანში მაინც ვიპოვე მოსაუბრე:

— ხმა გავარდა, ჩინელებმა კორპუსები რომ ააშენეს, სანაპიროსაც მოაწყობენო, მაგრამ იმათაც იმედი გაგვიცრუეს, — უკმაყოფილოდ აქნევს თავს ავთო ვარსიმაშვილი და სანაოსნოდ წამოყვანილ დისშვილს გასაბერი ნავით ზღვაში მიაცურებს. პატარა ლექსო მომავალი მეზღვაურია, ენაწყლიანი რესპონდენტიც აღმოჩნდა. ის იყო, შუა ზღვისკენ თავგადასავლის საძიებლად მიმართა ნავი, რომ უეცრად იქვე მდგომმა „ნისანის“ მარკის ავტომობილმა მშვიდად გადაჭრა პლაჟი და ზღვაში შესრიალდა. შემდეგ რამდენჯერმე ტანზე ღონივრად გადაივლო წყალი, წყალმარჩხში ჩაუშვა ღუზა და მსხვერპლის მომლოდინე თეთრი ზვიგენივით გაიტრუნა. ლექსომ ნავი ნიჩბებით დაამუხრუჭა და გაკვირვებული გვიყურებს ხან ჩვენ, ხან „ნისანს“. მერე წყლიდან ამოდის და გვეკითხება:

— ეს ზღვა საბანაოა თუ ავტოსამრეცხაო? ლექსოს ვეუბნები, რომ მალე ყველაფერი გამოსწორდება, რომ აქ ყველაზე მაგარი სანაპირო ექნებათ ბავშვებს, თუმცა, ახსნა-განმარტება დამთავრებული არ მქონდა, რომ მოძველებულმა შინდისფერმა „ოპელმა“ ხვნეშა-ხვნეშით აგვიარა გვერდი და ოციოდე მეტრში მტვრიანი ცხვირ-პირი წყალში ჩაყო, ხოლო იქიდან ენერგიულად ისკუპა მძღოლმა და თავისი მზედაკრული მერანის ხეხვა-ჭეჭყვას შეუდგა.

მალე მას მოტორის ღრიალით სიმინდის დამტარებელი „ჟიგულიც“ მიჰყვა. სიმინდით სავსე ქვაბი პირდაპირ კაპოტზე დაემაგრებინა მძღოლს. ყველაფერს მოფიქრება უნდა, შავი ზღვის სანაპიროზე ბევრს წვალობენ დამტარებლები, დღეში რამდენჯერმე აცხელებენ გაცივებულ სიმინდს, აქ კი სხვაგვარად არის საქმე — მოხარშავ დილით, შემოდგამ მანქანის ცხვირზე და საღამომდე თუხთუხებს სიმინდი, ძრავის სიმხურვალე გაცივების საშუალებას არ აძლევს. თუ ბედი გაუღიმებთ და სულ გაყიდიან, სათადარიგო სიმინდი საბარგულში აქვთ, წყალს ჩაამატებენ ქვაბში, სიმინდს ჩაყრიან და აქსელერატორს დააწვებიან. „ამ პაპანაქებაში ორ წუთში იხარშება“, — იფიცება მძღოლი.

ავტოშხაპით უკმაყოფილო მობანავეები მოშორებით ინაცვლებენ, ზოგი სულაც მიდის, მემშვიდობება ლექსოც, რჩებათ ბურთი და მოედანი აბაზანამიღებულ ავტომობილებს.

P. S. ესეც ჩვენი ავტოპლაჟი!

კახა მჭედლიშვილი

ჯანმრთელობის ენციკლოპედია ყველა თაობისთვის

- მიზეზები
- პრევენცია
- სიმპტომები
- დიაგნოზი
- მკურნალობა
- პროგნოზი
- რეაბილიტაცია

სპეციალური ფასი 13.50 ₾
გაზეთთან ერთად 15 ₾

7-ტომეული

21 აგვისტოდან
ტომი V

თვეში ერთხელ გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად

შექმნილია საერთაშორისოდ აღიარებული 300-მდე სამედიცინო ექსპერტის მიერ

უკვე გამოსული ტომების შეძენა შეგიძლიათ წიგნის მაღაზიებში

იკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გავრცელების ჯიხურებში ან დარეკეთ: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ www. palitral.ge Palitra.L.Publishing

რეგიონი

გურულების ცისფერი ოქრო

გეოლოგმა ალექსანდრე თვალჭრელიძემ, როდესაც ასკანიტის ბენტონიტური თიხის მონაცემები მიიღო, წამოიძახა: „ყოჩაღ, მთისპირლებო, ეს ხომ ცისფერი ოქროა!“ 1916 წელს ცნობილმა მეცნიერმა გურულები იმისთვის შეაქო, რომ მათ თიხის ღირსებები მეცნიერული კვლევის გარეშე აღმოაჩინეს.

„კარიერზე მიწის 3-4-მეტრიან ზედაპირზე წითელი მიწაა,მერე კი ცისფერი თიხის ფენები იწყება. ასკანიტი დაახლოებით 80 მეტრ სიღრმემდეა. რაც უფრო ღრმად ჩადიხარ ნიადაგში, უკეთესი და უკეთესი თიხა ამოდის, მინარევებისაგან თავისუფალი და პირველი სახით შემონახული“

1946 წელს ოზურგეთის სოფელ ასკანაში პირველი შახტი გაჭრეს, მიწაში 60 მეტრამდეც ჩავიდნენ. თიხას „ასკანიტი“ დაარქვეს და მთელი დატვირთვით აამუშავეს მანქანათმშენებლობაში, წარმოებაში, კერამიკულ თუ საფეიქრო, კულინარიულ წარმოებაში, ბოლოს, მედიცინასა და კოსმეტოლოგიაშიც. ასე ამუშავდა ოზურგეთში ასკანიტის ბუნებრივი საპნის, შამპუნისა და კბილის პასტის მწარმოებელი ქარხანა. ამ თიხით მზადდებოდა ყალიბები ყველა საბჭოთა ავტომობილის ნაწილებისთვის, ცნობილი ასუანის კაშხალი სწორედ ამ თიხის საიზოლაციო მასალით აშენდა.

მოგვიანებით ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა ასკანიტის თიხის ქარხნებიც გაანადგურა და თიხის კარიერებიც. 1996 წელს თიხის მოპოვების ლიცენზია ბერძნულმა კომპანიამ შეისყიდა, თუმცა დარგის განვითარების მაგივრად, იქაურობა გაპარტახა. ამის გამო ლიცენზია ჩამოერთვა. 2010 წელს კი თიხის მოპოვების ლიცენზია სოფელ მთისპირის მკვიდრმა თენგიზ შარაშიძემ მოიპოვა. მან საბადოს შემსწავლელი გაფანტული სპეციალისტები შეკრიბა და ინვესტორს დაუწყო ძებნა. 2017 წელს ინვესტორიც გამოჩნდა და ასკანიტის კარიერი სოფელ მთისპირის მთებში ამუშავდა. დღეს საამო სანახავია კარიერი, რომელზეც ექსკავატორები და ტრაქტორები მუშაობენ, უკვე იმედმოცემული სოფელი, რომელიც აქამდე სიღატაკის გამო იცლებოდა და საველე ლაბორატორია, რომელშიც ორი ქალბატონი — ნათელა კიღურაძე და რუსუდან გუჯაბიძე მუშაობენ. ისინი ლაბორატორიაში თითქმის თითომეტრიანი ფენიდან აღებულ თიხის სინჯს აგროვებენ და იცით, რატომ? ამ უნიკალურ ქვიშას კიდევ ერთი საოცარი თვისება აქვს: თუ ერთ ადგილას აღებული თიხით ჭურჭლის დამზადება შეიძლება, 3-4 მეტრის მოშორებით აღებული თიხა ატომური ელექტროსადგურის ასაგებადაც კი გამოდგება.

ბენტონიტური თიხა

პირველად ცისფერი თიხა ამერიკაში მთა ბენტონზე აღმოაჩინეს და ამიტომაც უწოდეს ბენტონიტური თიხა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე საქართველოს ტერიტორია ხასიათდებოდა ინტენსიური ვულკანური მოქმედებებით. იმ დროიდან საქართველოში მრავალრიცხოვანი თიხის საბადო აღმოაჩინეს, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ბენტონიტური თიხის საბადო.

„ბერძნებმა კარიერს მიწის ფუჭი ქანები მოხსნეს და იქვე მიყარეს. კოკისპირულმა წვიმამ ეს მთებად დამდგარი მიწა დამეწყრა, მოწყვიტა და მთელი კარიერი დაფარა. მის გასუფთავებას იმდენი ფული უნდა, რამდენიც ახლის ამუშავებას“

ნათელა კიღურაძე: „ვიდრე ასკანიტის ფენებამდე ჩახვალ, ნიადაგს 4-5 მეტრი ფუჭი ზედაპირული ფენა უნდა მოხსნა და ცისფერი თიხა მერეღა გამოჩნდება. ჩვენს კარიერზე მიწის 3-4-მეტრიან ზედაპირზე წითელი მიწაა, მერე კი ცისფერი თიხის ფენები იწყება. ასკანიტი 80 მეტრ სიღრმემდეა. რაც უფრო ღრმად ჩადიხარ, უკეთესი თიხა ამოდის, მინარევებისაგან თავისუფალი და პირველი სახით შემონახული. ბენტონიტური თიხა ხომ ზღვის, წყალქვეშა ვულკანების ფერფლია, რომელიც მილიარდობით წლის წინ ილექებოდა. მამა მთელი დღე მუშაობდა ასკანიტზე, მაგრამ ხელები მუშა კაცისას კი არა, კოსმეტიკით მოვლილს უგავდა — ეს თიხა კანს ყოველგვარ მალამოზე არანაკლებ არბილებს.

მთელი სიცოცხლე ასკანიტის თიხაზე მაქვს ნამუშევარი და განადგურებულ-გამოუყენებელს რომ ვუყურებდი, გული მტკიოდა. ამ სიმდიდრით მხოლოდ ჩემი სოფელი კი არა, მთელი ოზურგეთი აყვავდებოდა, არადა, დაიქცა. მერე ბერძნებმა დაგვანგრიეს, მიადგებოდნენ კარიერს, მოხსნიდნენ მიწის ფუჭ ქანებს და იქვე, კარიერის გვერდზე მიყრიდნენ. ერთ დღეს კოკისპირულმა წვიმამ ეს მთებად დამდგარი ფუჭი მიწა დამეწყრა, მოწყვიტა და მთელი კარიერი დაფარა. მის გასუფთავებას იმდენი ფული უნდა, რამდენიც ახლის ამუშავებას“.

ჩვენს საუბარში ტრაქტორზე მომუშავე ჩაერთო: — ჩვენს სოფელში იმხელა ზამთარი იცის, შეიძლება თოვლმა კარიერამდე აღარც მიგვიშვას, კლიენტი კიდევ გაზაფხულამდე არ დაგელოდება. ამიტომ თიხას ვასაწყობებთ და შეკვეთისთანავე ხარისხის მიხედვით გაგვაქვს — ვინ ჭაბურღილებისთვის ითხოვს, ვინ კიდევ, ავტომობილების ყალიბებისთვის. მაგრამ ყველაზე მეტად ეს თიხა და კარიერის ამუშავება სოფელს გვჭირდებოდა, — ბიჭები თურქეთში გარბოდნენ სამუშაოდ, რომ ცოლშვილი ერჩინათ, ახლა დასაქმდნენ, თავიანთი კერის წინ არიან და შვილების ცქერით ტკბებიან. ამაზე უკეთესი კაცმა რა უნდა ინატროს! — სხარტად ამთავრებს და მეც ასკანიტის მთავარ ლაბორატორიაში მივდივარ ქალბატონ **მანანა ანდღულაძესთან**:

— ჩვენს თიხას მსოფლიოში ბადალი არ ჰყავს და მასზე მოთხოვნილებაც დღითი დღე იზრდება. დღეს ასკანიტი პოლონეთში გადის, მალე გერმანიაშიც გავგზავნით, ახლა რუსეთი და უკრაინაც ითხოვს, ეს სია უეჭველად გაიზრდება და, აი რატომ: მაგალითად, ჩვენი თიხისაგან დამზადებული ავტომობილის ნაწილების ყალიბები დაახლოებით 400-500 ცელსიუს ტემპერატურის ლითონს უძლებს და თანაც ერთხელ კი არა, სამჯერ შეიძლება გამოიყენო, ჩვენი თიხა ჭაბურღილებისთვისაც უცვლელია — ნავთობის ამოღებისას ჭაბურღილის კედლები ამ თიხით ისე ილესება, რომ ნედლეულის დაკარგვა გამორიცხულია.

— **ამბობენ, წინათ ამ თიხის ბურთულაკებს ხალხი სამკურნალოდ ყლაპავდაო.**

— ეს თიხა სამკურნალო თვისებებითაც გამოირჩევა, ანტიბაქტერიულია. ამას წინათ თანამშრომლის ბავშვს სახეზე გამოაყარა, არანაირმა მალამომ არ უშველა, თიხამ კი გამონაყარი უკვალოდ გააქრო. მას ჩვენი წინაპრები კუჭის სამკურნალოდ იყენებდნენ. ადრეულ წლებში ასკანიტისაგან კუჭნაწლავისთვის აბები მზადდებოდა. ჩვენი წინაპრები ამ თიხას ბუნებრივი სახით იყენებდნენ, მაგრამ რახან ბუნებაში უამრავი მავნე მინარევია, სამედიცინო გამოყენებისთვის მისი დამუშავება აუცილებელია. იგივე ითქმის კოსმეტიკაზეც — ასკანიტის კოსმეტიკურ ქარხანაში საპნებს, კბილის პასტებს თუ შამპუნებს ვამზადებდით, მათაც ვასუფთავებდით მავნე რადიკალებისაგან და პროდუქტი მეტად ეფექტიანი იყო. იმედია, კოსმეტიკურ წარმოებას კვლავ დავუბრუნდებით.

რაც მთავარია, ინვესტორი ჩვენი კუთხიდან არის, სოფელში ხალხი დაასაქმა და დაამაგრა, სახლები აღარ გამოაკეტვინა. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება — განგებამ თავად იცის, ვის როგორ უშველოს.

ეთერ ერაძე

„ᲑᲔᲕᲠᲯᲔᲠ ᲓᲐᲕᲣᲡᲮᲚᲢᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲡ ᲮᲔᲚᲘᲓᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲬᲐᲛᲘᲗᲐᲪ ᲐᲠ ᲛᲘᲜᲐᲜᲘᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ“

***ᲐᲜᲐ ᲝᲩᲘᲐᲣᲠᲘ** და ᲐᲠᲛᲐᲖ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ ერთმანეთს არხოტმა დააკავშირა. „მენაპირეობა ხევსურებს სისხლში გვაქვს გამჯდარი და ვამაყობ, რომ სამშობლოს სადარაჯოზე ვდგავარ“, — გვეუბნება ვეტერანი მესაზღვრე, შსს-ს სასაზღვრო პოლიციის ბარისახოს სამმართველოს უფროსის მოადგილე საზღვრის დაცვის დარგში არმაზ წიკლაური, რომელსაც ხევსურეთში მესაზღვრეობის გარდა, განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანების დახმარებაც ხშირად უწევს.*

ანა ოჩიაური და არმაზ წიკლაური

„გუროს ხეობა ძალიან რთულია, თუ იქაურობას კარგად არ იცნობ, ვერაფერს გახდები. ტურისტები გამოუცდელები იყვნენ, ცუდ ადგილას გაჩერებულან – პირდაპირ ადიდებული მდინარის კალაპოტში, თან ციცაბო კლდეებს შორის მოქცეულ მონაკვეთში. მათგან 50 მეტრში ვიყავით, როცა შსს-ს სასაზღვრო პოლიციის შვეულმფრენმა მოგვაკითხა, არ გვეგონა, შვეულმფრენი იმ ადგილას დაჯდომას თუ შეძლებდა. გავრისკეთ და გამოგვივიდა, სამაშველოსთან ერთად შევძელით ახალგაზრდების სამშვიდობოს გამოყვანა

ანა ოჩიაური: — ბაზალეთელი ვარ. პედაგოგიური ინსტიტუტის დასრულების შემდეგ ძალიან მინდოდა არხოტში წავსულიყავი მასწავლებლად, წავედი კიდეც. ოჯახიც იქ შევქმენი, შემდეგ პროფესიაც შევიცვალე — შეიქმნა თუ არა სასაზღვრო ზოლი, ჩემი მეუღლე მესაზღვრეობას შეუდგა, მე კი კავშირგაბმულობის სამსახურში რადიოოპერატორად დავიწყე მუშაობა. ეს სამსახური, ასე ვთქვათ, ჩვენთან ერთად შეიქმნა. მე და არმაზი 12 წელია, ბარისახოში სასაზღვრო პოლიციის მე-6 სამმართველოში ვმსახურობთ.

ჩემი ერთ-ერთი ქალიშვილი — მარიამი მესამე წელია ჩვენს სამმართველოში მუშაობს, არავის სჯეროდა, თბილისიდან აქ თუ ამოვიდოდა და მუშაობას დაიწყებდა. ტყუპი ვაჟები ჯერ სტუდენტები არიან. თინათინი ტურიზმის სპეციალისტია და ისიც ხევსურეთში აპირებს დაბრუნებას. თამარმა სამხატვრო აკადემია დაამთავრა და ჯერ არკვევს, რა გააკეთოს.

— რას ნიშნავს თქვენთვის მესაზღვრის პროფესია?

— ეს არის საქმე, რომელსაც დიდი სიყვარულით ვაკეთებ. ხევსურთა დიდი იმედია სასაზღვრო პოლიცია, ჩვენდა სასიხარულოდ, ბევრი ხევსური დაბრუნდა მთაში, ჩვენმა სამსახურმა ბევრს მისცა შესაძლებლობა, სახლი აღედგინა, ოჯახი შეექმნა და მეურნეობისთვის მოეკიდა ხელი...

არმაზ წიკლაური საუბარში გვიან შემოგვიერთდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ გამოცდილმა მესაზღვრემ გზააბნეულ ტურისტებს ადგილამდე მშვიდობიანად მისვლაში მეგზურობა გაუწია.

— ხშირად ერევათ ტურისტებს გზა?

— ტურისტები მოუმზადებლები არიან, ძველი რუკებით სარგებლობენ. ამასთან, არის დამეწყრილი ადგილები, ზოგან მონაკვეთებია ჩახერგილი... ხშირად მიწევს მაშველის ფუნქციის შესრულება. 19 წელია, საზღვარზე ვარ. სახელმწიფოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საზღვარია და როცა მას იცავ, საქმეში მთელი სული და გული უნდა ჩადო.

— იმ მესაზღვრეებსა და მაშველებს შორის იყავით, რომლებიც რამდენიმე დღის წინ სამსახურებრივი მოვალეობის დროს გამოჩენილი მამაცობისთვის მედლებით დაჯილდოვდნენ.

— სამაშველოდან ინფორმაცია შემოვიდა — ებრაელი ტურისტების ხუთკაციანი ჯგუფი დაიკარგაო. მუნიციპალიტეტიდან გუროს ხეობაში მაშველები იყვნენ გასული. ჩვენც ჩავერთეთ, გავარკვიეთ, სადაც იყვნენ — ძლიერი წვიმის შედეგად ადიდებულმა მდინარემ ტურისტებს გზა გადაუკეტა. ეს ძალიან რთული ხეობაა, თუ იქაურობას კარგად არ იცნობ, ვერაფერს გახდები. ტურისტები გამოუცდელი ახალგაზრდები იყვნენ, ცუდ ადგილას გაჩერებულან — პირდაპირ ადიდებული მდინარის (გუროს წყლის) კალაპოტში, თან ციცაბო კლდეებს შორის მოქცეულ მონაკვეთში. ამ პერიოდში ყველაზე მეტად დიდდება მდინარეები. მათგან 50 მეტრში ვიყავით, როცა შსს-ს სასაზღვრო პოლიციის შვეულმფრენმა მოგვაკითხა, არ გვეგონა, შვეულმფრენი იმ ადგილას დაჯდომას თუ შეძლებდა. გავრისკეთ და გამოგვივიდა, სამაშველოსთან ერთად შევძელით ახალგაზრდების სამშვიდობოს გამოყვანა.

ვინმეს რომ შველი, ძალა და ენერგია გიორმაგდება. ამ განცდის სიტყვით გადმოცემა შეუძლებელია. ბევრჯერ გამირისკავს, საფრთხეც შემქმნია, მაგრამ მე რა მომივა-მეთქი, ამაზე არასდროს მიფიქრია.

აგვისტოს ომის ვეტერანი ვარ. მიღებული მაქვს პრეზიდენტის ჯილდო მხედრული მამაცობისთვის, სასაზღვრო პოლიციაში 10 და 15 წლის მუშაობის საიუბილეო მედლები, სხვა უამრავი ჯილდო და სიგელი.

ჩემი ტყუპი ბიჭი მესაზღვრის ტრადიციებით აღიზარდა და მესაზღვრეებთან ერთად საზღვარზეც უცხოვრია. ერთხანს არხოტში ჯარისკაცები გვყავდა, ასას ხეობაში, სავალდებულო სამსახურს იხდიდნენ. მათთან ჩემი ბიჭებიც მივიყვანე. ყველას უკვირდა, ბავშვებს აქ რა უნდათო. მე კი ჩემი საქციელით სხვებს ვუჩვენე, რომ საფრთხე და საშიშროება არაფერი იყო. ჩემმა ბიჭებმა კი იქ ბევრი რამ ისწავლეს.

„ხევსურთა დიდი იმედია სასაზღვრო პოლიცია. ბევრი ხევსური დაბრუნდა მთაში, ჩვენმა სამსახურმა ბევრს მისცა შესაძლებლობა, სახლი აღედგინა და მეურნეობისთვის მოეკიდა ხელი...“

არაერთხელ ძლივს დავუსხლტი სიკვდილს ხელიდან. წლების წინ, დაბომბვის დროს, შატილის საგუშაგოზე დავიჭერი, თავში ნამსხვრევები მქონდა, თუმცა, არც იმ მომენტში და არც სხვა სირთულეებისას წამითაც არ მინანია ჩემი არჩევანი — მესაზღვრეობა. მესაზღვრის ფორმის ტარება დიდი პატივია და ღირსების საქმე.

ხევსურეთი სასაზღვრო სამსახურმა გადაარჩინა, თორემ ისე დაიცლებოდა, ვერც გავიგებდით. ადგილობრივ მოსახლეობას რითაც შეგვიძლია, ვეხმარებით, სოფლებში ფქვილი და სხვა პროდუქტები ჩაგვაქვს. ბოლო წლებში შედარებით გამოცოცხლდა აქაურობა, წელს განსაკუთრებით ბევრი ტურისტია. პრობლემები ყოველთვის არის, მაგრამ ერთმანეთის სიყვარულით და გვერდში დგომით ბევრი რამ გაგვიკეთებია და ბევრსაც შევძლებთ. პენსიაზე რომ გავალ, ბარისახოდან ისევ ჩემს მშობლიურ ამღაში წავალ — საზღვრისპირა ულამაზეს სოფელში...

ნანა ფიცხელაური

მსოფლიო გამოხმაურება:
„ამ წიგნს საოცარი ადრენალინი აქვს!
მასზე სწრაფად ვერც ერთ სხვა წიგნს ვერ
წაიკითხავთ, საოცრებაა!“
MTV.COM

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32)2382673;
0(32)2382674 და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ.

პალიტრა L

მოგვიწონეთ და დაგვიმეგობრდით!
Rico Credit
რიკო კრედიტი
229 29 29
www.rico.ge
ᲘᲞᲝᲗᲔᲙᲣᲠᲘ ᲡᲔᲡᲮᲘ
ᲚᲐᲠᲨᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ 2,5% -ᲓᲐᲜ
ᲓᲝᲚᲐᲠᲨᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ 1,17% -ᲓᲐᲜ
ᲚᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘ ᲚᲐᲠᲨᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ 2% -ᲓᲐᲜ
ᲤᲣᲚᲐᲓᲘ ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ
24/7
money transfer RICO gram
WESTERN UNION MONEY TRANSFER
MoneyGram
Ria
UNIstream
Золотая Корона
CONTACT
LEADER OF MONEY TRANSFERS
ᲔᲯᲢ
welsend
GCC REMIT Money in Minutes
XPRESS MONEY
money

ნაცნობი სახეები

„ალამ მითხრა, ბუბა, ძალიან მომენატრეო“

ახლახან ინტერნეტში ვიდეო დაიდო, სადაც ოთხი ქართველი — ბუბა კიკაბიძე, ნანი ბრეგვაძე, ეკა მამალაძე და ვალერი მელაძე — ასრულებს სიმღერას „თბილისო“ და რამდენიმე დღეში მილიონზე მეტი ნახვა მოიპოვა. 4 ქართველის გამოსვლა იურმალაში ფესტივალ „რანდევუს“ მსვლელობისას ჩაწერეს.

ამის შემდეგ ბუბა კიკაბიძე ბაქოში, ფესტივალ „ჟარაზე“ გაემგზავრა. ცნობილი მომღერალი „კვირის პალიტრას“ ექსკლუზიურად ესაუბრება:

„ლაიმას უთხოვია ნანისა და ვალერისთვის, „თბილისო“ იმღერეთო. ადრე მოსკოვში ალა პუგაჩოვას საღამოზე ვიმღერეთ მე, ნანიმ, ვალერიმ და თამრიკო გვერდწითელმა. განსაკუთრებულად უყვართ იქაურებს „თბილისოც“ და ნანიც“

— მშვენიერი ფესტივალი იყო. ყველანი კარგად შემხვდნენ — კოლეგებიც და მსმენელებიც. ერთი რამ მოხდა, რამაც, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა — სცენაზე რომ ავედი, მთელი დარბაზი ფეხზე ადგა. პოპური შევასრულე, ბულატ ოკუჯავას სიმღერა და „მიმინო“. იყო ბევრი ტაში, სცენიდან აღარ მიშვებდნენ.

— ალა პუგაჩოვასთან ერთად ხართ ფოტოზე.

— ალამ მითხრა, ბუბა, ძალიან მომენატრეო. ფესტივალი „ნოვაია ვოლნა“ დაკეტეს, ახლა ლაიმა ვაიკულე და მისი მეგობრები ჩაუდგნენ სათავეში — სულ სხვა საერთაშორისი ფესტივალი —„რანდევუ“ ჩაატარეს. მეც ლაიმას მიწვევით ჩავედი.

— დაგეგმილი გქონდათ „თბილისოს“ შესრულება, თუ იქ გადაწყდა მოულოდნელად?

— ლაიმას უთხოვია ნანისა და ვალერისთვის, „თბილისო“ იმღერეთო. ადრე მოსკოვში ალა პუგაჩოვას საღამოზე ვიმღერეთ მე, ნანიმ, ვალერიმ და თამრიკო გვერდწითელმა. განსაკუთრებულად უყვართ იქაურებს „თბილისოც“ და ნანიც.

— იურმალიდან ბაქოში ჩახვედით ფესტივალ „ჟარაზე“.

— 4 დღე გრძელდებოდა ფესტივალი.

ვნახე გრიგორი ლეპსი, ლევ ლეშენკო, სოსო პავლიაშვილი, რუსული შოუგიზნესის გოგოები... როგორ ხართ, მოგვენატრეო, ბევრი თბილი სიტყვა ვუთხარით ერთმანეთს. ყველა მეუბნებოდა, ძალიან გვინდა თბილისში ჩამოსვლაო. მერე ვინ გიშლით, თბილისი ისევ ლამაზი, თბილი, მშვიდობიანი და სტუმართმოყვარე ქალაქია-მეთქი.

— თვითონ არ დაგპატიჟეს რუსეთში?

— არა, ყველამ იცის, რომ მე რუსეთში კატეგორიულად არ ჩავდივარ.

— ფოტოები ვნახე, სადაც ლეილა ალიევასთან ერთად ხართ.

— ლეილა ალიევა აზერბაიჯანის პრეზიდენტის ქალიშვილია — ძალიან ჰგავს დედას, მეჰრიბან ალიევას. ყავა მივირთვით, თან ვიმუსაიფეთ. მოვუყევი, როგორ შევხვდით პირველად მე და ბაბუამისი მრავალი წლის წინ ბაქოში გამართულ საკავშირო კინოფესტივალზე. ,,ჟარას“ ორგანიზატორები მომღერალი ემინი და ლეილა არიან. ემინი ალიევების ოჯახის წევრია (ლეილა ალიევას ყოფილი მეუღლე. — ავტ.).

— როგორც ამბობენ, ემინს ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს ამერიკის პრეზიდენტ დონალდ ტრამპთან, კლიპშიც ჰყავს გადაღებული.

— ასეთი რამ მეც გამიგონია. ემინმა მითხრა, თქვენს იუბილეზე აუცილებლად ჩამოვალო. იუბილეს ალა და გალკინი და კიდევ ბევრი მსოფლიოში ცნობილი მომღერალი დაესწრება. მანამდე კი 18 აგვისტოს, ტრადიციულად, ბათუმში ვაპირებ კონცერტის გამართვას. ჩემთან ერთად იმღერებენ ნანი ბრეგვაძე, ეკა მამალაძე და ლიზა ბაგრატიონი.

— კინოკარიერაში რა სიახლე გაქვთ?

— ჩემი სცენარი, რომელსაც ჰქვია „დიაგნოზი ქართველი“ მაქვს გადასაღები, თანხები უნდა მოვიძიო.

„ჩემს იუბილეს ალა პუგაჩოვა და გალკინი და კიდევ ბევრი მსოფლიოში ცნობილი მომღერალი დაესწრება“

„აზერბაიჯანის პრეზიდენტის ქალიშვილი ლეილა ალიევა ძალიან ჰგავს დედას, მეჰრიბან ალიევას. ყავა მივირთვით, თან ვიმუსაიფეთ“

„18 აგვისტოს ბათუმში ვაპირებ კონცერტის გამართვას. ჩემთან ერთად იმღერებენ ნანი ბრეგვაძე, ეკა მამალაძე და ლიზა ბაგრატიონი“

— თქვენ და გიორგი დანელიას ტანდემი წარმატების მომტანი აღმოჩნდა.

— გიორგი ჩემზე 8 წლით უფროსია. ახლა ცოტას ავადმყოფობს, ტელეფონით ვეკონტაქტები. დღეს საუკეთესო მეგობრები ვართ, თუმცა, როცა გავიცანი, ძალიან არ მომეწონა. ეს სასტუმრო „საქართველოში“ მოხდა, როცა ბენჟამინ ღლონტის როლის შემსრულებელს ეძებდა. იმდენს ეწეოდა, კინაღამ დავიხრჩვე. სერიოზული იყო, სიცილზე ლაპარაკი ზედმეტია — არც იღიმოდა. მერე, როლზე რომ დამამტკიცეს, გასტროლებიდან დაბრუნებულს აეროპორტში ვიღაც კაცი დამხვდა, მიცინოდა. ნაცნობი სახე ჰქონდა, ვფიქრობდი, სად მინახავს-მეთქი... ძლივს ვიცანი, დანელია იყო. მას შემდეგ ჩვენი მეგობრობა ნახევარ საუკუნეზე მეტია გრძელდება.

ბენჟამინ ღლონტის როლი ჩემთვის ყველაზე საყვარელია. ამას წინათ „მიმინო“ ვნახე, იმდენი ვიცინე, ლამის გავიგუდე. დღეს ასეთ ფილმებს აღარ იღებენ. ეკრანებზე სულ მეძავებია, „კანონიერი ქურდები“, მილიონერები...

აღარ არიან ძველი რეჟისორები, კომპოზიტორები და მწერლები.

„ახალგაზრდებს მაისურებზე მიწერილი ჰქონდათ — „ლარისუ ივანოვნუ ხაჩუ“

სოსო აგზიანიძე, პროდიუსერი: — რიგაში ჩასვლისთანავე აეროპორტის თანამშრომლებმა მოუწყვეს ბუბას შეხვედრა, ხელს ართმევდნენ, ტკბილეულს სთავაზობდნენ, თბილ სიტყვებს ეუბნებოდნენ, ავტოგრაფს ართმევდნენ. გასტროლებზე ჩასულთ ტრანსპორტთან ერთად ყოველთვის გვთავაზობენ დაცვას, ბუბა ყოველთვის უარს ამბობს. იურმალაში არ იცით, რა მოხდა? — წესით, ყველა მომღერალს ერთი სიმღერა უნდა შეესრულებინა, ბუბამ კი სამი შეასრულა. ქართული დღე იყო იურმალაში, რომელიც „თბილისოთი“ დახურეს.

ფესტივალზე ახალგაზრდებს მაისურები ეცვათ, რომელსაც ვალიკო მიზანდარის ცნობილი ფრაზა — „ლარისუ ივანოვნუ ხაჩუ“ — ჰქონდა მიწერილი. მკერდზე ბუბას პორტრეტი მისი უკვდავი ფრაზით და კიდევ მკრტიჩიანის პორტრეტი წარწერით „პუსტ პადრუგუ ტოუე ვაზმიოტ“. ალა ძალიან ეფერა, ბუბას 80 წლის იუბილეზე ჩამოვალ მეუღლესთან ერთადო. საიუბილეო კონცერტი თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და ბევრ იმ ქალაქში ჩატარდება, სადაც ანშლაგებით მიმდინარეობს ხოლმე ბუბა კიკაბიძის კონცერტები.

უყვარს ბუბა კიკაბიძეს მსმენელთან ურთიერთობა. მახსოვს, ერთ-ერთ კონცერტზე დეკორაციები იყო გადასაადგილებელი, ბუბამ კორექტივები შეიტანა. მუშები გაქაფული შრომობდნენ, ბუბამ, რომ მორჩებიან, მოიტანე არაყი, ძეხვი და რაიმე მისაყოლებელიო. ასეც მოვიქეცი. არ იცით, რა დაემართათ, ბუბა რომ მათთან ერთად ჩამოჯდა სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან. მერე ერთმა უთხრა, მამაჩემს ძალიან უყვარხართ, ახლა ლოგინადაა ჩავარდნილიო. ბუბამ ვიდეოზარი გააკეთებინა და ემუსაიფა ამ კაცს, გამოჯანმრთელება უსურვა, გაამხნევა.

ეკა სალაღაია

ექსკლუზიური ინტერვიუ „სპანჭბობის“ და „კუნგ-ფუ პანდას“ ავტორთან

ის ვინც ერთხელ მაინც ბავშვთან ერთად ანიმაციის სანახავად კინოში წასულა, ან ტელევიზორთან მოკალათებულა, კუნგ-ფუ პანდა და სპანჯბობი მისთვის ნაცნობი სახელებია. პატარები, მათი მშობლები და ბებია-ბაბუებიც კი 21-ე საუკუნეში პოპულარული ანიმაციური ფილმების გმირებს კარგად იცნობენ, თუმცა, კადრს მილმა რჩება მათი თავდაუზოგავი შრომა, ვინც ყველასთვის საყვარელი ფილმების შექმნაზე იზრუნა.

პოპულარული ანიმაციური ფილმების ავტორი **მარკ ოსბორნი** *„ოსკარზე“ ორჯერ იყო ნომინირებული და არაერთი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელია. „კვირის პალიტრასთან“ საუბარს ბავშვობის წლების გახსენებით იწყებს:*

„სპანჯბობი“

„კუნგ-ფუ პანდა“

„რთულია, იცოდე, ზუსტად რას აკეთებ, განსაკუთრებით, როდესაც ბავშვობიდან გამოყოლილ პრობლემებს ებრძვი...“

მარკ ოსბორნი: „ეს საოცარი ამბავია, რომელსაც აქვს სასწაულმოქმედი უნარი, თავი მის მონაწილედ წარმოგვადგენინოს. მადლობელი ვარ, რომ „პატარა უფლისწული“ ჩემს ცხოვრებაში შემოვიდა...“

— მახსოვს პირველი ფილმი, რომელიც 3-4 წლისამ ვნახე, დისნეის „რობინ ჰუდი“ იყო. ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ჰელოუინის დღესასწაულზე მინდოდა, რობინ ჰუდი ვყოფილიყავი... სანამ კოლეჯში ჩავაბარებდი, ხელოვნებითა და რეჟისურით ვიყავი გატაცებული, მას შემდეგ, რაც ანიმაციის კურსებზე ჩავაბარე, მივხვდი, რომ საშუალება მეძლეოდა, ბავშვობის ოცნება ანიმაციის საშუალებით გადმომეცა. ვგრძნობდი, რომ ეს ჩემი ინტერესის სფერო იყო, მაგრამ ბოლომდე მაინც არ მჯეროდა, რომ სწორედ ეს არის ის საქმე, რომელსაც მთელი ცხოვრება გავყვებოდი.

— თქვენ ყველაზე პრეტენზიული და გულწრფელი მაყურებელი გყავთ — ბავშვები...

— იყო მშობელი, გულისხმობს ყოველდღიურ ბრძოლას, გამოწვევას, რომ ბოლომდე მიიღო ბავშვის გრძნობები და განცდები. ძალიან რთულია იცოდე, ზუსტად რას აკეთებ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბავშვობიდან გამოყოლილ პრობლემებს ებრძვი... ანიმაციაზე მუშაობა თერაპიულ პროცესს ჰგავს, შესაძლებლობა მომეცა სიღრმისეულად ჩავძიებოდი ბავშვური უმანკოების მნიშვნელობას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ყველა ის ემოცია, რომელიც ბავშვობიდან მოგვყვება და უკვე ზრდასრულ ასაკში განვიცდით.

— „კუნგ-ფუ პანდა“ ორჯერ იყო ნომინირებული „ოსკარზე“, ძალიან პოპულარულია „სპანჯბობის“ (ღრუბელი ბობი — კვადრატული შარვალი) სერიალიც. როგორი იყო მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ანიმაციური სერიალების შექმნის პროცესი?

— დაუსრულებლად შემიძლია ამ თემაზე ლაპარაკი. „კუნგ-ფუ პანდას“ ორი რეჟისორიდან ერთ-ერთი ვარ, რაც გულისხმობს იმას, თუ რამდენად არის დამოკიდებული შექმნის პროცესი თანამშრომლობაზე. ეს შემოქმედებითი პროცესია, დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს. უამრავი ადამიანი წლების განმავლობაში თავდაუზოგავად შრომობს, უამრავი ადამიანის გონება მუშაობს, რომ მაყურებელს ეკრანზე დაანახოს შემოქმედებითი შრომის შედეგი.

— ოდესღაც, უხსოვარ დროში, ცხოვრობდა ერთი პატარა უფლისწული ერთ პატარა პლანეტაზე და ძალიან უნდოდა ჰყოლოდა მეგობარი — „პატარა უფლისწული“ 1943 წელს გამოიცა. მას შემდეგ ყველა დროის ბავშვმა თუ უფროსმა შეიყვარა ეს წიგნი. 2016 წელს საუკეთესო ანიმაციური ფილმისთვის ფრანგებმა თქვენთვის არც „სეზარის“ (ფრანგული კინოპრემიის მთავარი ჯილდო) გადმოცემა დაიშურეს.

— კი, ნამდვილად ასეა... ეს საოცარი ამბავია, რომელსაც აქვს სასწაულმოქმედი უნარი, თავი მის მონაწილედ წარმოგვადგენინოს. საოცარია! მადლობელი ვარ, რომ ეს წიგნი შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში და მერგო პატივი, ფილმად მექცია. მუშაობის დროს გამუდმებით ვფიქრობდი, რას ნიშნავს, იყო ბავშვი, ვიხსენებდი ჩემს ბავშვობას და ვფიქრობდი ჩემს ორ შვილზეც.

ეს წიგნი მეუღლემ 25 წლის წინ მათხოვა. მაშინ შეყვარებულები ვიყავით. სენტ-ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“ ჩვენი ურთიერთობისა და ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. როდესაც ნაწარმოების მიხედვით ანიმაციის შექმნა შემომთავაზეს, თავდაპირველად უარი ვთქვი, რადგან მას ძალიან დიდი ადგილი ჰქონდა ჩემს ცხოვრებაში...

— მინდა „ქოლდფლეისა“ და კრის მარტინზე გკითხოთ. თქვენ მსოფლიოში ძალიან პოპულარული ბრიტანული როკჯგუფ „ქოლდფლეის“ ალბომის Mylo Xyloto-ს ვიზუალური და კონცეპტუალური მხარე შექმენით, ამასთან, ხართ რეჟისორი მუსიკალური კლიპისა Hurts Like Heaven. როგორია კრის მარტინთან მუშაობა?

— ძალიან სასიამოვნოა, გამიმართლა, რომ მასთან ვითანამშრომლე. ძალიან ბევრი ვერსია განვიხილეთ, ბენდის დანარჩენი წევრებიც კი ჩავრთეთ, მაგრამ ანიმაციური ფილმის შექმნა არ გვქონდა დაგეგმილი. მუშაობისას დაიბადა იდეა და ჩვენ ერთად გავაკეთეთ სცენარი კომიქსების წიგნისთვის, ბენდმა კი ახალი მუსიკა დაწერა სახელწოდებით Mylo Xyloto (ანიმაციის მთავარი პერსონაჟი). მათთან მუშაობამ, „ქოლდფლეის“ შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე. დაუჯერებელია, რომ ეს შევძელით! ვიმედოვნებ, მომავალში კვლავ მომეცემა მათთან მუშაობის შესაძლებლობა.

— გეგმებზეც გკითხავთ...

— ახლა რამდენიმე ფილმის თანაავტორი ვარ. ერთი ანიმაციური ფილმის ტრილოგიაა, რომელიც ჯეფ სმიტის კომიქსების მიხედვით იქმნება, მეორე — ადამ კლაინის საბავშვო მოთხრობა ESCAPE FROM HAT-ის მიხედვით. მესამე პროექტიც ანიმაციურ ფილმს უკავშირდება. ერთი სული მაქვს, როდის მომეცემა შესაძლებლობა, მეტი ვილაპარაკო სამივე ფილმზე.

ნინო წიფურია

პოპულარული ანიმაციური ფილმების ავტორი მარკ ოსბორნი „ოსკარზე“ ორჯერ იყო ნომინირებული და არაერთი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელია

PALITRA NEWS

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲑᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ
ᲑᲚᲘᲪᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ
ᲧᲝᲕᲔᲚ
ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ



მამულ-დედული

ჩანართი გამოდის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის კურთხევით

№33 (186) 14 – 20 აგვისტო, 2017 წელი

12 წლის ფერმერი



ბოგიერთს ფიზიკურ შრომას სოფლის „ბირჟაზე“ ჯდომა ურჩევნია, იმ მოტივით, რომ საქართველოში შრომა არ ფასდება. მაგრამ ამ მოსაზრებას ამსხვრევენ ყვარლის რაიონის სოფელ ძველ გავაზში (ახლანდელი ახალსოფელი) მცხოვრები ლაზაშვილები, ოჯახის უმცროსი წევრის, ლევანის გაცნობისას კი ქვეყანაში „უშედეგო შრომაზე“ შექმნილი მითი ფერმკრთალდება...

ჩვენი რესპონდენტი 12 წლისაა. სანაქებო ბიჭი მამა-პაპას ხელიდან სტაცებს საქმეს. თავისი ინტერესებითა და მისწრაფებებით ყველასგან გამოირჩევა, განსაკუთრებით — თანატოლებისგან.

ლაზაშვილებს წლებია, საოჯახო მეურნეობა აქვთ. როგორც ლევანის პაპა ამბობს, 25 ჰექტარზე ბოსტნეული, ბაღჩეული, ხილი, მარცვლეული — ყველაფერი მოჰყავთ. მეცხოველეობასაც მისდევენ: ჰყავთ ცხვარ-ძროხა, ცხენები, ფრინველი, ბოლო დროს მეფუტკრეობასაც მოჰკიდეს ხელი.

ლევანს, გარდა იმისა, რომ შრომა არ ეზარება, ძალიან უყვარს შინაური ცხოველ-ფრინველი, თითოეულს ყურადღებას არ აკლებს და გულიანად პატრონობს...

„დილით ძროხებს მოწველის, მერე გარეკავს... 5-6 წლისა უკვე ფერმაში რჩებოდა და ყველანაირ საქმიანობაში ერთვებოდა. მას მერე, რაც ლევანის პაპამ სოფელთან ახლოს ფერმა გააშენა, შვილიშვილი დროს თითქმის სულ იქ ატარებს. საქონლის მოვლა მისი საყვარელი საქმეა და ძროხებსაც სახელებს არქმევს...“

იხილეთ გვ. 20,21

ბრიუსელის მინიატიურული კომბოსტო

ბრიუსელის კომბოსტო მრავალ ქვეყანაში პოპულარული ბოსტნეული კულტურაა. ეს ჯიში ბელგიელმა სელექციონერებმა გამოიყვანეს, ბელგიიდან კი საფრანგეთში, გერმანიასა და ჰოლანდიაში გავრცელდა. მისგან უამრავ გემრიელ და სასარგებლო კერძს ამზადებენ, ძალიან გემრიელია ბრინჯთან, წვნიანში და ცალკე შემწვარიც.

იხილეთ გვ. 20,21

ღობიოსგან განდევნილი ცულისპირა „რევანშისთვის“ ემზადება

იხილეთ გვ.22

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ -ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

შევიძინე მარწყვი — ოთხი ქოთანი. მარწყვი ჩარგულია ტორფში, არის ძალიან კარგი ჯიშის, ისხამს ნოემბრის ჩათვლით. მინდა, გავამრავლო და მაინტერესებს, როდის გადავრგო და როგორ?

გუგა თოდუა

— მარწყვი მრავლდება თავისივე გამოტანილი მუხლებით: ზაფხულში, ვეგეტაციის პერიოდში, ღეროები წვება მიწაზე და ფესვები გამოაქვს, რომლებითაც ნიადაგს ეჭიდება. უმჯობესია, ჯერ მარწყვი კარგად გაახაროთ, რომ მოღონიერდეს და უკვე ამის შემდეგ, ვეგეტაციის დროს, ფესვები როგორც კი მოეჭიდება მიწას, ის სარგავ მასალად გამოიყენოთ.

თუ მარწყვი კვლავ ქოთანში გაქვთ, შეგიძლიათ, გვერდით სხვა ქოთნები მოუდგათ და იმავენაირად გაამრავლოთ.

ეზოში მაქვს აზბესტის მილები, რომლებშიც მინდოდა ჩამერგო მარწყვი, მაგრამ წავიკითხე, რადიაციულია და არ გამოიყენოთო. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს და შეიძლება თუ რა მისი გამოყენება?

მედეა კორძაძე, ქუთაისი

— გირჩევთ, აზბესტს თავი დაანებოთ. სხვა მრავალგვარი ჭურჭელიც არსებობს. არ გამოიყენოთ ეს მილები, აზბესტი კანცეროგენულია.

რატომ არ შეიძლება აიჭრას სანამყენე კვირტები ხე-მცენარეებიდან, რომლებიც ჯერ ნაყოფს არ იძლევა? მხედველობაში მაქვს ორწლიანი ხე-მცენარეების ერთწლიანი ყლორტები. როგორც წესი, სანამყენედ მხოლოდ ერთწლიანი ყლორტის კვირტები გამოიყენება.

— ამას თავისი მიზეზი აქვს. თუ ჯერ მცენარეს მსხმოიარობა არ დაუწყია, ის გამრავლდება, მაგრამ ნაყოფის მოცემას დაიგვიანებს, მსხმოიარე ხე კი შედეგის მიღების გარანტიაა.

პომიდორი ხმება სწრაფად — დილით თითქოს კარგად არის და საღამოს უკვე უვარგისია. არადა, მონდომებით ვუვლი, საჭირო პროცედურებს ვუტარებ და პრეპარატებს ვაწვდი. იქნებ მასწავლოთ, როგორ ვუშველო.

მოგელი ხორავა, სენაკის რაიონი

— პომიდორს თავიდანვე უნდა გამოყვანა. შეწამვლა უნდა დაიწყოს ჩითილებიდან. მცენარე უკვე შეგუებული უნდა იყოს ფიტოფტოროზს, ისე პომიდორი არ მოვა, ამიტომ თავიდან ჩითილებისთვის უნდა გამოვიყენოთ ბორდოს ხსნარი — იწყებენ 0,5%-იანი კონცენტრაციით და მერე გადადიან 1%-იან ხსნარზე. შეგახსენებთ, რომ ის შაბიამნისა და ახალჩამქრალი კირისგან მზადდება.

კითხვებს უპასუხებს სწავლული აგრონომი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ფიტოთერაპევტი ნიკოლოზ იოსებიძე

(დასაწყისი გვ.19)

— სამი წლის წინ მე და პაპამ კვიცი ვიყიდეთ. მე გავზარდე, ახლა ვხედნი, — გვეუბნება 12 წლის ლევანი.

ნინო კუბლაშვილი, ლევანის დედა ამბობს, რომ შვილი უთენია იღვიძებს და მათთან ერთად სამუშაოდ მიდის. დილით საქონელს მოწველის, მერე გარეკავს. შეიძლება მთელი დღე ნახირშიც იყოს. 5-6 წლისა უკვე ფერმაში რჩებოდა და ყველანაირ საქმიანობაში ერთვებოდა. 5 წლისა ცხენსაც თამამად აჭენებდა. მას მერე, რაც ლევანის პაპამ სოფელთან ახლოს ფერმა გააშენა, შვილიშვილი დროს თითქმის სულ იქ ატარებს. საქონლის მოვლა მისი საყვარელი საქმეა და ძროხებსაც სახელებს არქმევს...

ᲚᲔᲕᲐᲜᲘ: — თუ ფერმაში ბევრი საქმეა, მასწავლებლებს ვეთხოვები და სამუშაოდ აქ მოვდივარ. როცა უფროსებს არ სცალიათ, ფერმის მოვლა-პატრონობას მე მანდობენ და რაც გასაკეთებელია, ვაკეთებ. საქონლის მწყემსვის გარდა, ძროხას ვწველი... ყველის ამოყვანაც ვიცი...

ᲚᲔᲕᲐᲜᲘᲡ ᲞᲐᲞᲐ: — თუ ფული ვაჩუქეთ, წავა და ცხვარს ან ციკანს იყიდის. თანხას 5-10 ლარობით აგროვებს. რაც სკოლიდან დაითხოვეს, სახლშიც იშვიათად არის. ამის გამო სოფლის ბავშვები საყვედურობენ... მოკლედ, დაბადებიდან ასეთი ბავშვია. ვეუბნები, დაისვენე, გეყოფა-მეთქი, მაგრამ — რას ამბობ, უნდა ვიმუშაოო.

12 ᲬᲚᲘᲡ



„თუ ფერმაში ბევრი საქმეა, მასწავლებლებს ვეთხოვები და სამუშაოდ აქ მოვდივარ. საქონლის მწყემსვის გარდა, ძროხას ვწველი, ყველის ამოყვანაც ვიცი“

ᲚᲔᲕᲐᲜᲘ: — კლასელები მეუბნებიან, ხეში წავიდეთ, ვიცურაოთო, მაგრამ მე აქ ყოფნა მირჩევნია, მსიამოვნებს და სახლშიც არ მინდა წასვლა...

ᲜᲘᲜᲝ: — მინდორსა და ფერმას რომ არ მოსწყდეს, ყველაფერზე უარს ამბობს. ექსკურსიაზეც არ მიდის. ცოტა ხნის წინ ზღვაზეც არ წავიდა...

— ასეთი დატვირთვისთვის პატარაა და არ უშლით?

— არაფერი გამოგვდის. დილას, 4 საათზე, მინდორში სამუშაოდ თუ მის გარეშე წავედით, თავისი კვადროციკლით მაინც ამოგვაკითხავს. ისეთია, როგორც დიდი კაცი. შარშან საქონელი მთაში გვყავდა და ცხენით მიდი-მოდიოდა, ყველიც ამოჰყავდა...

— ლევან, როგორი მოსწავლე ხარ?

— ისე, რა... სწავლა იმდენად არ მაინტერესებს... რა ვქნა, ფერმაში მინდა ყოფნა. ცხვარი და ძროხა აქ მყავს და მეც აქ მირჩევნია. ცხენებთან ყოფნა და ჯირითიც მსიამოვნებს.

— არ იღლები?

(დასაწყისი გვ.19)

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘᲡ

მეცნიერების მტკიცებით, ბრიუსელის კომბოსტო ნამდვილი სუპერპროდუქტია. ის მდიდარია უჯრედისით, მარგანეცით, კალიუმით და B ჯგუფის ვიტამინებით. მასში არსებული ანტიოქსიდანტები და სხვა ფიტოქიმიური ნივთიერებები წარმატებით ებრძვის ქრონიკულ დაავადებებს. გარდა ამისა, ბრიუსელის კომბოსტო ანადგურებს კიბოსწინარე უჯრედებს და ორგანიზმს იცავს ონკოლოგიური დაავადებების განვითარებისაგან.

ამჟამად ეს მცენარე დიდი რაოდენობით მოჰყავთ აშშ-ში, კანადასა და ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით — დიდ ბრიტანეთში.

გვესაუბრება სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგრონომი ᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲯᲔᲓᲚᲘᲫᲔ.

— ბრიუსელის კომბოსტო ევროპაში პოპულარული მცენარეა. ის არაერთ ქვეყანაში მოჰყავთ. იყენებენ კულინარიაში როგორც ნედლი სახით, ასევე სპეციალური დამუშავების შემდეგაც. ბელგიელმა მეცნიერებმა ბრიუსელის კომბოსტოს კულტივირება XIX საუკუნეში დაიწყეს, XX საუკუნიდან კი ის მთელ ევროპაში გავრცელდა.

— საქართველოში თუ მოჰყავთ ბრიუსელის კომბოსტო?

— იშვიათად, ძირითადად, მოყვარულებს, ვინც ევროპაშია ნამყოფი და ამ მცენარის ფასი იცის. ბრიუსელის კომბოსტო კარგად ხარობს საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ჩვეულებრივი კომბოსტო მოჰყავთ, მაგალითად, შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში.

— რა განასხვავებს ბრიუსელის კომბოსტოს ჩვეულებრივი კომბოსტოსგან?

— ესეც ჩვეულებრივი კომბოსტოა, ოღონდ მინიატიურული ზომისა — მისი ნაყოფი 8-17 გრამს იწონის. შემადგენლობით ბრიუსელის კომბოსტო

ბრიუსელის კომბოსტო დიდი რაოდენობით მოჰყავთ აშშ-ში, კანადაში, აგრეთვე ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით — დიდ ბრიტანეთში

ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲘ

„ზუსტად იცის, როდის უნდა მოიგოს ძროხამ. რომ შეხედავს და იტყვის, ეს ამ დღეს არ გადააცდენსო, მართლა ასე ხდება. ძროხას ამშობიარებს კიდეც“

„დილას, 4 საათზე, მინდორში სამუშაოდ თუ მის გარეშე წავედით, თავისი კვადროციკლით მაინც ამოგვაკითხავს. ისეთია, როგორც დიდი კაცი“

— როგორ არ ვიღლები, მაგრამ ეგეთი ვარ... ისე, ქართულის სწავლა კი მიყვარს და კიდევ რაღაც საგნების... ძროხებს ხან ხელით ვწველი, ხან — აპარატით. რომ მოვწველი, მერე ხბოებს მივუშვებ და ბოლოს საბალახოდ გავრეკავ. პირველ საათზე გრილოში, რამდენიმე საათით ვასვენებ და მერე ისევ გამოვრეკავ ხოლმე. საღამოსაც ხომ მოწველა უნდა.

— **სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?**

— მინდა, რომ ფერმერი ვიყო. 60 სული ძროხა მყავდეს, 50 სული ცხვარი... ორი ცხენი მეყოფა. კარგი ტრაქტორიც მინდა... ალბათ, ამ ყველაფერს გავაკეთებ...

მთაში, სადაც პაპას საქონელი აჰყავს, ლევანს ცხენით ასვლა უყვარს. არც ისე დიდ გზას მშვიდად გადის. როგორც პაპა ამბობს, მის გვერდით ყოფნა შვილიშვილს სიამოვნებს — ჩემგან ბევრ ამბავს ისმენს ბალღიო.

— ზუსტად იცის, როდის უნდა მოიგოს ძროხამ. რომ შეხედავს და იტყვის, ეს ამ დღეს არ გადააცდენსო, მართლა ასე ხდება. იცის, რომ ძროხა ცხრა თვეს მაკობს, მერე ორი თვე მაინც უნდა დაასვენო წველისგან, რომ მოგებამდე მოკეთდეს და ხბოც ჯანმრთელი ჰყავდეს. ძროხას დილა-საღამოს უნდა მოწველა და ლევანიც რამდენიმე ძროხას დღეში ორჯერ წველის. ფერმის დასუფთავებაც უყვარს, ძროხას ამშობიარებს კიდეც... ძალიან ყოჩაღი ბიჭია. მშობლებიც ყოჩაღები იყვნენ, მაგრამ ასეთი — არა. მთაში ღამე უჩემოდაც გაუთენებია. მოსავლის აღებისას მანქანაზეც ჯდება, ტრაქტორზეც, — გვუბნება პაპა.

— **მოკლედ, თქვენმა ბიჭმა გამაოცა...**

ნინო: — უნდა ნახოთ, მინდორში მოსავლის აღებისას რამოდენა საზამთროებს დაათრევს. უფროსებს ტოლს არ უდებს...

მართალია, ვაზის გასხვლას არ ანდობენ, მაგრამ უკვე ეგეც იცის...

P.S. ლევანს იმედი აქვს, რომ ოცნებას აიხდენს და დიდი ფერმერი გახდება. ეჭვი არავის ეპარება, რომ ასეც იქნება. წარმატებები ვუსურვოთ გამრჯე მოზარდს!

ლალი ფაცია

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲘᲣᲠᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲑᲝᲡᲢᲝ

„ბრიუსელის კომბოსტო კარგად ხარობს საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ჩვეულებრივი კომბოსტო მოჰყავთ, მაგალითად, შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში“

ყვავილოვან კომბოსტოსთან უფრო ახლოს არის, ვიდრე ჩვეულებრივთან. კომბოსტოს ეს სახეობა შეიცავს სასარგებლო ნივთიერებებს: დიდი რაოდენობით კალციუმს, ფოსფორსა და იოდს, ასევე, ვიტამინებს, თავისუფალ ამინომჟავებსა და ფერმენტებს, რის გამოც მისგან არაერთ სასარგებლო კერძს ამზადებენ.

— **როგორ უნდა გაახარონ ეს მცენარე ფერმერებმა და მოყვარულებმა?**

— ბრიუსელის კომბოსტო სინათლის მოყვარული მცენარეა, ამავე დროს, კარგად იტანს ყინვას -10 გრადუსამდე. კარგად ხარობს ნორმალურ, ნაყოფიერ ნიადაგებზე, ოღონდ კარგად განათებულ ადგილებში. ბრიუსელის კომბოსტო მზის მოყვარული მცენარეა. თუ ჩრდილში დავრგავთ, მოსავალი დაიგვიანებს, ისე კი, ადვილი მოსაყვანია. უმეტესად, ჩითილებით ახარებენ, ოღონდ ეს ჩითილები ნოყიერ ნიადაგზე უნდა გადავრგოთ და მათ შორის 60-70 სანტიმეტრი უნდა იყოს. ტერიტორიაზე, სადაც ბრიუსელის კომბოსტოს დავრგავთ, წყალი არ უნდა დგებოდეს.

— **მისი ჩითილები სად გამოჰყავთ?**

— ჩითილები უმჯობესია მათთვის განკუთვნილ სპეციალურ კასეტებში გამოვიყვანოთ, რომ ფესვთა სისტემა არ დაუზიანდეს. ჩითილის მისაღებად ბრიუსელის კომბოსტოს თესლი მარტის ბოლოს ან აპრილის თვეში უნდა დავთესოთ. ოპტიმალურ პირობებში მცენარე 3-4 დღეში გაღივდება, 30-35 დღის შემდეგ კი ჩითილი უკვე მზად არის გადასარგავად. ჩითილის გადარგვის საუკეთესო პერიოდი აპრილ-მაისშია. ვეგეტაცია დიდხანს მიმდინარეობს — 120-130 დღე მაინც.

— **რა პირობებია საჭირო, რომ ვეგეტაციის პერიოდი წარმატებით დასრულდეს?**

— კომბოსტოს ეს სახეობა ყინვაგამძლეა, შესაბამისად, სიცხე არ უყვარს. ვერ იტანს ნიადაგში წყლის ჩადგომას, ვერც მის ზედმეტად გამოშრობას. არ არის რეკომენდებული ერთსა და იმავე ადგილას ჩითილების განმეორებით დარგვაც: შუალედი ორწლიანი მაინც უნდა იყოს, სასურველია უფრო მეტიც. იმ ადგილას, სადაც ბრიუსელის კომბოსტო მოჰყავთ, მეორე წელს სხვა კულტურებს რგავენ, რომ ნიადაგმა რამდენიმე წლით დაისვენოს.

ნაკვეთს ბრიუსელის კომბოსტოს დასარგავად შემოდგომაზე ამზადებენ: ხნავენ, შეაქვთ მინერალური სასუქი და ნიადაგის მჟავიანობას არეგულირებენ. სასურველია, თუ ნერგებს აზოტიანი სასუქითაც გამოვკვებავთ ერთხელ ან ორჯერ, რომ მავნებლებმა და მწერებმა არ დააზიანონ.

— **სად შეიძლება თესლის შეძენა?**

— ვინაიდან ბრიუსელის კომბოსტოს თესლს მაინცდამაინც არ ითხოვენ, ის საქართველოში იშვიათად შემოდის, თუმცა ამ საქმეში ფერმერებს ინტერნეტი დაეხმარება: არსებობს ვებგვერდი, საიდანაც მისი გამოწერა შეიძლება.

— **მოსავლიანობა როგორია და რა პირობებში უნდა შევინახოთ ნაყოფი?**

— ბრიუსელის კომბოსტო მაღალი მოსავლიანობით არ გამოირჩევა: 1 ჰექტარზე შეიძლება მივიღოთ 8 ტონიდან 12-15 ტონამდე მოსავალი — ეს დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე, მოვლასა და სხვა ფაქტორებზე. რაც შეეხება შენახვას, ბრიუსელის კომბოსტოს შესანახავად თავდაპირველად ე.წ. შოკურ გაყინვას მიმართავენ ანუ -40 გრადუსზე ინახავენ, მერე კი -20 გრადუსზეც კარგად ინახება. მართალია, საქართველოში ბრიუსელის კომბოსტოს კომერციული დანიშნულება ჯერჯერობით არა აქვს, მაგრამ ის თანდათან ჩვენთანაც პოპულარული ხდება.

ხათუნა ჩიგოგიძე

ᲨᲔᲛᲬᲕᲐᲰᲘ ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲝᲡᲢᲝ

ᲘᲜᲒᲠᲔᲓᲘᲔᲜᲢᲔᲑᲘ:

1 ჭიქა ბრიუსელის კომბოსტო

2-4 პომიდორი ჩერი, ან 1 — ჩვეულებრივი.

1 კბილი ნიორი

ხმელი ბაზილიკი

ზეითუნის ზეთი

მარილი

პილპილი

ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ:

კომბოსტოს შემოვაცალოთ ზედა ფოთლები, რომელიც შესაძლოა დაზიანებული იყოს. გავჭრათ ორად ან ოთხად, ზომის მიხედვით. პომიდორი გავჭრათ შუაზე, ნიორი კი — წვრილად. ტაფაზე გავაცხელოთ ზეითუნის ზეთი და კომბოსტოები მაღალ ცეცხლზე შევბრაწოთ დაახლოებით 5-7 წუთის განმავლობაში, თან ხშირად ვურიოთ, ან ტაფა შევანჯღრიოთ. კომბოსტო სანახევროდ უნდა დარბილდეს, მაგრამ ფერი უნდა შეინარჩუნოს. წვის დროს დავამატოთ პომიდორი და ნიორი. ორიოდე წუთში ცეცხლიდან გადმოვიღოთ, დავამატოთ მარილი, პილპილი და ხმელი ბაზილიკი. მზარეულები გვირჩევენ, ეს კერძი თბილი მივირთვათ, რადგან ასე უფრო გემრიელია.

ᲛᲐᲛᲣᲚ-ᲓᲔᲓᲣᲚᲘ

ᲪᲣᲚᲘᲡᲞᲘᲠᲐ „ᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

Დასავლეთ საქართველოს სოფლებში დღესაც ახსოვთ, როგორ თესავდნენ გაზაფხულზე ცულისპირას — ლამაზყვავილებიან მცენარეს. ეს უძველესი კულტურა საქართველოში ოდითგან მოჰყავდათ (ნოქალაქევის გათხრებისას VI საუკუნის მარცვლეულია აღმოჩენილი).

ცულისპირას არა მხოლოდ კვებითი ღირებულებები გამოარჩევს, მას ხველის, გაციების, სურავანდის, კუჭისა და ნერვული სისტემის დაავადებებისა და იმპოტენციის დაქვითების დროსაც იყენებდნენ. ლობიოს გაბატონებამ ცულისპირა განდევნა, რაც შეცდომა იყო.

ბოლო დროს ამ ძველი ქართული კულტურით ისევ დაინტერესდნენ... ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წნისის მკვიდრმა იამზე ხუციშვილმა ცულისპირა 10 წლის წინ დათესა და დღემდე ვერ ელევა.

„სოფელში ვინც ცულისპირა გასინჯა, დღეს ყველა თესავს და მიირთმევს“

ᲘᲐᲛᲖᲔ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ: — ეს მცენარე აპრილის შუა რიცხვებში ითესება და აგვისტოს დასაწყისიდან ასაღებია. პირველად რომ დავთესეთ, იმ წელიწადს ცივი გაზაფხული იყო და ცოტა არ იყოს, შეგვეშინდა, ვაითუ, მცენარემ ვერ გაუძლოსო, მაგრამ გაუძლო კი არა, 1 ძირიდან 5 კილოგრამამდე მოსავალი მოვიდა! გავიხარეთ და მივხვდით, რომ ცულისპირას დათესვა ღირდა. გასული საუკუნის დასაწყისში ცულისპირას მაღალმთიან რაჭაშიც თესავდნენ, სადაც სიცივესაც მშვენივრად უძლებდა და სიცხესაც. გემომაც გაგვაოცა — სასიამოვნოდ მოტკბო გემო აქვს და უგემრიელესი კერძებიც მზადდება. დაახლოებით ისე უნდა მოამზადოთ, როგორც ლობიოს ვამზადებთ. თუმცა, ლობიოსთან შედარებით, ცულისპირა ცილებით უფრო მდიდარი და ორგანიზმისთვის ძალიან მსუბუქი საკვებია. სოფელში ვინც ცულისპირა გასინჯა, დღეს ყველა თესავს და მიირთმევს.

— 1 ძირზე 5 კილოგრამი კარგი მაჩვენებელია...

— რასაკვირველია. თან მიწასაც ამდიდრებს — ადრე ცულისპირას ვენახებში თესავდნენ და ნიადაგს აზოტით ამდიდრებდა. ოღონდ მოსავალს ხელშეწყობა სჭირდება. დროზე უნდა გათოხნო და მორწყა. ცულისპირა ამოსვლისთანავე, მაისში, ორჯერ ითოხნება. სითბოს მოყვარულია, ამიტომ ხშირი მორწყვა არ სჭირდება, მაგრამ გვალვისას აუცილებელია. მართალია, ზოგიერთი მცენარესავით უწყლოდ არ გახმება, მაგრამ შედარებით მცირე მოსავალს მოგცემს.

მცენარე აგვისტოს დასაწყისიდან ასაღებია. მე უკვე ავიღე, ახლა გამოვცეხვავ და ტომრებში შევინახავ.

— მცენარის ჩენჩოს, ალბათ, პირუტყვს აჭმევთ.

— ლობიოს ჩენჩოსგან განსხვავებით, პირუტყვი ცულისპირას ჩენჩოს არ ერიდება და კარგი საკვებიც არის. ზამთარში პირუტყვს დაფქულ ცულისპირასაც ვაჭმევთ და წონაში სწრაფად იმატებენ.

— ესე იგი, ამ კულტურით გემრიელი კერძების მომზადება შეიძლება?

— უგემრიელესი! გინდათ კვერცხით მოამზადეთ, გნებავთ — ნიგვზით და გნებავთ — სუპად. რაჭაში ცულისპირას ჭვავს ან ხორბალს ამატებდნენ და პურსაც აცხობდნენ. ასე რომ, მისი გამრავლებით მოსახლეობა კვების რაციონს გაიმდიდრებს. მე ცულისპირა 9 მეტრი სიგანისა და 200 მეტრი სიგრძის ნაკვეთზე მაქვს დათესილი. მე ის მადარდებს, რომ ჩვენში ცულისპირას ფასი და გემო დაივიწყეს და არც მისი პროპაგანდისთვის გამოიძებნა საშუალება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვინც არ იცნობს ამ კულტურას, არც ყიდულობს. ამით ფერმერს შემოსავალი აკლდება, მოსახლეობას კი — ძალიან სასარგებლო პროდუქტი.

ეთერ ერაძე

ᲪᲣᲚᲘᲡᲞᲘᲠᲐᲡ ᲨᲔᲭᲐᲛᲐᲓᲘ

ᲘᲜᲒᲠᲔᲓᲘᲔᲜᲢᲔᲑᲘ:

ცულისპირა — 250 გრამი; ნიგოზი — 25 გრამი; ხახვი — 3 თავი; დაჭრილი ქინძი — 40 გრამი; მარილი და პილპილი გემოვნებით.

ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ:

ცულისპირას მარცვალი გაარჩიეთ, გარეცხეთ და ჩაყარეთ ქვაბში, დაასხით იმდენი წყალი, რომ დაფაროს. როცა ადუღდება, 2 თავი ხახვი ჩააჭერით, კარგად რომ მოიხარშება, დაუმატეთ დანაყილი ნიგოზი, 1 თავი წვრილად დაჭრილი ხახვი და ქინძი. მარილით და პილპილით შეკაზმეთ, წამოადუღეთ და გადმოდგით. არც ძალიან თხელი უნდა იყოს და არც ძალიან სქელი. თუ გინდათ, მჟავე იყოს, დაუმატეთ ტყემალი ან ტყლაპი და მოხარშეთ, თუ წყალი შეიშროს, დროდადრო ჩაუმატეთ.

ძვირფასო მკითხველო! თქვენი თანადგომის იმედი გვაქვს. მოგვწერეთ თქვენთვის საინტერესო კითხვები, რაზეც პროფესიონალები გაგცემენ პასუხს. დაგვირეკეთ და გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები თუ რჩევები.

ჩვენთან დაკავშირება შეგიძლიათ: „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთებით; „პალიტრამედიის“ ცხელ ხაზზე: (995 32) 219-60-13; (995 32) 219-60-53; ელფოსტით: mamul-deduli@palitra.ge; tel.: 557 002737; 593 358819

„ᲛᲐᲛᲣᲚ-ᲓᲔᲓᲣᲚᲘᲡ“ ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ
გელა გურგენიძე
ლალი ფაცია
ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲜᲢᲔᲑᲘ:
სწავლული აგრონომი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ფიტოთერაპევტი **ნიკოლოზ იოსებიძე**
სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **მარიამ გელაშვილი**

„ᲐᲥ ᲘᲡᲔᲕ ᲚᲝᲪᲣᲚᲝᲑᲔᲜ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲐᲛᲔᲑᲘ“

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲚᲐᲓ, ᲓᲐᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲓᲐᲑᲐᲡᲗᲐᲜ, ᲤᲝᲗᲝᲚᲔᲗᲘᲡ ᲢᲧᲔᲨᲘ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ ᲓᲒᲐᲡ — ᲘᲥ ᲨᲔᲛᲡᲕᲚᲔᲚᲡ ᲜᲐᲬᲐᲛᲔᲑ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲗᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲖᲔᲝᲖᲔ ᲮᲕᲓᲔᲑᲐ. ᲬᲐᲛᲘᲗ ᲘᲡᲘᲪ ᲔᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲠᲓᲐᲡᲣᲚᲗᲐ ᲡᲣᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲜᲓᲝᲑᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ. ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲨᲔᲡᲐᲜᲓᲝᲑᲘ: ᲐᲛ ᲮᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲢᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲡᲪᲓᲔᲜᲘᲐ, ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲐᲠ ᲩᲐᲣᲕᲚᲘᲐ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲡᲔᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲠᲛᲝᲜᲐᲖᲕᲜᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲔᲙᲚᲐᲗ. ᲛᲔᲠᲔ ᲛᲝᲕᲘᲓᲝᲓᲐ ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲤᲐᲜᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲐᲛᲔᲑᲡ ᲘᲥᲕᲔ, ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲔᲖᲝᲨᲘ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕᲓᲐ. ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲒᲐᲣᲓᲐᲑᲣᲠᲔᲑᲣᲚ ᲢᲐᲫᲐᲠᲡ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲜᲘ ᲨᲔᲐᲤᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲓᲐ.

„ᲠᲝᲪᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲓᲐ, ᲑᲔᲠᲔᲑᲛᲐ ᲛᲐᲛᲐᲗᲐ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲚᲝᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲐᲓ ᲐᲥ ᲓᲐᲐᲑᲠᲫᲐᲜᲔᲡ, ᲪᲐᲚᲙᲔ, ᲢᲐᲫᲐᲠᲨᲘ, ᲚᲣᲡᲙᲣᲛᲐᲨᲘᲐ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲭᲠᲘᲚᲝᲑᲐᲓᲐᲛᲩᲜᲔᲣᲚᲘ ᲫᲕᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ“

სისხლით გამძღარი მტერი დატოვებდა თუ არა აქაურობას, მშენებლობა გრძელდებოდა. XVI საუკუნეში, როცა თურქებმა ხეობა დაიპყრეს, ფოთოლეთის ტაძარიც გაუქმდა.

აქ ათასი ჯურის მტერი დათარეშობდა. მერე მრავალი საუკუნით ოსმალების ხელში აღმოჩნდა აქაურობა...

წმინდა ნაწილები და წარწერიანი ქვები 2008 წელს, არქეოლოგიური გათხრებისას აღმოაჩინეს. გაიწმინდა მამათა საფლავები, წმინდა ნაწილები. ერთ-ერთი საფლავის ქვა ღაღადებს: „ღ(მერ)თმ(ა)ნ ნუ შეუდნეს ცოდვანი მნათესა, რომელ ცხოარ არს“.

— **სულის შემძვრელი წარწერაა, სევდიანი. „უფალო, მნათეს ცოდვებს ნუ შეუნდობო“. არადა, ვინ იცის, რამდენ ლოცვას აღავლენდა ფოთოლეში...**

— ასეთ წარწერებს სწორედ განსაკუთრებულად მლოცველნი და სულგანათებულები აკეთებდნენ, ვისაც უფალი უყვარდა და მის ძალას გრძნობდა, მის დიდებასთან მიახლოების ღირსად თავს არ მიიჩნევდა.

როცა მონასტერი აღორძინდა, ბერებმა მამათა წმინდა ნაწილები მომლოცველების სანახავად აქ დააბრძანეს, ცალკე, ტაძარში, ლუსკუმაშია მოთავსებული ჭრილობადამჩნეული ძვლები და თავის ქალები. ბერები ამბობენ, ამ მამების წმინდა ნაწილებზე დარჩენილი მტერთან ბრძოლის კვალი დაე, ყველამ ნახოს, ვინც ტაძარში შემოვაო...

— **შეუძლებელია, ამ ნაწილების ხილვისას შენი ქვეყნის ისტორია არ გაგახსენდეს, არ დაფიქრდე, დღემდე როგორ მოვედით. ეს წმინდა ნაწილები გვარწმუნებს, რომ ყოველ განსაცდელს გადავიტანთ...**

— და არა მხოლოდ... მათი შემხედვარე იმასაც გრძნობ, რომ სიცოცხლე წამია და ამ წამის იქით უფალია, ეს წამი სიკეთითა და სინათლით უნდა განვლო.

ᲔᲗᲔᲠ ᲔᲠᲐᲫᲔ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ, ᲛᲝᲔᲛᲖᲐᲓᲔ! ᲔᲠᲜᲔᲡᲢ ᲙᲚᲐᲘᲜᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ:

„ᲙᲚᲐᲘᲜᲘ 1980-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲝᲞᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘᲐ. ᲔᲡ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲛᲙᲘ�თᲮᲕᲔᲚᲡ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲥᲐᲜᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲘᲡᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲣᲠᲙᲕᲔᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲜᲐᲢᲠᲔᲑᲣᲚ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲨᲘ“.

NEW YORK TIMES

13.99 ₾

ᲑᲝᲠᲝᲢᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲐᲥ, ᲙᲐᲪᲘᲡ ᲛᲢᲔᲠᲘ ᲠᲔᲘ ᲑᲠᲔᲓᲑᲔᲠᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ:

„ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘ. ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲐᲡᲐᲙᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ �გᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ... ᲔᲡ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡᲐᲐ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ“.

KIRKUS REVIEWS

12.99 ₾

ᲥᲠᲔᲡᲘ ᲛᲔᲠᲘᲡᲐ ᲛᲔᲘᲔᲠᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ:

„ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ“ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲘᲗ, „ᲥᲠᲔᲡᲘᲗ“ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ! ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ ᲐᲛ ᲬᲘ�გᲜᲡ ᲓᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲐᲓ!
ᲣᲓᲐᲕᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲬᲘ�გᲜᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲡᲬᲧᲓᲔᲑᲘᲗ. ᲛᲘᲡ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲛ ᲟᲐᲜᲠᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲐᲠ �გᲘᲠᲩᲔᲕᲗ,

�გᲘᲠᲩᲔᲕᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ!

THE SCHOOL LIBRARIAN

12.99 ₾

ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ L

ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲨᲘ ᲐᲜ ᲓᲐᲠᲔᲙᲔᲗ: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74
ᲓᲐ www.elva.ge ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲛᲝᲒᲐᲠᲗᲛᲔᲕᲗ www. palitral.ge Palitra.L.Publishing

„რა იქნებოდა, რომ გამერისკა, საზღვარგარეთ წავყოლოდი და ოჯახი შეგვექმნა?“

„ძვირფასო რედაქცია, გწერთ წერილს და იმედი მაქვს, ჩემი ისტორია მკითხველს ბევრ რამეზე დააფიქრებს. პირველმა ქორწინებამ არ გამიმართლა. ახალგაზრდობით დაუფიქრებლად მომივიდა, გარეგნობამ მომატყუა და ოცი წლისა დათას ცოლად გავყევი. ჩვენი შვილი გუგა ერთი წლისაც არ იქნებოდა, როცა მივხვდით, რომ ერთად ცხოვრება არ შეგვეძლო და დავშორდით. წლები გადიოდა, გუგა იზრდებოდა. დათა მის სანახავად იშვიათად მოდიოდა. სხვა ოჯახი შექმნა და შვილებიც ჰყავდა.



„ვუთხარი, რომ ცხოვრებაში ყველაზე მეტად ბაჩოსთან რომანს ვნანობდი. ნეტავ, ადრე გამეცანი-მეთქი. გამიღიმა, ნეტავო...“

მე კი გამუდმებით ვეძებდი მეორე ნახევარს. იყო პატარ-პატარა რომანები, მაგრამ მალევე მთავრდებოდა.

ერთხანს უსამსახურობის გამო სახლში ჯდომამ მომიწია. მეზობელი მყავდა, ხათუნა. ბოლო დროს გასუქდა და სავარჯიშო დარბაზში სიარული დაიწყო. მეც ამიყოლია — მაინც არაფერს აკეთებ და ფორმას მაინც აღვიდგენთო.

ყველაფერი სწორედ მაშინ დაიწყო.

ბაჩო იქ გავიცანი. ექიმი იყო, თავისუფალ დროს ვარჯიშობდა. პირველად ჩვენი ყურადღება ნავარჯიშები სხეულით მიიპყრო. მერე დიდხანს ვმკითხაობდით, რომელმა მოვხიბლეთ. აღმოჩნდა, რომ მე მოვეწონე.

უცოლშვილო იყო, უზრუნველყოფილი და ხათუნა დღე და ღამე ჩამჩიჩინებდა, ხელიდან ნუ გაუშვებო. ვერ ვიტყვი, რომ გადავირიე, მაგრამ როცა პაემანზე დამპატიჟა, დავთანხმდი. მერე შეხვედრებს მოვუხშირეთ. ხეირიანად ახლაც არ ვიცი, რატომ ვხვდებოდი. ალბათ, მარტოობას გავურბოდი.

ბოლოს ღამე სასტუმროშიც გავატარეთ.

საკუთარ თავზე ახლაც ვბრაზობ — ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი შეცდომა იყო. უჩემოდ ვეღარ ძლებდა. ვხედავდი, როგორ ვუყვარდი და სულ ჩემ გვერდით ყოფნას ცდილობდა, მე კი ნელ-ნელა ავითვალწუნე, სრულიად უმიზეზოდ, თუმცა სხვა მიზეზი რად მინდოდა — არ მიყვარდა.

ბოლოს, იქამდე მივედით, რომ ბეჭდით გამომეცხადა. კინაღამ გავგიჟდი და იძულებული გავხდი, ურთიერთობა გამეწყვიტა. ვცადე, მშვიდად მომეშორებინა. ჯერ ამისათვის მზად არ ვარ, უნდა მოვიფიქრო-მეთქი, ვუთხარი. ვერაფერი გაიგო, ნაწყენი და დათრგუნვილი წავიდა.

ისევ მარტო დავრჩი. ვარჯიშსაც თავი მივანებე, რადგან მასთან შეხვედრა არ მინდოდა. ხათუნამ ვერ გაიგო, რომ ბაჩო ჩემი რომანის გმირი არ იყო.

— ვერ ხვდები, რომ პატარა გოგო აღარ ხარ? ასე თუ მოიქცევი, აღარავინ გაგეკარება, ბოლოს კი ბებერი და მარტოსული დარჩები, — მითხრა და ჩემს წარუმატებელ რომანებს რომ გადავხედე, მივხვდი, მართალი იყო.

ამ ამბიდან ერთი თვის შემდეგ, ბაჩომ ისევ დამირეკა და შინ მიმიპატიჟა. რაც არის, არის, იქნებ მართლაც ბედია-მეთქი, ვიფიქრე და წავედი.

მთელი ოჯახი დიდი სიხარულით და მოკრძალებით შემხვდა. მაშინ გავიცანი ნიკუშაც, ბაჩოს ძმა. მასზე თორმეტი წლით უმცროსი იყო, საზღვარგარეთიდან ახალი ჩამოსული, ბაჩოს ანტიპოდი. ძალიან კომუნიკაბელური, მხიარული, თვალებში ეშმაკუნები დაურბოდა. სუფრას მივუსხედით, რაც უფრო ვაკვირდებოდი, მით მეტად მომწონდა. თავის ამბებს ჰყვებოდა და ყველას ამხიარულებდა.

ბაჩო დინჯად იჯდა და დროდადრო ჩაეღიმებოდა ხოლმე. დედა-მამაც ძალიან მომეწონა. ორივე ექიმი იყო. მათ ოჯახში გამონაკლისი მხოლოდ ნიკუშა იყო — მედიცინა გვერდზე გადაედო და ხელი მხატვრობისთვის მიეყო, თან ქართული ფოლკლორით იყო გატაცებული. მოკლედ, მოვიხიბლე...

იმ საღამოს სახლში მანქანით ნიკამ წამომიყვანა. ბაჩომ — შეუძლოდ ვარო. არ ვიცი, იმასაც მოვეწონე თუ რა იყო, მაგრამ შეყვარებული კაცის თვალებით კი მიყურებდა. იქნებ ასეთი მზერაც ჰქონდა, არ ვიცი... ან გამოუსწორებელი მექალთანე იყო.

საკუთარ თავს ვეჩხუბებოდი. ბაჩოსთან ურთიერთობას ახლა ყველაზე მეტად ვნანობდი. ბაჩო კი გამუდმებით მირეკავდა.

მათი ოჯახის ხშირი სტუმარი გავხდი. ვითომ ბაჩოსთან მივდიოდი, სინამდვილეში კი ნიკუშას ნახვა მინდოდა. არ ვიცოდი, თავს როგორ მოვრეოდი. მესმოდა, რომ ყველაფერი სისულელე იყო, რომ ნიკუშასთან ურთიერთობას პერსპექტივა არ ჰქონდა, თუმცა, მისი მრავლისმეტყველი მზერა თითქოს სწორედ ამის პირობას მაძლევდა. მისი მშობლებიც, რა თქმა უნდა, როგორც ბაჩოს მომავალ მეუღლეს, ისე მიყურებდნენ.

ამასობაში ბაჩოს საზღვარგარეთ წასვლამ მოუწია. სასასოწარკვეთილი ვიყავი, იმიტომ, რომ მისი ძმის ნახვას ვეღარ შევძლებდი. ვტიროდი და ხათუნა მაწყნარებდა. ყოველი წუთი ტაატით გადიოდა.

ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, ტელეფონმა რომ დარეკა. უხალისოდ ვუპასუხე და ყურმილი ხელში გამიშეშდა. ნიკა იყო — მეგობრებთან ერთად დროის გასატარებლად მივდივარ და შენც წამოდიო. დავიბენი, მაგრამ გონს მოსვლა არ დამაცადა — გამოგივლიო.

მანქანით მომაკითხა. პატარა გოგოსავით ვღელავდი. სადღაც ბარში წავედით, დავლიეთ, ვიცეკვეთ, ვიხალისეთ და გამთენიისას სახლში მომიყვანეს. არაფერი ზედმეტი.

ამის შემდეგ მოწყენის საშუალება აღარ მოუცია. ხშირად მოდიოდა და სასეირნოდ და გასართობად მივყავდი. როგორც მივხვდი, ღამის ცხოვრება უყვარდა.

ერთხელ მანგლისში, მისი მეგობრის აგარაკზე აღმოვჩნდით. რა თქმა უნდა, დავლიეთ. უკვე გვიანი იყო, საძინებლისკენ რომ გავემართე, ოთახში ისიც შემომყვა.

გაოცებულმა შევხედე და გადი-მეთქი, ვთხოვე. ვცახცახებდი, გული ყელში მომებჯინა. ჩემი თხოვნა ყურად არ იღო, მომიახლოვდა და კოცნა დამიწყო. იმ წუთში მასთან სიახლოვის გარდა არაფერი მინდოდა, მაგრამ გონს მოვეგე და უხეშად გავწიე. გაუკვირდა, თვალებში ისევ ეშმაკები დაურბოდა, მიღიმოდა... ეს ღიმილი ძალიან მომწონდა. არაფერი გამოგვივა-მეთქი, ვუთხარი. ისევ გამიღიმა და ოთახიდან უსიტყვოდ გავიდა.

იმ ღამეს არ მძინებია, ფიქრში დამათენდა. გადავწყვიტე, რომ ეს ცირკი დამემთავრებინა.

დილით სახლში წამოვედი. ნიკუშა აღარ შემომხმიანებია. ერთ კვირაში ბაჩოც ჩამოვიდა. როგორც იქნა, გავბედე და ვუთხარი, რომ არ მიყვარდა, თუმცა დიდ პატივს ვცემდი. გულნატკენს სიტყვაც არ დასცდენია.

წელიწადზე მეტი იყო გასული, ნიკუშა რომ გამომეცხადა. გამოგიარე, მოგიკითხეო, მითხრა. ნაბახუსევი იყო და ლუდის დასალევად დამპატიჟა, კომპანიონობა გამიწიეო.

ბევრი ვილაპარაკეთ. მომიყვა, რომ ბაჩომ ჩემთან განშორება ძალიან განიცადა, მერე უკრაინელი გოგო გაიცნო და ცოლად მოყვანას აპირებსო. გამომიტყდა, რომ ძალიან მოვწონდი, რომ ჩემთან ურთიერთობა ყოველთვის უნდოდა, მაგრამ ძმის გამო თავს იკავებდა. მერე მანგლისში თავს ვეღარ მოერია, მაგრამ როცა ჩემგან უარი მიიღო, ჩემდამი ასმაგი პატივისცემით განიმსჭვალა. მეც ვუთხარი, რომ ცხოვრებაში ყველაზე მეტად ბაჩოსთან რომანს ვნანობდი. ნეტავ, ადრე გამეცანი-მეთქი. გამიღიმა, ნეტავო... მერე შემომთავაზა, ვიმეგობროთო. დავთანხმდი და ერთმანეთს დავემშვიდობეთ...

„ნელ-ნელა ავითვალწუნე, სრულიად უმიზეზოდ, თუმცა სხვა მიზეზი რად მინდოდა – არ მიყვარდა“

მეორე დღეს დამირეკა, წამოდი, სადმე გავიქცეთო... ტირილი ამივარდა. მაწყნარებდა, ნუ ტირი, საზღვარგარეთ წავიდეთ, ჩვენც ხომ გვაქვს ბედნიერების უფლებაო...

მიუხედავად იმისა, რომ ბაჩოსთან აღარაფერი მაკავშირებდა, უარი ვუთხარი. სხვაგვარად არ შემეძლო, ეს უზნეო საქციელი იქნებოდა.

წლებმა თავისი ქნა. უკვე გუგა მყავდა დასაქორწინებელი.

ქუჩაში შემთხვევით ბაჩო შემხვდა, თავის უკრაინელ ცოლთან ერთად. მეგონა, ნაწყენი იქნებოდა, მაგრამ ძალიან თბილად მომიკითხა. მომიყვა, რომ ორი შვილის მამა იყო, რომ სამუშაოდ საზღვარგარეთ, კლინიკაში მიიწვიეს, მოკლედ, ცხოვრება ძალიან კარგად აეწყო. მოგვიანებით ნიკუშას ამბავი ვიკითხე. თავისზე თხუთმეტი წლით უფროსი სამშვილიანი ქალი შეირთო და არც ერთი არ ველაპარაკებითო... მერე ერთმანეთს დავემშვიდობეთ...

გზაში ვფიქრობდი, რა იქნებოდა, რომ გამერისკა, ნიკუშას საზღვარგარეთ გავყოლოდი და ოჯახი შეგვექმნა? *ნატა ნ.“*

ანა ყარალაშვილი

„შემომითვალა, არ ჩამოხვიდე, თორემ აეროპორტში დაგაინვალიდებო“

18 წლისა, დედასთან ერთად ამერიკაში წავიდა. 20 წლის მანძილზე, ნელ-ნელა წელში გაიმართნენ, გოგონამ ბიზნესიც წამოიწყო, საქართველოში სახლი იყიდა და 14 წლის შვილთან ერთად დაბრუნდა სამშობლოში. პირველმა ქორწინებამ არ გაუმართლა, უნდოდა, ამერიკაში დაბადებული და გაზრდილი შვილისთვის საქართველო შეეყვარებინა, შინ დაბრუნებულმა კი გაიცნო მამაკაცი, რომელიც სიყვარულში გამოუტყდა და იქორწინეს.

დღეს ფეხმძიმე ქალი სასამართლოს გზით ცდილობს ქმართან განქორწინებას და თავისი უფლებების დაცვას. რადგან საქმე ოჯახურ კონფლიქტს ეხება, მოძალადის და მსხვერპლის ვინაობას არ გავამხელთ.

— ახლა რომ ვაანალიზებ, ჩემს თავზე ვბრაზდები. როგორ შეიძლებოდა ერთ თვეში გაცნობილ ადამიანს ცოლად გავყოლოდი! თავდაპირველად არაჩვეულებრივად მექცეოდა. ჩემს გოგონასთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ეს კი მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. თურმე ჩემი ქმარი რამდენიმე თვე კარგი ბიჭის როლს თამაშობდა, ოთხი თვის ფეხმძიმე ვიყავი, ოჯახში აყალმაყალი რომ დაიწყო — პერიოდულად მახსენებდა, საბუთები გავგზავნოთ ამერიკაშიო. ჩემი შვილის მიმართაც შეიცვალა — უხეშად ექცეოდა. გვიან გავიგე, ცოლ-შვილს გაშორებული იყო და არც საკუთარ შვილებზე ზრუნავდა. დალევა დაიწყო, მოითხოვდა, რომ ფსიქოტროპული წამლები მეყიდა. არსად მუშაობდა და ჩემს კმაყოფაზე იყო. მონადირეა და მის სახელზე შვიდი იარაღია გაფორმებული. ერთ დღესაც იარაღით დამემუქრა, საბუთები გამიმზადეო. მოგვიანებით პოლიციამ დამამშვიდა, გაზის პისტოლეტიაო. სხვა აღარ მქონდა და შვილთან ერთად ისევ ამერიკაში გავფრინდი. ის კი საშინელებების მოწერას განაგრძობდა, მამცირებდა, შეურაცხყოფას მაყენებდა.

— საქართველოში რატომ დაბრუნდით?

— იმიტომ რომ განქორწინება გადავწყვიტე. რომ გაიგო, დაბრუნებას ვაპირებდი, შემომითვალა, არ ჩამოხვიდე, თორემ აეროპორტში დაგაინვალიდებ, ჯერ საბუთები გამომიგზავნე, მერე რაც გინდა, ის გააკეთეო..

რომ ჩამოვფრინდი, ახლობელთან დავბინავდი, მომაგნო. ბოდიშები არ მოუხდია, მაგრამ შევრიგდით, ორი კვირა ვიცხოვრეთ ერთად. ამასობაში თანხა გამომტყუა და ოქროულიც კი ჩამადებინა ლომბარდში. ჯერ დაუბადებელი ბავშვით მევაჭრებოდა, ამერიკის მოქალაქეობა მიმაღებინე, თორემ დედობას ჩამოგართმევო. რომ შევეკამათე, საცემრად გამოიწია. გოგონა ჩაგვიდგა შუაში და ბავშვის ცემაც დააპირა. პოლიცია ჩაერია, თორემ მე და ჩემი შვილი დღეს ცოცხლები არ ვიქნებოდით.

30 დღით დამცავი ორდერი გაიცა. შემდეგ რა იქნება, არ ვიცი. ისევ მემუქრება, მე კი საქართველოდან ვერ მივდივარ, რადგან 21 საათი ფრენას ვერ შევძლებ. ამერიკის საკონსულოში მითხრეს, თავი უსაფრთხოდ რომ იგრძნო, ევროპის რომელიმე ქვეყანაში გაგიყვანთო, მაგრამ უარი ვთქვი — ვერ ვირბენ ორსული სხვა ქვეყნებში. აქ დამიცვან სამართალდამცავებმა!

ოჯახური ძალადობის მსხვერპლი გოგონას ინტერესებს ადვოკატი ლედი ტუკვაძე იცავს: „როგორც აღმოჩნდა, იმ მამაკაცის მიზანი ამერიკის მოქალაქეობა იყო, ამერიკის მოქალაქეზეც ამიტომ დაქორწინდა. სასამართლოს გზით ვცდილობთ, დავიცვათ მისი უფლებები. შევხვდით ამერიკის კონსულს და განვიხილეთ გოგონას უსაფრთხოების დაცვის სხვადასხვა ვარიანტი. შს სამინისტროს ვთხოვ, დაიცვას ამერიკის მოქალაქის სიცოცხლე და უსაფრთხოება“.

თეა ხურცილავა



პრესტიჟულ რესტორანში ორი ოჯახი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მისაღებად ემზადება და მოულოდნელად მათი ოჯახური საუბარი ტრაგედიად გადაიქცევა. თქვენ დიდი მორალური დილემის წინაშე აღმოჩნდებით. გახდებით სისასტიკისა და დაუნდობლობის, სარკაზმისა და ირონიის, სიგიჟისა და თავგანწირვის მოწმე.

(ამონარიდი წიგნიდან)

შევედი თუ არა მიშელის ოთახში, პირდაპირ იმას გადავაწყდი, რასაც ვეძებდი...

ახალთახალი შავი „სამსუნგი“ ოთახში დაეტოვებინა. მაშინვე ავიღე და გავხსენი... ფაილებში ვიდეოები იმაზე სწრაფად მოვძებნე, ვიდრე მოველოდი და, აი, ისიც, რასაც ვეძებდი. ვიგრძენი, სახე როგორ გამეყინა.

მეტროს სადგური მაშინვე ვიცანი. კადრში თეთრი სპორტული ფეხსაცმელი გამოჩნდა. კამერა კიდევ უფრო მეტად რომ მიუახლოვდა, შევამჩნიე, რომ წვერგაუპარსავ კაცს სახე დალაქავებოდა. ალბათ, ვიღაც მათხოვარი იყო, უსახლკარო... მის ზურგს უკან ჩემი ძმისშვილის, რიკის სახე გამოჩნდა.

— დუბლი ნომერი ერთი! ვიღებთ! — ღიმილიანი სახით თქვა ჩემმა ძმისშვილმა და მოხუცს ყურში სთხლიშა... მამაკაცს თავი გვერდზე გადაუვარდა, ტკივილისგან სახე დაემანჭა და მომდევნო დარტყმა რომ აერიდებინა, ხელები ყურებზე აიფარა.

— აბა, თქვი „Jackass“, — გაისმა კადრს მიღმა. მაშინვე ვიცანი ჩემი შვილის ხმა. უსახლკარო მამაკაცის ნაცვლად ახლა ეკრანზე მხოლოდ რიკი ჩანდა — ცხვირპირი კამერასთან მოეტანა და სულელურად იკრიჭებოდა.

ისევ გამოჩნდა ეკრანზე უსახლკარო. ტუჩები უცახცახებდა და თვალები დაეხუჭა. მერე, როგორც იქნა, ამოღერღა:

— Jacka... Jackass…...

ეს იყო და ეს.

...ამ ამბიდან რამდენიმე კვირის თავზე სატელევიზიო გადაცემაში „იძებნება“ აჩვენებენ ვიდეომასალას, რომელშიც შესანიშნავად ჩანს ორი ბიჭი, რომლებმაც ვიღაც ქალს ჯერ კანისტრა ესროლეს, მერე კი გაიქცნენ. დამნაშავეები კადრში დიდხანს არ ჩნდებიან. არც ქალი ჩანს, რომელსაც ბანკომატის ჯიხურში დაესხნენ თავს. უძრავი კამერაა და ამიტომ ის, რაც ჯიხურში ხდება, მხოლოდ ნაწილობრივ ჩანს.

ცუდად, მაგრამ მაინც ჩანდა, წასაქეზებლად როგორ უტყაპუნებდნენ ახალგაზრდები ერთმანეთს ხელს ხელზე. ხმა არ ისმოდა, მაგრამ ეჭვი არც იმაში შეგეპარებოდათ, რომ ახალგაზრდები უშვერი სიტყვებით ილანძღებოდნენ... რაც მთავარია, ჩანდა, რომ იცინოდნენ.

ყველაზე უარესი, ასე ვთქვათ, საკვანძო კადრი, რომელმაც ნახევარი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო, სულ ბოლოსთვის მოეტოვებინათ. ჯერ აჩვენეს, ახალგაზრდები კანისტრას როგორ ისროდნენ, ცარიელ კანისტრას, მერე გარეთ გადიოდნენ და რაღაც მოჰქონდათ. სანთებელა იყო? ასანთი? მერე თვალისმომჭრელი, კაშკაშა სინათლის მეტი აღარაფერი ჩანდა. ვიდეო, პრაქტიკულად, ბიჭების გაქცევით მთავრდებოდა... ჩანაწერი კიდევ რამდენიმე წუთს მიდიოდა, მაგრამ კადრში ვერც კვამლს დაინახავდით, ვერც ცეცხლის აღს. კანისტრის აფეთქებას ხანძარი არ მოჰყოლია. მთავარი რამ კადრს მიღმა ხდებოდა — უსახლკარო ქალი მკვდარი იყო. ალბათ, ალი გადაყლაპა და მაშინვე გარდაიცვალა. ყველაზე დიდი, კიდევ რამდენიმე წუთს ეცოცხლა. შეიძლება საძილე ტომრიდან ამოძრომაც კი სცადა. შეიძლება, არც უცდია. კამერას არაფერი დაუფიქსირებია...

..წარსულზე ფიქრისას ზუსტად მახსენდება ის მომენტი, როდესაც მივხვდი, რომ საქმე ჩვენი ძმისშვილის, ანდა ჩვენი ვაჟიშვილისნაირ ბიჭებს კი არა, ჩვენს ვაჟიშვილსა და ჩვენს ძმისშვილს ეხებოდა. ვიჯექი სამარისებურ სიჩუმეში და ძარღვებში სისხლი მეყინებოდა.

კონკურს „გახდი ბესტსელერის ავტორის“ გამარჯვებულებს მენტორობას ცნობილი მწერლები გაუწევენ

„პალიტრა L“-ის მიერ ორგანიზებული კონკურსი — „გახდი ბესტსელერის ავტორი“ 20 მარტს დაიწყო და თითქმის 3 თვე გაგრძელდა. უცნობი ავტორების ნაწარმოებებს საზოგადოებასთან ერთად პროფესიონალი ჟიური: ლევან ბერძენიშვილი, ივანე ამირხანაშვილი, რამაზ ჭილაია, ზაალ ჩხეიძე და მარიკა დარჩია აფასებდნენ. „კვირის პალიტრის“ მკითხველი ეტაპობრივად ეცნობოდა თითოეულ მათგანს. მათი ნამუშევრები ოქტომბრისთვის გამოიცემა. მანამდე კი კიდევ ერთი სიახლე უნდა გაგაცნოთ: გამოცემამდე გამარჯვებულ ნაწარმოებებს ქართველი მწერლები აფასებენ და „გახდი ბესტსელერის ავტორის“ ფინალისტებს სამწერლო კარიერაში პირველი ნაბიჯის გადადგმაში ეხმარებიან. უკვე ცნობილია, რომ თითოეულ გამარჯვებულს პერსონალური მენტორი ეყოლება.

დათო ტურაშვილი ელის დოდჯსონის მენტორი იქნება, თამრი ფხაკაძე — თათული ღვინიანიძის, ტორესა მოსი — თორნიკე ზვიადაურის, თეონა დოლენჯაშვილი — შორენა ხუხუასი, ხოლო გიორგი კეკელიძე — ია კარგარეთელის.

დათო ტურაშვილი ელის დოდჯსონის მენტორი იქნება, თამრი ფხაკაძე – თათული ღვინიანიძის, ტორესა მოსი – თორნიკე ზვიადაურის, თეონა დოლენჯაშვილი – შორენა ხუხუასი, ხოლო გიორგი კეკელიძე – ია კარგარეთელის

ᲓᲐᲗᲝ ᲢᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, *მწერალი:* — ელის დოდჯსონი საინტერესო მწერალი და ასევე საინტერესო ადამიანია. ნაწარმოები ყურადღებით წავიკითხე და რჩევებიც მივეცი, თუმცა, ვფიქრობ, რომ ის უკვე ჩამოყალიბებული შემოქმედია და არავის რჩევას არ საჭიროებს. შემიძლია ვუთხრა მას, რომ აკეთოს ის, რისიც სჯერა და სწამს.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲤᲮᲐᲙᲐᲫᲔ, *მწერალი:* — სახალხო პროექტებზე დაკვირვებით მივხვდი, რომ რაც ხალხმა შეიყვარა და ამოარჩია, ის არის ფასეული. ხალხი არ ცდება!

თათული ღვინიანიძე მიზანდასახული და გაბედული ავტორია, მისი თხზულების ემოცია გადამდებია. თვითონაც ემოციურია, აქვს განსაკუთრებული მწერლური ხედვა ცხოვრების მიმართ. გამიმართლა, რომ მასთან ერთად მიწევს მუშაობა.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲫᲔ, *მწერალი:* — კონკურსი ერთმნიშვნელოვნად საინტერესოა. სამომავლოდ ეს პლატფორმა შეიძლება დიდ გამოწვევად იქცეს ახალი თაობის ავტორებისთვის, მათთვის, ვისაც აქამდე არ ჰქონდათ შესაძლებლობა ფართო საზოგადოებისთვის შეეთავაზებინათ ნამუშევრები. გამიმართლა, რომ ია კარგარეთელის ნაწარმოები შემხვდა. მე დაინტერესებული ვარ აღმოსავლური კულტურით, რაც იას რომანის მთავარი თემაა. საინტერესოა კავშირები საქართველოსა და აღმოსავლეთს შორისაც. საქართველოში დაწყებული მოქმედება ეგვიპტეში გრძელდება. ეს საინტერესო შინაარსს გვთავაზობს.

ᲢᲝᲠᲔᲡᲐ ᲛᲝᲡᲘ, *მწერალი და სცენარისტი:* — საქართველოში ამ მიმართულებით ასეთი მასშტაბური პროექტი პირველია. განსაკუთრებული ამ კონკურსში ის არის, რომ ხალხი ავლენს თავის რჩეულს და მხოლოდ პროფესიული წრე არ არის ჩართული. თორნიკე ზვიადაურს მგონია, რომ მკითხველი დადებითად შეხვდება. შენიშვნები მინიმალურია...

ᲗᲔᲝᲜᲐ ᲓᲝᲚᲔᲜᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ, *მწერალი:* — მსგავსი კონკურსები ყოველთვის საინტერესოა, რადგან ხდება ახალი სახელების აღმოჩენა. უარყოფითი მხარე კი ის არის, რომ ინტერნეტის საშუალებით შეფასებისას როგორც ქართველებმა ვიცით, ნაცნობ-მეგობრებს დავრაზმავთ ხოლმე ქულების დასაწერად. უნდობლობა უნდა აღმოიფხვრას. სხვა მხრივ ძალიან კმაყოფილი ვარ. გამორჩეულია შორენა ხუხუას რომანი. ის უკვე ჩამოყალიბებული ავტორია. სტილისტურად ძალიან გამართულად წერს, დამაჯერებლად ჰყვება ამბავს. მისი რომანი ნახევრად ავტობიოგრაფიულია და აქტუალურ თემას ეხება. შშმ პირების ცხოვრებით სპეკულირება ხშირად ხდება ხალხის გულის ასაჩუყებლად. შორენამ ფაქტობრივად ბეწვის ხიდზე გაიარა, თუმცა ნამდვილად გადალახა ეს სირთულე, კულტურულად და ემოციურად მოგვაწოდა სათქმელი.

ეკა სალაღაია

„პიტალო კლდეებით გარშემორტყმული

ბორბალოს მთების მახლობლად, იქ, სადაც სათავეს სამი მდინარე — არაგვი, იორი და ალაზანი იღებს, ფშავისა და თუშეთის გამყოფი ქედია წამომართული. უსახელო, დეკა და ღვიანით აფერადებული მთები მწვერვალამდე მიდის, რომელიც ისეთივე ამაყი და შეუვალია, როგორიც 23 წლის ალვანელი თუში ბიჭი იყო, თავად მტერმა და სიკვდილმა რომ დაუმკვიდრეს უკვდავება. 18 აგვისტოს გიორგი ანწუხელიძე 33 წლის გახდებოდა... 3276 მეტრი სიმაღლის მწვერვალს მალე ეროვნული გმირის სახელს მიანიჭებენ. ეს იდეა მოლაშქრეთა შვიდკაციან ჯგუფში დაიბადა, რომლებმაც მწვერვალი აგვისტოს ომის მეცხრე წლისთავამდე ერთი კვირით ადრე დაიპყრეს. იდეის ავტორი და ტოპოგრაფთა ჯგუფის წევრი, თადარიგის პოლკოვნიკი დიმიტრი ქართლელიშვილი მწვერვალამდე მიმავალ ფათერაკებით სავსე გზაზე გვიამბობს:

„თავდაპირველად სოფელ უკანა ფშავში ჩავედით, მწყემსებისგან ცხენები ავიყვანეთ და უახლოესი მწვერვალისკენ გავემართეთ“

— საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სხვადასხვა თანამდებობაზე ვიმსახურე, აგვისტოს ომის დროს გარკვეული სირთულეები შემხვდა, რის შემდეგაც, 2009 წლის ბოლოს, გულის შუნტირება დამჭირდა. 2010 წელს თადარიგში გავედი. ყოფილი სპორტსმენი ვარ და როგორც მეგობრები მეუბნებიან, გამოუსწორებელმა ოპტიმისტმა 1-ლ აგვისტოს თანამოაზრეებთან ერთად დიდი ბორბალოს ერთ-ერთ მწვერვალზე გადავწყვიტე ასვლა. ექიმის რჩევის მიუხედავად, რისკზე წავედი, მინდოდა, თავისთვის დამემტკიცებინა, რომ 62 წლის ასაკში, შერყეული ჯანმრთელობის მიუხედავად, რაღაც კიდევ შემიძლია. ჯგუფის დანარჩენი წევრები ჩემზე უმცროსები არიან. ორი სამხედრო პირი ვიყავით — მე, პოლკოვნიკი ნოდარ ხორბალაძე და ლეიტენანტი ზვიად თურმანიძე. მე თადარიგის პოლკოვნიკი გახლავართ და სამოქალაქო პირად ვითვლები, ისე როგორც დანარჩენები — გიორგი ფერაძე, გვანცა წირღვავა, ოთარ დემეტრაშვილი და თედო გორგოძე.

თავდაპირველად სოფელ უკანა ფშავში ჩავედით, მწყემსებისგან ცხენები ავიყვანეთ და უახლოესი მწვერვალისკენ გავემართეთ. თან მეცხვარის ოთხი ლეკვი გამოგვყვა. მწყემსი ცდილობდა, ლეკვები უკან დაებრუნებინა, მაგრამ ვერ დაიყოლია და ისინიც ჩვენს ჯგუფს შემოუერთდნენ. ექვსი კილომეტრი გავიარეთ და 7-8 საათის შემდეგ უსახელო მწვერვალზე, რომლის სიმაღლე 3276 მეტრია, ავედით.

8 აგვისტო ახლოვდებოდა, რუსეთ-საქართველოს ომის მეცხრე წლისთავი, და მეგობრებს შევთავაზე, უსახელო მწვერვალს ეროვნული გმირის, გიორგი ანწუხელიძის სახელი დარქმეოდა. დაბრუნებულებმა, ვისაც ეს აზრი გავაცანით, ყველამ ერთხმად მოიწონა, მათ შორის გიორგის მეუღლემ, მაკამაც.

უსახელო მწვერვალიდან დაბრუნებისას დაახლოებით 7,5 კილომეტრი რთული რელიეფი გავიარეთ. ბილიკზე გასულებს წინ დათვის ბელმა გადაგვირბინა. სადაც ბელი იყო, იქ დედა დათვიც იქნებოდა, ამიტომ ჯგუფის ხელმძღვანელმა, ნოდარ ხორბალაძემ, გადაწყვიტა, სხვა მიმართულებით წავსულიყავით, თან ისე, წყალს რომ არ მოვწყვეტოდით. ახალგაზრდა ლეიტენანტის, ზვიად თურმანიძის გამოცდილება ბევრ რამეში წაგვადგა. გზად კოკისპირულ წვიმაში მოვყევით, ბილიკები ჩამორეცხილი იყო, ამიტომ სხვა მიმართულებით წავედით და ჩანჩქერს მივადექით, რომლის გადალახვა შეუძლებელი იყო, ამასთან, პიტალო

საქართველოს ეროვნული გმირი გიორგი ანწუხელიძე

დაიბადა 1984 წლის 18 აგვისტოს ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ალვანში. 2003-2004 წლებში გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური შინაგანი ჯარების პირველ ოპერატიულ ბრიგადაში. 2004 წელს მონაწილეობდა ცხინვალის რეგიონში მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტში. 2005 წლის 23 აპრილიდან 2006 წლის პირველ აგვისტომდე მსახურობდა II ქვეითი ბრიგადის 21-ე ბატალიონში. 2005 წლის 10 სექტემბრიდან 2006 წლის 26 აპრილამდე იმყოფებოდა სამშვიდობო მისიის შესასრულებლად ერაყში. ერაყიდან დაბრუნებულს ჯანმრთელობის გაუარესების გამო სამხედრო სამსახურისთვის თავის დანებებამ მოუწია. 2008 წლის 17 აპრილიდან შეიარაღებულ ძალებს დაუბრუნდა.

კაპრალი გიორგი ანწუხელიძე 2008 წლის 9 აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ერთ-ერთი შეტაკებისას ტყვედ ჩაუვარდა მოწინააღმდეგეს. ოკუპანტებმა ინტერნეტით ქართველ ტყვეთა სადისტური მოპყრობის ამსახველი ვიდეოჩანაწერები გაავრცელეს. ჩანაწერში ჩანს, ანწუხელიძეს როგორ აიძულებენ სეპარატისტები დაიჩოქოს და მიწას აკოცოს, ბიჭი მედგრად დგას, მტერს არ ეპუება... ზოგი თავის მოჭრით ემუქრება, ზოგიც დახვრეტას უპირებს, აიძულებენ, მტრის ინტერესების მიხედვით მისცეს ჩვენება, მაგრამ ჯარისკაცი არ ტყდება, გმირულად უძლებს წამებას... წამებისა და დაკითხვის შემდეგ ცხინვალის მე-5 სკოლასთან, ძმათა სასაფლაოზე ცემით მოკლეს. ანწუხელიძე 2008 წლის ნოემბრამდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ცხინვალიდან ათი ქართველის ცხედარი გადმოასვენეს, გენეტიკური ექსპერტიზით დადგინდა, რომ ერთ-ერთი მათგანი გიორგი ანწუხელიძე იყო. ეროვნული გმირი თბილისში, მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზეა დაკრძალული.

2009 წლის იანვარში ინტერნეტით გავრცელდა ვიდეოები, სადაც მისი წამების კადრებია ასახული. 2013 წლის აპრილში პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გიორგი ანწუხელიძე ეროვნული გმირის ორდენით დააჯილდოვა. ჯილდო ანწუხელიძის ქვრივს, მაკა ჩიკვილაძეს გადაეცა.

ᲥᲕᲐᲑᲣᲚᲨᲘ ᲐᲚᲛᲝᲕᲩᲜᲓᲘᲗ...“

„ევაკუაციის დროს შვეულმფრენში სამი ძაღლი ამოვიყვანეთ, მეოთხე კი იქ დაგვრჩა, სამწუხაროდ, ვერ მოვიხელთეთ“

ბორბალოს მთების მახლობლად, იქ, სადაც სათავეს არაგვი, იორი და ალაზანი იღებს, ფშავისა და თუშეთის გამყოფი ქედია წამომართული. უსახელო, დეკა და ღვიანით აფერადებული მთები მწვერვალამდე მიდის

კლდეებით გარშემორტყმულ ქვაბულში აღმოვჩნდით და იძულებული გავხდით, დავბანაკებულიყავით, ამასობაში სურსათიც გამოგველია. მანამდე ჩვენს ოთხ ძაღლსაც, როგორც ჯგუფის წევრებს, თანაბრად ვუყოფდით საკვებს.

და მაშინ თურმანიძემ ივაჟკაცა, კლდეზე გავიდა, 8 საათი იარა და ბარისახოს მესაზღვრეებამდე მიაღწია. მესაზღვრეებს შეუერთდნენ მაშველებიც, სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ქვაბულიდან შვეულმფრენიდან ჩამოშვებული ბაგირებით უსაფრთხოდ ამოგვიყვანეს.

საოცარი სითბოთი მახსენდება ჯგუფის ერთადერთი გოგონა გვანცა წირღვავა. როცა სურსათი შემოგველია, დაგვრჩა მხოლოდ ნახევარი „სნიკერსი“, გვანცამ, ეს თქვენ უნდა მიირთვათ, როგორც ასაკით ყველაზე უფროსმაო. არავითარ შემთხვევაში-მეთქი. თვალებიდან არ ამომდის, როგორ დაჭრა და ულუფებად დაანაწილა, რომ ყველას შეხვედროდა.

ევაკუაციის დროს შვეულმფრენში სამი ძაღლი ამოვიყვანეთ, მეოთხე კი იქ დაგვრჩა, ვერ მოვიხელთეთ. ახლა რომ ვფიქრობ, მიკვირს, როგორ შევძელით ეს ყველაფერი.

სიძნელეების გადალახვა ზვიად თურმანიძის დახმარებით შევძელით. ასეთ ლაშქრობაში როდესაც მიდიხარ, აუცილებელია, თან ვინმე გამოცდილი გახლდეს. სამივე გადარჩენილი ჩვენი ერთგული მეგზური ძაღლი შინ წამოვიყვანე. მოგვიანებით მწყემსებს გადასცეს. ძალიან მწყდება გული იმ მეოთხე, დაკარგულ ლეკვზე. ამბობენ, ძაღლს ძალის მოკრება სჩვევია და შეიძლება ახლომახლო სოფელში თავისით გადავიდესო. ღმერთმა ქნას!

ასე დასრულდა ჩვენი გმირული ეპოპეა, რომლის მთავარი შედეგი ის გახლავთ, რომ უსახელო მწვერვალს საქართველოს ეროვნული გმირის, გიორგი ანწუხელიძის სახელს მიაკუთვნებენ. მით უმეტეს, ეს ახალგაზრდა გმირი თუში იყო. ჩვენი იდეა ყველამ მოიწონა — ახმეტის გამგებელმა, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამაც.

უნდა ვისწავლოთ გმირების დაფასება. მიხარია, რომ ჩემი ინიციატივით 2015 წელს, კრწანისის ომის 220-ე წლისთავთან დაკავშირებით, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ქართველი გმირის, ერეკლე მეფის არტილერისტის, მაიორ ერეკლე გურამიშვილის სახელი მიენიჭა. ყველა სკოლაში უნდა ისწავლებოდეს ასეთი ადამიანების საგმირო საქმეები... ახალგაზრდები სახელმწიფოს ერთიანობისა და პატრიოტიზმის სულისკვეთებით უნდა გავზარდოთ. განცხრომას ნუ მივეცემით, როცა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა აღსადგენია.

ნანა ფიცხელაური

PALITRA NEWS

არაჩვეულებრივი ისტორიები

სუპერთალღითი!

კრისტოფ როკანკურის კრიმინალური ცხოვრება

მაქსიმალური, ოცწლიანი სასჯელის თავიდან ასაცილებლად როკანკურმა დანაშაული სამ პუნქტში აღიარა და ხუთწლიანი პატიმრობაც მიიღო 9 მილიონ ჯარიმასთან ერთად, რაც ნამდვილად არაფერია იმ ნადავლთან შედარებით, რომელიც თაღლითმა წლების მანძილზე დააგროვა

მართალია, ყველა თაღლითს საქმიანობის განსხვავებული სფერო და „მუშაობის“ ინდივიდუალური სტილი აქვს, მაგრამ ყველას ერთი მიზანი — სხვათა მოტყუებით გამდიდრების სურვილი ამოძრავებს. გამონაკლისი არც თვითმარქვია კრისტოფ როკანკურია, რომელიც ხან სოფი ლორენის შვილად, დიზაინერ ოსკარ დე ლა რენტასა თუ პროდიუსერ დინო დე ლაურენტისის ნათესავად, ხან კი როკფელერის მრავალმილიონიანი ქონების მემკვიდრედ ასაღებდა თავს.

კრისტოფ როკანკური 1967 წლის 16 ივლისს დაიბადა ნორმანდიის პატარა სოფელ ონფლორში. მშობლები ადრე დაეღუპა და მისი აღზრდა დეიდამ ითავა, თუმცა, მალე მოჰბეზრდა და ცხრა წლის კრისტოფი სენ-ჟერმენის თავშესაფარში გაგზავნეს. თავშესაფრიდან სამხედრო მოსამსახურის ოჯახში მოხვედრილმა თავნება კრისტოფმა დიდხანს ვერ გაუძლო დისციპლინის მკაცრ მოთხოვნებს და პარიზში გაიქცა, სადაც რუსი წარჩინებულის, გოლიცინის შთამომავლად გაასაღა თავი, მაგრამ რუს ემიგრანტებში დიდად ვერ მოიკიდა ფეხი. ევროპის ქალაქებში მოგზაურობისას წვრილმანი თაღლითობით ირჩენდა თავს. პირველი მილიონი პარიზში იშოვა — დოკუმენტები გააყალბა და ვითომ საკუთარი, სინამდვილეში კი სხვისი, ფეშენებელური სახლი გაყიდა. წარმატებით ფრთაშესხმულმა 1980-90-იან წლებში კიდევ რამდენიმე აფერა დაატრიალა საფრანგეთში, მერე კი შვეიცარიაში გადაინაცვლა, სადაც ჩეკებისა და საკრედიტო ბარათების გაყალბებითა და წვრილმანი ქურდობით გაითქვა სახელი. საიუველირო მაღაზიის გაძარცვის შემდეგ კი, როცა პოლიციამ მისი ძებნა გამოაცხადა, ოკეანის გადაღმა გამგზავრება და ამერიკის დაპყრობა გადაწყვიტა.

ლოს-ანჯელესში გაშინაურებულმა როკანკურმა აღმოაჩინა, რომ ამერიკელები ბევრად მიამიტები იყვნენ, ვიდრე ევროპელები, და სწრაფად შეუდგა საჭირო ნაცნობების შეძენას. ღვინის ვაჭარ ვინმე ჩარლზ გლენსს ევროპის უძლიერეს მოკრივედ წარუდგინა თავი და განუცხადა, რომ ამერიკაში აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად ჩამოვიდა. ამგვარი ნაცნობობით ამაყმა გლენმა კი, თავის მხრივ, „ევროპელი ჩემპიონი“ ცნობილ რესტორან Mirror-ის მუდმივ კლიენტებს, რესპექტაბელურ საზოგადოებას გააცნო, მერე კი მთელი თვე დაატარებდა ღამის კლუბებში.

როკანკური არასოდეს გამოირჩეოდა განსაკუთრებული გარეგნობით, მაგრამ კომუნიკაბელურობის წყალობით ყოველთვის ახერხებდა ქალების გულის მონადირებას და ძვირფასი საჩუქრებითაც ანებივრებდა. ლამაზმან გრაი პრაკს როკანკური ცნობილი პროდიუსერის, დინო დე ლაურენტისის ნათესავად გაეცნო, სწრაფად მოხიბლა თავისი ფრანგული აქცენტითა თუ საჩუქრებით და მალე იქორწინეს ლას-ვეგასში, თუმცა, ვნების ჩაცხრომასთან ერთად აღფრთოვანებაც გაქრა და გრაიმ აღმოაჩინა, რომ თითქმის არ იცნობდა საყვარელ მეუღლეს. მისი ეჭვი მეგობრებმაც გაიზიარეს, რომელთა დახმარებით სერიალების ვარსკვლავმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღო გამოძიების ფედერალური ბიუროსგან და მის იმედგაცრუებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაიგო, რომ იმ კრისტოფ როკანკურს გაჰყოლია ცოლად, რომელსაც შვეიცარიის პოლიციის მოთხოვნით ინტერპოლი ეძებდა.

მართალია, ჟენევაში პოლიციამ ვერ შეძლო საიუველირო მაღაზიის ძარცვაში როკანკურის მონაწილეობის დამტკიცება, მაგრამ ფრანგმა სამართალდამცავებმა სწრაფად წაუყენეს ბრალი თაღლითობაში და ციხეშიც გამოამწყვდიეს, საიდანაც კრისტოფი ნაღვლიან წერილებს სწერდა ცოლყოფილს, რომელსაც მის არყოფნაში ქალიშვილი შეეძინა.

1995 წელს ავანტიურისტი ისევ ამერიკაში დაბრუნდა, ჟურნალ Playboy-ის მოდელი, პია რეისი შეირთო ცოლად და ვაჟიშვილი, ზევსიც შეეძინა. კრისტოფი თავს ხან პროდიუსერად, ხან ბირჟის მაკლერად ასაღებდა და მარჯვედ სარგებლობდა შეძლებული ირანელი ბიზნესმენების ხელგაშლილობითაც, რომლებმაც ევროპელ მეგობარს ჯერ 200 000 დოლარი ასესხეს, მერე 25 000-ის ღირებულების მოდური ტანსაცმელი და ავტომობილი „ფერარიც“ უსახსოვრეს.

თითქმის ჩამქრალ ვარსკვლავს, მიკი რურკს, თაღლითი ერთ-ერთ ბარში პროდიუსერად გაეცნო და სწრაფადაც დაუმეგობრდა. რურკმა თვითმარქვია როკანკური მეგობრებს წარუდგინა და ამაყად განაცხადა, რომ სწორედ ის დააბრუნებდა დიდების მწვერვალზე. როკანკური დიდხანს სცინცლავდა ფულს გალოთებულ რურკს, ილუზიებით კვებავდა, მერე კი კიდევ ერთი გაფერმკრთალებული ვარსკვლავი, ჟან-კლოდ ვან დამი გაიცნო და მისი ნდობაც მოიპოვა. ბოევიკების კუნთმაგარი გმირისთვის კრისტოფერს არც უფიქრია ფულის გამოძალვა, უფრო მეტიც, თვითონ შეჰპირდა 40 მილიონ დოლარს ახალი ფილმის გადასაღებად, რადგან იმედი ჰქონდა, რომ ვან დამი დაეხმარებოდა მდიდარი ჰოლივუდელების ვიწრო წრეში შეღწევაში.

1998 წელს როკანკური ოჯახთან ერთად ლოს-ანჯელესიდან გაქრა და ერთ წელიწადში ნიუ-იორკში ამოყო თავი — მანჰეტენზე, მდიდრულ აპარტამენტებში დაბინავდა. ახალ ნაცნობებს როკანკური სარფიანად ინვესტირების წყალობით დანაზოგის გაორმაგებას ჰპირდებოდა, სანაცვლოდ კი მხოლოდ მოკრძალებულ ავანსს, 50 000 დოლარს ითხოვდა. ბევრმა ვერ შეძლო მაცდუნებელ წინადადებაზე უარის თქმა და მახეშიც გაება. ერთმა მდიდარმა ქალმა გალანტურ კავალერს ჯერ 90 000 დოლარი ასესხა, ერთ მშვენიერ დღეს კი მისი სახლიდან 250 000 დოლარად ღირებული ძვირფასეულობა გაქრა, თუმცა, ქალმა აუკრძალა პოლიციას საკუთარი სახელის როკანკურის საქმეში მოხსენიება. 2000 წელს როკანკურმა ქალაქ ჰემპტონის რესპექტაბელურ საზოგადოებას დასდო სტუმრობის პატივი, საკუთარი სტატუსის განსაცხადებლად კი საკმაოდ მარტივ ოინს მიმართა — რამდენჯერმე ვითომ შემთხვევით დატოვა ბრილიანტით მოჭედილი „როლექსის“ საათი მოდური მაღაზიის დახლზე და ელიტური სპორტული კლუბის გასახდელში. რა თქმა უნდა, ხმები მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანზე სწრაფად გავრცელდა და როკანკურსაც გზა გაეხსნა მაღალი საზოგადოებისკენ. კრისტოფს ყველგან თან დაჰყვებოდა პირადი მცველი, მელოტი ჯოზეფი, რომელიც სინამდვილეში ბრუკლინელი ბოროტმოქმედი, დანტე დანიელო იყო, და მშვენიერი ქალბატონი ლორენი. ტრიო მუდმივად ცნობილ რესტორანს სტუმრობდა და VIP-მაგიდაზე სადილობდნენ. როკანკური კუბურ სიგარას ეწეოდა და მომავალ მსხვერპლს ეცნობოდა.



ჩამქრალ ვარსკვლავს, მიკი რურკს, თაღლითი პროდიუსერად გაეცნო და სწრაფადაც დაუმეგობრდა. რურკმა თვითმარქვია როკანკური მეგობრებს წარუდგინა და ამაყად განაცხადა, რომ სწორედ ის დააბრუნებდა დიდების მწვერვალზე

მოგვიანებით თაღლითი თავს იმართლებდა, რომ შეძლებული ადამიანები თვითონ სთხოვდნენ ფულის სარფიანად დაბანდებას და არც ცრუობდა. მაგალითად, სპორტული კლუბის მფლობელი, მომხიბლავი კორინი სულ რამდენიმე წუთში დათანხმდა საკუთარი დანაზოგის მომგებიან ინვესტიციად დაბანდებას და დაუფიქრებლად ჩააბარა „როკფელერს“ 14 000 დოლარი. ბედის ირონიით, სწორედ კორინი გახდა ავანტიურისტის მხილების მიზეზი, როცა დარჩენილი თანხის — 125 000 დოლარის გადასაცემად სასტუმროში მიაკითხა და ვეღარ მიაგნო. სასტუმროს ვალი — 19 000 დოლარი იქცა როკანკურის დაპატიმრების მიზეზად, რომელიც პოლიციამ ფაბიენ ორტუნოს სახელით დააკავა, თუმცა, გირაოდ 45 000 დოლარის გადახდისთანავე გაათავისუფლა და მოგვიანებით ძალიან ინანა, — როცა ორტუნო სასამართლოში არ გამოცხადდა, პოლიციამ მისი თითის ანაბეჭდები მონაცემთა ბაზაში გადაამოწმა და ხელთ საერთაშორისო თაღლითი, კრისტოფ როკანკური შერჩა. ამასობაში მან კანადაში გადაინაცვლა.

ვანკუვერში როკანკურმა ბიზნესმენი რობერტ ბელდოკი და მისი მეუღლე გაიცნო და ძალიან აღაფრთოვანა, როცა გამოუტყდა, „ფორმულა 1“-ის პილოტი მიხაელ ვან ჰოვენი ვარ და სულ ცოტა ხნის წინ 28-მილიონდოლარიანი კონტრაქტი გავაფორმე „ფერარის“ გუნდთანო და როგორც კი მათი ნდობა მოიპოვა, 10 მილიონ დოლარად ისეთი სახლი შეაძენინა, რომელიც სინამდვილეში მხოლოდ შენდებოდა, მერე კი 5 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩაადებინა საკუთარ არარსებულ ფირმაში. გარიგების ხარჯები, რა თქმა უნდა, რობერტ ბელდოკმა იკისრა, რომელმაც ჯერ კიდევ ვანკუვერში დაიწყო როკანკურის მოთხოვნების ასრულება ავტომობილის არენდისა და მდიდრულ სასტუმროში ბინადრობის ჩათვლით. გარდა ამისა, მადლიერების ნიშნად ბელდოკმა ახალგაზრდა მეგობარს 26 000 დოლარად ღირებული „როლექსის“ ზუსტად ის მოდელი უსახსოვრა, რომელიც თურმე მის კოლექციას აკლდა. ბელდოკი გვიან მიხვდა, რომ გააბრიყვეს, თუმცა, დაუყოვნებლივ მიმართა პოლიციას და 2001 წლის 26 აპრილს როკანკური დააკავეს.

კანადის საპატიმროში როკანკურმა ავტობიოგრაფიული წიგნი დაწერა და მასხრად აიგდო ყველა, ვინც მის მაქინაციებს ემსხვერპლა. „სულ არ მეცოდებიან ეს ადამიანები, რადგან ისინი არა მე, არამედ საკუთარმა სიხარბემ დაღუპა“, — განუცხადა თაღლითმა ჟურნალისტებს, როცა კანადაში სასჯელის მოხდის შემდეგ, 2002 წელს, შეერთებულ შტატებში წარდგა სასამართლოს წინაშე.

ოფიციალურად როკანკურმა 19 კაცი გააცურა, თუმცა, დაზარალებულთა უმრავლესობამ, ჰოლივუდის ბომონდმა, არც სასამართლოს მიმართა, არც საქმის განხილვაში მიიღო მონაწილეობა. მაქსიმალური, ოცწლიანი სასჯელის თავიდან ასაცილებლად როკანკურმა დანაშაული სამ პუნქტში აღიარა და ხუთწლიანი პატიმრობაც მიიღო 9 მილიონ ჯარიმასთან ერთად, რაც ნამდვილად არაფერია იმ ნადავლთან შედარებით, რომელიც თაღლითმა წლების მანძილზე დააგროვა. მით უმეტეს, რომ 2005 წელს ვადაზე ადრე გათავისუფლდა. კრისტოფ როკანკური დღესაც ხშირად სტუმრობს საერთაშორისო კინოფესტივალებს, ელიტურ წვეულებებს და არავინ იცის, სად ან ვისი სახელით გამოჩნდება მომავალში.

ვიდეოს სანახავად ტელეფონში გადმოწერეთ QR კოდის წამკითხველი აპლიკაცია. „დაკლიკეთ“ და იხილეთ სიუჟეტი „პალიტრანიუსზე“

ძველი თბილისის კუნძულები

*სანამ თავის ნებაზე მომდინარე მტკვარი თბილისში ბეტონის ჯებირებში მოექცეოდა, მას რამდენიმე კუნძული ჰქონდა, რომლებიც საბჭოთა დროს გაუჩინარდა — როდესაც ლავრენტი ბერიამ მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს განაშენიანება დაიწყო. ჩვენი რესპონდენტი, ისტორიკოსი **უშანგი რუხაძე** გვიამბობს:*

მადათოვის კუნძული

თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მადათოვის კუნძული დღევანდელი გალაკტიონისა და ბარათაშვილის ხიდებს შორის იყო. ის თავიდან ერეკლე მეფის სიძის, დავით ორბელიანის საკუთრება ყოფილა და ორბელიანის კუნძული ერქვა. სადაც დღეს მშრალი ხიდია, იქ მტკვარი ორად იყოფოდა და ქმნიდა კუნძულს. შემდეგში ეს ადგილი ბერიას ბრძანებით ამოუშრიათ. ამომშრალი მტკვრის ტოტის გადაღმა მდგარა უმშვენიერესი ბაღებით გარშემორტყმული ორბელიანების სასახლე.

დავით ორბელიანის გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა XIX საუკუნის 20-იან წლებში კუნძული გენერალ მირბაჯან მადათოვს მიჰყიდეს და მას შემდეგ მადათოვის კუნძულად მოიხსენიებოდა.

1837 წელს რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ პირველი საქართველოს, როგორც რუსეთის ერთ-ერთი გუბერნიის დასათვალიერებლად ჩამოვიდა. ქართველმა თავადაზნაურობამ გრანდიოზული აღლუმი მას მადათოვის კუნძულზე მოუწყო.

დროსთან ერთად კუნძულმა ძველებური ბრწყინვალება დაკარგა. ხეხილის ბაღები გაჩეხეს, ერთ მხარეს წვრილ-წვრილი საწარმოები გაიხსნა, ნაწილი — ნაგავსაყრელად იქცა. მტკვარზე დაცურებული ტივების გაჩერების ერთ-ერთი პუნქტი მადათოვის კუნძული იყო, სადაც მორებს ჯაგეტიანების და ტერ-ასატუროვების საამქროებში ამუშავებდნენ. დღეს მადათოვის კუნძულის ადგილას დედაენის ბაღი და იუსტიციის სახლია. კუნძული ისტორიის საკუთრება 1938 წლიდან გახდა. მისი არსებობა მხოლოდ მაშინ ახსენდებოდათ, როდესაც მტკვარი საგრძნობლად დაიწევდა და კუნძულის ფრაგმენტი გამოჩნდებოდა.

დღეს მადათოვის კუნძულის ადგილას დედაენის ბაღი და იუსტიციის სახლია

ორთაჭალის კუნძული

მეორე კუნძული ორთაჭალის ბაღების სახელით იყო ცნობილი. კუნძული ნახევარ ქალაქს ამარაგებდა ხილით, ბოსტნეულით და თევზეულითაც კი. 1724 წელს ვახუშტი ბაგრატიონის შედგენილ თბილისის გეგმაზე ორთაჭალის კუნძული მოხსენიებულია კრწანისის ბაღად, რადგანაც მაშინ ორთაჭალა სოფელ კრწანისს ეკუთვნოდა.

კუნძული მოქცეული იყო მტკვრის ძირითად კალაპოტსა და მის მარჯვენა ტოტს შორის. დღეს დაახლოებით იმ ადგილას ორთაჭალჰესია. თავდაპირველად ორთაჭალის ბაღები მეფის ოჯახსა და თავადაზნაურობას ჰქონდა გაყოფილი. XIX საუკუნიდან ბაღებს კერძო მესაკუთრეები დაეუფლნენ.

იოსებ გრიშაშვილი წერდა: „ძველად ქალაქგარეთ მხოლოდ ორი დროის გასატარებელი ადგილი არსებობდა: მდაბიო ხალხისათვის — ორთაჭალის ბაღები და ევროპულად გაზრდილთათვის — მუშტაიდი. ორთაჭალის ბაღში ორი რესტორანი გახლდათ — „არგენტინა“ და „ელდორადო“. ბაღებში საროსკიპოებიც იყო. ამ კუნძულს სტუმრობდა ალექსანდრე პუშკინი. ორთაჭალის ბაღები გრიგოლ ორბელიანს მოხსენიებული აქვს ლექსში „მუხამბაზი“. ქეიფის მოყვარული ორბელიანი ხშირად ილხენდა იქ. კუნძულს სახელი გაუთქვა ნიკო ფიროსმანმა, რომელიც აქაურობის ხშირი სტუმარი იყო. მისი ტილო „ორთაჭალის ტურფა“ ყველასათვის ცნობილია. XX საუკუნის დასაწყისში აქ პოეტებისა და საზოგადო მოღვაწეების საყვარელი თავშესაყარი იყო.

ორთაჭალის ბაღები არსებობდა 1950-იან წლებამდე, ორთაჭალჰესის აგებამდე. შემდეგ სანაპიროებიც მოეწყო, მტკვრის ტოტი მოისპო და კუნძულმაც არსებობა შეწყვიტა.



ორთაჭალის კუნძული მოქცეული იყო მტკვრის ძირითად კალაპოტსა და მის მარჯვენა ტოტს შორის. დღეს დაახლოებით იმ ადგილას ორთაჭალჰესია

სატიოს კუნძული

კიდევ ერთი კუნძული, რომელიც ნაკლებად არის ცნობილი, მდებარეობდა დაახლოებით დღევანდელი თამარ მეფის ხიდსა და რესტორან „არაგვს“ შორის. ეს პატარა კუნძული ბაღებით იყო დაფარული. კუნძულს ზოგი სატიოს, ზოგიც — სატივოს ეძახდა. შიდა ქართლიდან ტივით წამოღებული ხილი, ბოსტნეული, ხეტყის მასალა, თუ პირუტყვი ამ ადგილას ჩერდებოდა და მერე რკინიგზისკენ გადაინაცვლებდა. სატიოც მტკვრის ბეტონის კალაპოტში მოქცევის შედეგად გაქრა.

მტკვარზე კიდევ იყო სხვა უმნიშვნელო ზომის უსახელო კუნძულები.

ბერიას ხე და ორთაჭალის ბაღები

ტერენტი გრანელის მოგონებებიდან: „ერთხელ ორთაჭალაში მივდიოდი ჩემს ნაცნობ მებაღე ილიკო ელიავასთან. გზაზე ბამბის საპენტ ფაბრიკასთან ვიღაცამ მანქანა გააჩერა, შევცბი, შევხედე — ლავრენტი ბერია იყო. მკითხა, საით გაგიწევიაო. მებაღეებთან მივდივარ, ბატონო ჩემო-მეთქი. ჰო, ეს კარგია! — ხელი ჩამომართვა და გზა განაგრძო. მე კი ვინახულე ჩემი ნაცნობი მებაღე ილიკო ელიავა, რომელსაც ვუამბე ბერიასთან ჩემი შეხვედრის ამბავი. გაიცინა — ბერია ხშირად ხვდება და საუბრობს ორთაჭალა-კრწანისის მებაღეებთანო“.

მებაღე მიხეილ ძიძიგური განაგებდა და უვლიდა ბერიას ბაღს ორთაჭალაში. მოგვიანებით იხსენებდა: „ერთ დღეს ბაღში შემოვიდნენ ლავრენტი ბერია და მისი მეუღლე ნინო გეგეჭკორი. ბერიამ ბაღში ორი შუშა კიტრი მოწყვიტა და შემდეგ ცოლქმარი ჩემკენ გამოემართა. ორივე მომესალმა, ხელი ჩამომართვა და მთხოვა, მომეტანა სკამი, დანა, თეფში და მარილი. მე მათ ვთხოვე, შინ შემოსულიყვნენ, მაგრამ ბერიამ სიცილით მითხრა, — მე კაბინეტში ჯდომა არ მაკლია, ცის ქვეშ ყოფნა უფრო მსიამოვნებსო. თხოვნა შევუსრულე. შემდეგ მკითხა, როგორ გეპყრობიან ჩემი თანამშრომლები, ხომ არ გავიწროებენო. არა, ბატონო, ყველაფერი კეთდება მებაღეების სასარგებლოდ-მეთქი. შემდეგ მთხოვა, ბაღებსა და მის მიდამოებში დარგული არც ერთი ხე არავინ მოჭრასო. როდესაც კრწანისი მთავრობის რეზიდენციის ადგილი გახდა, ქუჩების გასაგანიერებლად, რამდენიმე ხის მოჭრა გახდა საჭირო. მე გზის გამყვანი ინჟინერი გავაფრთხილე, ბერიამ დამავალა, ბაღის მიდამოებში არც ერთი ხე არ მოიჭრას-მეთქი. მეორე დილით მოვიდა ბერია მეუღლითურთ და რამდენიმე თანამშრომლის თანხლებით დაათვალიერეს ის ადგილი, სადაც ხეები უნდა მოჭრილიყო. გზის გამყვანთ ბერიამ ჰკითხა, იქნებ ხეები გადავარჩინოთ და არ მოვჭრათო?! შესაძლებელია, უთხრა ინჟინერმა, მაგრამ ცოტა ძნელი იქნება და ამავე დროს გზა უფრო დაიკლაკნება და სილამაზესაც დაკარგავსო. მაშინ ბერიამ თქვა, ხეები მოჭერით, მაგრამ იქვე ახლოს დარგეთ კაკლის ხეო. დღეს ეს ხე ამშვენებს მიდამოს, რომელსაც კრწანისელი მებაღეები ბერიას ხეს ეძახიან. ბერია და მისი მეუღლე ნინო დაგვემშვიდობნენ და წავიდნენ. ნინო იყო ლამაზი და ტკბილმოსაუბრე, მასში არ იგრძნობოდა მეუღლის ავტორიტეტით გამოწვეული მაღალი და აწეული ტონით საუბარი. კრწანისელი მებაღეები მას იცნობდნენ, როგორც კეთილსა და ყველას შემწეს“.

მოამზადა ეკა სალაღაიამ

გულ-სისხლძარღვთა დაავადებები ძალიან გაახალგაზრდავდა

სამწუხაროდ, საქართველოში გულ-სისხლძარღვთა დაავადებები ძალიან გაახალგაზრდავდა, რაც არასწორი ცხოვრების რეჟიმის, სტრესისა და ჭარბი წონის ბრალია. საერთოდ, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები ცივილიზებულ ქვეყნებში სიკვდილიანობის ერთ-ერთი პირველი მიზეზია. დაავადების გაკონტროლება, რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ უმჯობესია, ეს დაავადებები საერთოდ ავიცილოთ თავიდან. ამისთვის კი საჭიროა პროფილაქტიკა. შუნტირებამდე და ოპერაციამდე რომ მივა საქმე, ესე იგი, უკვე შეუქცევადი ცვლილებებია ადამიანის ორგანიზმში.

რა არის გულის შეტევა და რა იწვევს მას; რა სიმპტომები ახასიათებს მიოკარდიუმის ინფარქტს; სტრესი და გულის დაავადებები, ამ და სხვა საინტერესო თემებზე გვესუბრება კარდიოლოგი, ჰიპერტენზიისა და სისხლძარღვთა კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი ანა რევიაშვილი.

— ქალბატონო ნანა, რა იგულისხმება გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებში?

— გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებში ერთიანდება გულის კორონარული დაავადება, გულის უკმარისობა, არითმიის სხვადასხვა ფორმა, არტერიული ჰიპერტენზია, ცერებროვასკულური დაავადება, პერიფერიული არტერიების დაავადება, გულის რევმატული პათოლოგია, გულის შეძენილი და თანდაყოლილი მანკები, კარდიომიოპათიებისა და მიოკარდიტების ვრცელი სპექტრი, ღრმა ვენების თრომბოზი და ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიზმი.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, კარდიოვასკულური დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობა მთელ მსოფლიოში პირველ ადგილზე დგას და საერთო სიკვდილიანობის 30%-ზე მეტს შეადგენს. შესაბამისად, აღნიშნულ დაავადებათა დროულ დიაგნოსტიკას, სწორ მკურნალობას და ადრეულ პრევენციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინვალიდიზაციისა და სიკვდილიანობის თავიდან ასაცილებლად.

— რა არის გულის შეტევა და რა იწვევს მას?

— სამედიცინო ენაზე გულის შეტევას სტენოკარდია ჰქვია. გულის შეტევა ვითარდება, თუ ჟანგბადით გამდიდრებული სისხლის მიწოდება გულის კუნთთან უეცრად წყდება გულის მკვებავი გვირგვინოვანი არტერიის უეცარი ბლოკის გამო, რასაც თან ახლავს მიოკარდიუმის, ანუ გულის კუნთის გარკვეული უბნის ჟანგბადოვანი შიმშილი, რასაც ძლიერი ტკივილი ან მისი ეკვივალენტი (დისკომფორტი, სიმძიმე და ა.შ) ახლავს თან.

თუ გლობალურ მოხსნა დროულად ვერ მოხდა და ჟანგბადოვანი შიმშილის პერიოდმა 20 წუთს გადააჭარბა, ვითარდება გულის კუნთის სიკვდილი, რასაც სამედიცინო ენაზე მიოკარდიუმის ინფარქტს ვუწოდებთ.

გულის შეტევის უხშირესი მიზეზი გულის კორონარული დაავადებაა, რომლის საფუძველს ათეროსკლეროზი წარმოადგენს. ეს უკანასკნელი ხასიათდება სისხლძარღვის შიგნით ფოლაქების წარმოქმნით, რომლებიც თავის მხრივ ავიწროებენ სანათურს და ხელს უშლიან გულის კუნთის ადეკვატურ კვებას. რაც უფრო დიდია ფოლაქის ზომა, მით მეტად ვიწროვდება სისხლძარღვის სანათური, მაღალია სანათურს შიგნით თრომბის წარმოქმნის ალბათობა და შესაბამისად, მაღალია გულის შეტევის განვითარების რისკი.

გარდა ათეროსკლეროზისა, გულის შეტევის მიზეზი შესაძლოა იყოს გულის მკვებავი გვირგვინოვანი არტერიის ძლიერი სპაზმი ანუ დროებითი შევიწროება, რომელიც ვითარდება როგორც ჯანმრთელ, ისე ათეროსკლეროზული პროცესით დაავადებულ არტერიებში.

— რა მიეკუთვნება გულის შეტევის კლასიკურ ნიშნებს? მართალია, რომ გულის შეტევის დროს პაციენტები „გულზე ლოდს“ ან „გულზე ხელის მოჭერას“ გრძნობენ?

— გულის შეტევა, ანუ სტენოკარდია კლასიკურ შემთხვევაში ხასიათდება მკერდის ძვლის უკან აღმოცენებული ტკივილით ან დისკომფორტით, რომელიც მოიცავს სიმძიმის, ზეწოლის, მოჭერის, წვის ან მოხრჩობის შეგრძნებას. ტკივილი შესაძლოა იყოს ლოკალური, ან ირადირდებოდეს ეპიგასტრიუმში (მუცლის ზედა არე, მკერდის ძვლის მახვილისებრი მორჩის ქვევით), ზურგში, კისერში, ბეჭის ან ყბის მიდამოში.

ტკივილის განვითარება უხშირესად კავშირშია ფიზიკურ დატვირთვასთან, საკვების მიღებასთან, ცივ ამინდში ან ძარის საწინააღმდეგო მიმართულებით სიარულთან, ემოციურ სტრესთან. შეტევა ჩვეულებრივ 1-5 წუთს გრძელდება და იხსნება მოსვენების მდგომარეობაში გადასვლისას ან ნიტროგლიცერინის მიღებით.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ტკივილის ინტენსივობა არ იცვლება სუნთქვისას, ჩახველებისა და სხეულის პოზის შეცვლისას. არსებობს სტენოკარდიის ისეთი ფორმაც, რომელიც არ არის კავშირში არც ერთ ზემოაღნიშნულ ფაქტორთან და ვითარდება ღამით, პაციენტის ლოგინში წოლისას.

— რა სიმპტომები ახასიათებს მიოკარდიუმის ინფარქტს?

— გულისხმობენ მიოკარდიუმის ინფარქტს და მოულოდნელად განვითარებულ სიკვდილს, რომელიც ვითარდება სიმპტომების გამოვლენიდან ერთ საათში. უეცარი სწორედ იმიტომაა, რომ შესაძლოა განუვითარდეს როგორც კარდიოვასკულური დაავადებით დიაგნოსტირებულ პირს, ისე პრაქტიკულად ჯანმრთელ სუბიექტს.

— რა პრევენციულ ზომებს უნდა მივმართოთ გულის შეტევისა და მიოკარდიუმის ინფარქტის თავიდან ასაცილებლად?

— პრევენცია აუცილებელია ყველა ადამიანისათვის, მიუხედავად იმისა, გადატანილი აქვს თუ არა მიოკარდიუმის ინფარქტი ან აღენიშნა თუ არა გულის შეტევა. თუმცა, ვისაც აქვს კარდიოვასკულური გართულებების მაღალი რისკი, სწორი და დროული პრევენციული ღონისძიებების გატარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

პრევენცია მოიცავს ორ მიმართულებას; ესენია, მედიკამენტური და არამედიკამენტური. მედიკამენტური ინიშნება ექიმი სპეციალისტის მიერ კლინიკურ მონაცემებზე, ლაბორატორიულ ანალიზებსა და ინსტრუმენტულ გამოკვლევებზე დაყრდნობით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისეთ რისკ-ფაქტორებს, როგორიცაა მაღალი არტერიული წნევა და შაქრიანი დიაბეტი. აღნიშნული დაავადებები დღეისათვის განკურნებადი არ არის, თუმცა მათი კონტროლი შესაძლებელია, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს პაციენტის პოტენციურ რისკს. პრევენციის არამედიკამენტური მეთოდი მოიცავს ცხოვრების ჯანსაღ წესს, სიგარეტისთვის თავის დანებებას, რეგულარულ ფიზიკურ აქტივობას, ხილითა და ბოსტნეულით მდიდარი საკვები რაციონის შექმნას, მარილის და ცხოველური ცხიმების მიღების შეზღუდვას, სტრესების თავის არიდებას და სხვა.

— რამდენად იწვევს სტრესი გულის დაავადებებს?

— სტრესი არ წარმოადგენს კარდიოვასკულურ დაავადებათა უშუალო რისკ-ფაქტორს; ამასთან დღეისათვის ეჭვს არ იწვევს, რომ სტრესი ზრდის კარდიოვასკულური დაავადებების განვითარების ალბათობას. აღნიშნული შესაძლოა აიხსნას იმ ფაქტით, რომ სტრესი გავლენას ახდენს კარდიოვასკულურ დაავადებათა რისკ-ფაქტორებზე, კერძოდ, იზრდება სისხლის წნევა. სტრესის შემდგომ პერიოდში პაციენტთა დიდი ნაწილი ზრდის მოსაწევი სიგარეტების რაოდენობას, არის ფიზიკურად არააქტიური, იღებს ჩვეულ საკვების რაოდენობასთან შედარებით უფრო მეტს, ზოგიც ეტანება ალკოჰოლს, რაც საბოლოო ჯამში იწვევს კარდიოვასკულური პათოლოგიის პროგრესირებას და გართულებებს.

ანა ყარალაშვილი

ოპერაცია პირდაპირ ეთერში

მოციმციმე არითმიის ქირურგიული მკურნალობა დღესდღეობით უფრო რთულ ოპერაციად მიიჩნევა, ვიდრე გულის გადანერგვის ოპერაცია. ამ ოპერაციას წარმატებით აკეთებენ გამოჩენილი ქართველი ექიმები მოსკოვში — ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის სამედიცინო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი ლეო ბოკერია და ტაქიარითმიის ქირურგიული მკურნალობის განყოფილების უფროსი ამირან რევიშვილი. მათ პირველი ასეთი უნიკალური რამდენიმესაათიანი ოპერაცია 2013 წლის ივნისში ჩაატარეს.

ოპერაცია ტრადიციული სკალპელის ნაცვლად, კრიო-სკალპელის გამოყენებით ჩატარდა. რაც გულისხმობს ანატომიური ქსოვილის ტრადიციული გაკვეთის ნაცვლად მის, ძალიან დაბალ ტემპერატურაზე, ზუსტად გაყინვას. ბოკერიას განმარტებით, კრიო-სკალპელის გამოყენებისას სისხლის გამოყოფა მინიმალურია, რაც ოპერაციას ნაკლებად სახიფათოს ხდის. ამ მეთოდით საოპერაციო მაგიდაზე თავდაპირველად პაციენტს უკეთდება სარტყელი, რომელიც რამდენიმე საათის განმავლობაში გულის ელექტროკარდიოგრაფიას ერთდროულად 250 პოზიციიდან აკეთებს, რის შედეგადაც სპეციალური პროგრამა ადგენს წინაგულების და პარკუჭების ზუსტ ანატომიურ სტრუქტურებსა და არითმიის წყაროს. ამის შემდეგ ერთი ბრიგადა გულმკერდს ხსნის, მეორე კი უშუალოდ გულზე მუშაობს. აღსანიშნავია, რომ ქართველმა ქირურგებმა ეს ოპერაცია პირდაპირ ეთერში, ტელეკამერების წინ ჩაატარეს.

შოკოლადი უფრო სასარგებლო აღმოჩნდა ორგანიზმისთვის, ვიდრე აქამდე გვეგონა

იტალიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ შოკოლადი უფრო სასარგებლოა ორგანიზმისთვის, ვიდრე აქამდე გვეგონა!

„გაგვაოცა ჩვენივე მრავალწლიანი კვლევის შედეგებმა — აღმოჩნდა, რომ შოკოლადის შემადგენლობაში შემავალი სასარგებლო კომპონენტები იცავს ნეირონებს. ცნობილია, რომ ამ ნუგბარს უამრავი სასარგებლო თვისება აქვს, მაგრამ განსაკუთრებით აძლიერებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას“, — ამბობენ მკვლევრები.

ყოველივე სიკეთე თურმე უკავშირდება ფლავონოიდებს, რომლითაც მდიდარია კაკაო. ეს მცენარეული პოლიფენოლები აუმჯობესებს მეხსიერებას, ზრდის კოგნიტიურ შესაძლებლობებს.

იტალიელმა მეცნიერებმა მრავალწლიანი კვლევით აჩვენეს, რომ ხანდაზმულები, რომლებიც რეგულარულად მიირთმევენ შოკოლადს, ბევრად უფრო ნათელი გონებით გამოირჩევიან მათთან შედარებით, ვისაც ტკბილეული, კერძოდ კი, შოკოლადი არ უყვარს!

სტრესთან გამკლავების სამი საშუალება

მუდმივად უარყოფითი ემოცია, ნერვული გადაძაბვა და სტრესი ორგანიზმში სერიოზულ პათოლოგიურ ძვრებს იწვევს, დასაბამს აძლევს სხვადასხვა ქრონიკულ დაავადებას.

გახანგრძლივებული სტრესი სხვადასხვა სიმპტომით ხასიათდება:

1. კვების ჩვევის ცვლილებით — ზოგს უმადობა იპყრობს, ზოგიც ჩვეულზე მეტ საკვებს მიირთმევს;
2. აპათიითა და მოდუნებულობით;
3. გაფანტულობითა და უყურადღებობით;
4. მუდმივად გაღიზიანებადობით;
5. ძალთა ნაკლებობის შეგრძნებით.

სპეციალისტები ორგანიზმის სტრესთან ბრძოლის 3 მთავარ ფაქტორზე მიუთითებენ, ესენია:

1. კარგად გამოძინება — სტრესთან გამკლავება არ უჭირს მას, ვინც დროულად წვება დასაძინებლად. თუ ძილისთვის 6-8 საათს გამოყოფთ, სტრესს ეფექტურად გაუმკლავდებით;
2. ფიზიკური ვარჯიში — ემოციური და ფიზიკური შეგრძნების ასამაღლებლად დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტს. ყოველდღიურად ნახევარსაათიანი ინტენსიური ფიზიკური აქტივობა საკმარისია იმისთვის, რომ სტრესის დონემ მინიმუმამდე დაიწიოს. ვარჯიშის დროს ენდორფინების (ე.წ. ბედნიერების ჰორმონების) გამოყოფა საუკეთესო იარაღია ნებისმიერ ნერვულ დაძაბულობასთან საბრძოლველად;
3. ხასიათის შეცვლა — რაც უფრო ნაკლებად მომთხოვნი გახდებით საკუთარი თავისა და სხვების მიმართ, მით უფრო ადვილად აიცილებთ თავიდან სტრესს!

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲗᲐᲕᲘ ᲞᲐᲠᲐᲖᲘᲢᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ დასასვენებელ ზონებში ტკიპა მომრავლდა. მოსახლეობა ღელავს, პარაზიტებისგან დაკბენილი პაციენტების რაოდენობის ზრდაზე საუბრობს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიც. მდგომარეობა მართლაც საგანგაშოა — ტკიპები სხვადასხვა დაავადებას ავრცელებენ. როგორ უნდა დავიცვათ თავი პარაზიტებისგან და რა უნდა ვიცოდეთ, თუ მათი მსხვერპლი მაინც აღმოვჩნდით? ამის თაობაზე „კვირის პალიტრასთან“ საუბრობს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე პაატა იმნაძე:

სიმაღლეში სწრაფად და ეფექტურად ზრდა, თვეში 3-5სმ-ის მომატებით 25 წლამდე, ძვლის მკვებავი მინერალების და ვიტამინების ნაკრებით + ვარჯიშები, უნებლიე შარდვის (ენურეზის) მკურნალობა ბავშვებშიც და მოზრდილებშიც, ასევე გახდომა თვეში 7-20კგ-მდე უნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, ცხიმების აქტიური წვა, მადის რეგულირება, მკურნალობა მცენარეული საშუალებით უკუჩვენების გარეშე 100%-ის გარანტიით. მის. აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“ (10-18სთ-მდე). ტელ: 218-46-08, 599 96-44-94, ექიმი ქ-ნი სალომე

მამაკაცებისთვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვის (ენურეზის) მკურნალობა მოზრდილებში და ბავშვებში, წვა, ქავილი, ტკივილი შარდვისას, ვენერიული და ვირუსული დაინფიცირების მკურნალობა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, მკურნალობა ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა დანიშნულებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგებით (დიაგნოსტიკა უფასოა). მის. აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“ (10-18სთ-მდე). ტელ: 595 29-32-99, 218-14-90 (ოფისი) ექიმი ინგა

მამაკაცების საყურადღებოდ! პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, ქრონიკული ინფექციები, (ვირუსული და ვენერიული), უნებლიე შარდვა, ენურეზი ბავშვებში და მოზრდილებში, მკურნალობა მხოლოდ მცენარეული პრეპარატებით, ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, 100%-იანი შედეგებით, უკუჩვენების გარეშე, მის. აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“ (10-18სთ-მდე). ტელ: 599 25-44-14, 218-48-99, 514 24-64-46 ექიმი, ქ-ნი მზია

ალკოჰოლიზმისა და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებები, ღვიძლის და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისაგან მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. მის. აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“ (10-18სთ-მდე). ტელ: 218-48-99, 514 24-64-46, 599 25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია

გახდომა აკრძალვის გარეშე თვეში 7-20კგ-ის დაკლება, მადის და კუჭის მოცულობის შემცირება, ნივთიერების ცვლის მოწესრიგება, კუჭ-ნაწლავში შეწოვა-გამოყოფის პროცესების დარეგულირება და მიღებული შედეგი სტაბილურად შენარჩუნება. სიმაღლეში ზრდა სწრაფად და ეფექტურად 5-დან 25 წლამდე ასაკისთვის, 4-5სმ-ის მომატება კურსით, ზრდის ზონების გააქტიურება, ძვლის მკვებავი ვიტამინების, მინერალების და მიკროელემენტების შემცველი მცენარეული პრეპარატებით + ვარჯიშები, ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა დანიშნულებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. შედეგი 100%-იანია, უკუჩვენების გარეშე. მის. აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“ (10-18სთ-მდე). ტელ: 593 44-58-65, 218-48-99 ექიმი დეა

ძვლის პრობლემები: ართრიტები, ართროზები, ოსტეოქონდროზი, ოსტეოპოროზი, ხერხემლის პრობლემები, კისრისა და მალების დაჭიმულობა და ტკივილი, დაზიანებული ხრტილის და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მკურნალობა 100%-იანი გარანტიით. მის. აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“ (10-18სთ-მდე). ტელ: 558 15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო

ალკოჰოლიზმის მკურნალობა მცენარეული, უსაფრთხო ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით (შეგიძლიათ საკვებში ფარულად შერევაც), გარანტირებული შედეგით, ღვიძლის აბსოლუტური განკურნებით, სიგარეტის წევის მიტოვება, ფილტვები სუფთავდება ნიკოტინისგან, აგრეთვე ნერვული სისტემის მოწესრიგება. პროდუქცია უნიკალურია, ყველასგან განსხვავებული და მაღალეფექტური. ტელ: 599 45-88-66, 555 45-13-45

თბილისში, ბათუმში უახლესი მეთოდებით გამოკვლევა, უნიკალური ლაზერით მკურნალობა პროსტატიტი, სექსუალური დარღვევები, პროსტატიტის ადენომის პროფილაქტიკა. ტ: 599 70-00-40

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს, ნოჭებს, ლაქებს, სუფთა ბუნებრივი მალამოებით, ნიღბებით. ქრტლს, ტილს ერთი პროცედურით, ჰიმორიტს (ქრონიკულსაც), დაშვრობას ლაქებისა და ნოჭების გარეშე, ლაქებს და ნაწიბურებს, ნაწოლებს. დაჩარქულ ჭრილობებს, სოკოვან დაავადებებს, გასქელებულ ფრჩხილებს, ბუასილს, დისბაქტერიოზს, დახეთქილ ქუსლებს, ოფლიანობას. . ტელ: 599161082, 2306252 ლამარა თოდუა №30-31-32-33

იყიდება

160 კვ.მ. კომერციული ფართი თელავში, პრესტიჟულ ადგილზე, გუბერნიასთან ახლოს ერეკლეს ქუჩაზე. ტელ: 595644474

3-ოთახიანი, 97 კვ.მ. ბინა ახალი გარემონტებული, გათბობა, ცხელი წყალი, იატაკის გათბობა, საკუჭნაო, ავეჯი და ტექნიკით, ცალკე აბაზანა და ტუალეტი, 2 აივანი. გარემონტებულია ხარისხიანი მასალით, წაბლის კარ-ფანჯრით. (შესაძლებელია გაყიდვა ავეჯის და ტექნიკის გარეშე) მის: დიდუბე აგლაძის 26 მე-4 კორპ. ბინა 19. 7(8) . ფასი: 180000ლარი. ტელ: 557344708, 597707844

სმენის აპარატების (სმენადაქვეითებულთათვის) დიდი არჩევანი, 1-წლიანი გარანტიით, სრული კომპლექტით, 6 ცალი ჩასართით, 24 ცალი ელემენტი. ასევე იყიდება აპარატების კომფორტული მოხმარებისათვის სხვადასხვა აქსესუარები. ძირითადი აპარატები ფირმა rionet (იაპონური წარმოების) და ფირმა siemens (გერმანული). ადგილზე მიტანა, მორგება და კონსულტაცია უფასოა. ასევე წარმოებს სარემონტო სერვისი. ტ: 272-95-11; 597 99-15-19

2-ოთახიანი ყავლაშვილის პროექტის ბინა, 10(16), ჩოლოყაშვილის ქუჩის დასაწყისში, ხედით მოედანზე, ძველი რემონტით, ჩაშენებული კარადებით, 2 რკინის კარით, მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრით, 2 ლოჯტით. საერთო ფართი 72 კვმ. მზიანი მხარე. ფასი: 39000$. ტელ: 597049789

რბილი და მასიური ავეჯი ჰოლანდიიდან (ახალი და მეორადი), საძინებლები, სამეულები (ნაჭრის და ტყავის), მაგიდები, სკამები, ორთოპედიული ლეიბები, კარადები, მოწნული ავეჯი, დეკორატიული აქსესუარები, ჭაღები. მის. ვაზისუბნის დასახლება, X კორპ. ტ: 2 18-35-31; 568-83-48-52

შევიძენ

მაღაზია შეიძენს საოჯახო ნივთებს: ავეჯს, ჭურჭელს, წიგნებს, ხალიჩებს, ჭაღებს და სხვა ნივთებს ნაღდი ანგარიშსწორებით. ტელ: 598 23-33-33 ნინო

სხვადასხვა

მათ, ვისაც შეიძლება ეხებოდეს

ჩემს სანოტარო ბიუროში შემოსულია განცხადება სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული საგენტოდან, სადაც ითხოვენ აწ გარდაცვლილ პაველ პოპოვიჩის (გარდაცვლილი 2015 წლის 9 თებერვლს) საკუთრებად რეგისტრირებულ უმრავ ქონებაზე, მდებარე ქ. თბილისში, აეროდრომის დასახლებაში, მე-12 ქუჩა №3-ში (ს/კ №01.19.20.016.045), როგორც უმკვიდრო ქონებაზე, მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემას, სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირების მიზნით.

თუ ვინმეს პრეტენზია გაგაჩნიათ აღნიშნულ ქონებაზე, გთხოვთ მობრძანდეთ ქ. თბილისში, დიდ დიღომში, მირიან მეფის ქ. №52-ში მდებარე სანოტარო ბიუროში 7 (შვიდი) დღის განმავლობაში.

ნოტარიუსი ლელა გაზდელიანი

ხსოვნა

ლალი კუხალაშვილი-ჩოხელის ხსოვნას

ძალიან, ძალიან გვიჭირს იმის დაჯერება, რომ წარსულში უნდა მოგისსენიოთ, ჩვენო მონატრებულო ქალბატონო ლალი. თავზარდაცემულები ვართ თქვენი უეცარი გადასახლებით მარადიულ სასუფეველში, საყვარელ მეუღლესა და მონატრებულ შვილთან.

დაუჯერებელია, ასეთ ენერგიულ, სიცოცხლით სავსე ადამიანს როგორ მოგერიათ სიკვდილი. მაინც როგორ ახერხებდით ამდენი სითბოს და ღიმილის გაცემას, ქალბატონო ლალი, როდესაც გულით უზარმაზარ ტკივილს ატარებდით, სათაყვანებელი შვილის – დათოს დაკარგვის შემდეგ. მაგრამ უფლის რწმენამ და ობლად დარჩნილ შვილიშვილზე – ანანოზე ზრუნვამ გაგაძლიერათ. ოცნებობდით, ანანო ღირსეულ, ღვთისნიერ ადამიანად გაზრდილიყო. ლალი, ამ ოცნებას თქვენი მარიკა თავისი ლამაზი ოჯახით შეგისრულებთ უფლის დახმარებით.

რამდენიმე ათეული წელი შრომობდით ციანმარილების წარმოებაში, იყავით თქვენი საქმის პროფესიონალი და შეუდარებელი ლაბორატორიის უფროსი. აქ ყველა ნივთი თქვენს თავს გვაგონებს. როგორი იმედი გვქონდა, რამდენიმეთვიანი დაშორების შემდეგ დაგვიბრუნდებოდით და ისევ ვითანამშრომლებდით.

ჩვენო კეთილო ქალბატონო ლალი, გვაპატიე, შეგვინდე და დაგვლოცე თქვენი თანამშრომლები, გწამდეთ, რომ თქვენს ხსოვნას ჩრდილი არასდროს მიადგება, არასოდეს დაგივიწყებთ, მუდამ გვემახსოვრები შავებში ჩაცმული, ღიმილიანი, ნაოელი, სათნო სახით. მარად ვილოცებთ თქვენი ლამაზი სულისთვის.

გულნატკენი თანამშრომლები

ნინო ზირაქაშვილის ტკივილიანი მოგონება

15 აგვისტოს შენი დაბადების დღეა, 22 წლის გახდებოდი, მაგრამ 19 წლისამ დაასრულე ცხოვრება. როგორ გახარებდა შენს ახლობლებთან ყოფნა. ახლა როგორი გაუსაძლისია შენი მონატრება, უფრო კი შენი გაშწარებული დედ-მამისთვის, მარო ბებოსთვის, რომლებიც სულ შენს ხსენებაში არიან. ყოველდღე მოდიან შენს საფლავთან, გესაუბრებიან და ამით ვითომ იშუშებენ ტკივილებს, მაგრამ ვაი.

19 წლის ნინომ 9 თვე შვილის მოლოდინში გაატარე და ჩახუტებაც ვერ გეღირსა, რადგან ორივემ ერთდროულად დაგვტოვეთ გაშწარებულები. რთულია, მაგრამ ის გვანუგეშებს, რომ შენს შვილთან, გაბრიელთან ერთად დაიმკვიდრე სასუფეველი. დედა-შვილის დაკარგვით ძლიერი ტკივილი დაგვიტოვე ყველას.

უფალს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს თქვენი ნათელი სულები, თქვენს სახელზე დანთებულმა სანთლებმა გაგინათოთ გზა საუკუნო სასუფეველში.

ნათელში იყავით აწ და მარადის.

შენი გულდამწვარი დედ-მამა, მარო ბაბო, მზია ბებო და დალი ბებო, ვალიკო პაპა ოჯახებით

ROGORI GANVATAVSOTI PASIANI GANCXADEBA „KVIRIS PALITRASHI“

1. მობრძანდით განცხადების მიმღებ პუნქტებში:
ა) თბილისი, იოსებიძის ქ. 49
ბ) თბილისი, აღმაშენებლის ქ. 121, „ბიბლუსის“ მაღაზიაში.
2. გამოგზავნეთ ელფოსტაზე: sitkva@palitra.ge
(ჩვენი ოპერატორი გამოგიგზავნით ელფოსტით ინვოისს)
დამატებით კითხვების შემთხვევაში, დარეკეთ
ნომერზე: 2 38 88 03

შპს „ელვა მარკეტი“ აცხადებს ვაკანსიას ქ. თბილისში ჯიხურში გამყიდველის პოზიციაზე

ძირითადი მოთხოვნები:

- გაყიდვების მიმართულებით მუშაობის გამოცდილება;
- კომპიუტერის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

ასაკი შეზღუდული არ არის.
ანაზღაურება: ფიქსირებული ხელფასი 350-დან 500 ლარამდე + ბონუსი.
დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდით ნომერზე: 577030798

გამომცემლობა „პალიტრა L“ მუშაობს სასკოლო სახელმძღვანელოებზე და იწვევს ავტორთა ჯგუფებს პროექტში მონაწილეობის მისალებად

ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების შემუშავების პროცესში ჩასართავად გამომცემლობა „პალიტრა L“ იწვევს დაინტერესებულ ჯგუფებს. თუ დაწყებული გაქვთ 1-6 კლასის სახელმძღვანელოებზე მუშაობა, მაგრამ არ იცით, როგორ და სად მოახერხოთ მათი რედაქტირება, ილუსტრირება და აწყობა, „პალიტრა L“ მზად არის ხელი შეუწყოს ახალი სახელმძღვანელოების შექმნას. თუ ჩამოყალიბებული გყავთ გუნდი, შემუშავებული გაქვთ სტრუქტურა, გაქვთ გამოცდილება და ხედვა, როგორი უნდა იყოს მომავალი სასკოლო სახელმძღვანელოები, დაგვიკავშირდით და ერთად შევიტანოთ ცვლილებები სასკოლო ცხოვრებაში.

დეტალური ინფორმაციისთვის დარეკეთ ნომერზე: 599 12 10 55

ხსოვნა

ხათუნა დონდუას გახსენება

გმირობა მარტოოდენ ომში სიკვდილი როდია, გმირობა ღირსეულად განვლილი სიცოცხლეა, რაოდენ ხანმოკლეც არ უნდა იყოს იგი.

როცა ამაზე ვსაუბრობთ, ჩვენი „ოქროს ფრთის“ ლაურეატის, დამსახურებული ჟურნალისტის, ხათუნა დონდუას ხანმოკლე სიცოცხლე გვიდგება თვალწინ. „ცისფერ ეკრანს“ ერთი ძალიან კაშკაშა ფერი მოაკლდა. ხათუნა დონდუა ალღღიანი ჟურნალისტი გახლდათ, ყურადღებიანი რედაქტორი და ამავე დროს ძალიან მომხიბლავი ტელეწამყვანი. არადა მაყურებლისა და მსმენელის დიდი სიყვარული მან ჯერ კიდევ ადრეული ბავშვობიდანვე მოიპოვა, როცა არენაზე გამოჩნდნენ პირველი მზიურელები. ის იყო მომღერალი და ვირტუოზული დამკვრელი სოლო გიტარაზე. ლამაზ, ღიმილიან, გონიერ, უზომო სიკეთის მატარებელ ადამიანად დარჩა ჩვენი საყვარელი ხათუნა.

პირველი მზიურელები

სოზარ აღნიაშვილის მონატრება

ჩვენო სოზარ! არავინ თქვას, დრო მკურნალიაო. მეოთხე თვეა, რაც დაგვტოვე, მაგრამ ყოველ დამდეგ დღეს დიდი ტკივილით ვხვდებით. 15 აგვისტოს 80 წლის უნდა შესრულებულიყავი. გოგოები გპირდებოდნენ — მამიკო, იუბილე ზეიმით უნდა აღვნიშნოთო და შენც იმედით ელოდი ამ დღეს, მაგრამ გვიღალატე, არ დაელოდე 15 აგვისტოს. წახვედი მოულოდნელად და წყნარად ისე, როგორი ბუნებისაც იყავი.

მარადიული სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა ზეციურ ბინადარს.

შენი მორეტა, შვილები, შვილიშვილები, სიძეები

ნინიკო მაჭარაშვილის გახსენება

ჩვენო ტკივილო და ჩვენო მოუნელებელო მონატრებავ, დრო, დრო, რა უცებ გასულა ბუკი, უკვე ერთი წლის მონატრება ხარ გოგო. ტკივილი კი მუდმივი ყოფილა, ის მუდამ ამოხეთქავს, ცრემლად გაგვეჩხირება, გვაშეშებს ერთ ადგილას და მიუწვდომელს გვხდის, დაუჯერებლობა გვტანჯავს, ცრემლი, მონატრება, უმწეობა და საკუთარი აზრის მტკიცედ დაცვა.

ძნელია ამ ტკივილის გაძლება, მაგრამ მაინც ვცდილობთ გავუძლოთ.

ნინი, უშენობამ სიცოცხლის აზრი დაგვაკარგვინა, ვეღარც კი ვსუნთქავთ შვილო, ჟანგბადიც კი არ გვყოფნის უშენოდ, ბუკ! ჩვენო უნაკლო და უმანკო გოგო, შენ ხომ ძალიან გინდოდა ჩვენთან ყოფნა, მაგრამ არც ერთი შანსი აღარ დაგვიტოვეს ბები, შენი სიცოცხლისთვის გვებრძოლა ბუკი!

ბებოს და პაპას გულები შენთანაა მიწაში დამარხული, ნინი.

აქედან ვილოცავთ ბაღის დამთავრებას, შენ ხომ სკოლისთვის სულმოუთქმელად ემზადებოდი, წერა-კითხვაც კი ისწავლე სულ პატარამ. „აი იას“ წაკითხვა არ მოგკლებოდეს სასუფეველში. ჩემმა ნინიკოს ცხოვრებამ სამასხსოვრო კადრივით გაირბინა ჩვენს ცხოვრებაში. ნინომ კეთილი და სასწაული სახე დატოვა ყველგან, ამიტომაც გაგვიფრინდა სასუფეველში.

ცათა სასუფეველში ნათელი მოეფინოს შენს მოსიყვარულე ანგელოზ გულს და სულს, ჩვენო ერთადერთო დასატირებელო ბუკი, რა ცოტა დრო გვქონდა იმ ბედნიერებისა, რომ შენ არსებობდი ქვეყნად.

თქვენ კი გულით შეინანეთ უგუნურად ჩადენილი უსაშინლესი ცოდვა, რომელმაც გული ნაწილ-ნაწილ დაგვიფლითა.

ნინიკუნა, როგორი სითბოთი, სიკეთით, სიყვარულით და უფლის სიყვარულით გაზრდილი გაგაცილეთ ცათა სასუფეველში, ბუკი! ნათელი მოეფინოს შენს ანგელოზ სულს სასუფეველში, ჩვენო მწარედ სატირალო ნინი!

ოხ, ეს განშორება, რა რთული ყოფილა, შვილო.
მამა — ზურა მაჭარაშვილი, დედა — ჟანა, პაპა — გია, ძიკო ვანო ალადაშვილები, ბებია მარიკა სუხიტაშვილი

ბიძინა პაატაშვილის ხსოვნას

ბიძინა, ძალიან გვაკლიხარ, ძნელია უშენობა, ენატრები შენს თაზოს, განსაკუთრებით კი შენს ძმებს, დედაშენი კი შენს მერე ლოგინად ჩავარდა. ბიძინა, ხომ იცი, როგორ უყვარდი მამაჩემს, სიტყვებით ამას ვერ გამოთქვამს, მაგრამ სულ ტირის და შენს საფლავზე დადის. ნაადრევად წახვედი, 48 წლის, ერთი წელიწადი 13 აგვისტოს შეგისრულდება. ეს ერთი წელი გაუსაძლისი და უმძიმესი იყო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული და მარადიული სასუფეველი დაგიმკვიდროს.

ოჯახი

ნათელა ჯორბენაძე-ბარტყულაშვილის მონატრება

დაბადების დღეს გილოცავთ, 14 აგვისტოს, საყვარელო დედა. 6 წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. დრო მკურნალიაო — ეს ტყუილია. ვერაფერი მოაშუშებს შენით მიყენებულ ტკივილს. ვამყობთ შენი დატოვებული სახელით, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე მეგზურად გაჰყვება შენს შვილებსა და შვილიშვილებს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული. გვიყვარხარ და ყველას ძალიან გვენატრები.

ოჯახი

19 წელი უშენოდ ვახო გოჯიაშვილის მწარე ტკივილიანი მონატრება

ჩემო პირველო სიხარულო, გაფრინდა მეხის დამცემი 19 წელი. შემზარავი იყო 1998 წლის 19 აგვისტოს ფერიცვალების დილა. როგორ ნაადრევად გაქრა შენი ლამაზი სიცოცხლე 29 წლის ასაკში. ამბობენ, დრო მკურნალიაო, არ დაიჯერო, შვილო, რაც დრო გადის, გული მძიმდება და ყოფა გაუსაძლისი ხდება. ვერანაირი დრო ვერ განკურნავს იმ ტკივილს, რასაც უშენობა ჰქვია. შენ ყოველთვის ჩვენთან ხარ, შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. იძინე მშვიდად, ნათელი გედგას მარადის. დაე, ბუმბულივით გეფინოს საინგილოს ნანატრი მიწა. ყველას ძალიან გვაკლიხარ, გვენატრები, გვიყვარხარ.

შენი გამწარებული დედა, ყველა დანატოვართან ერთად

რეზო ლოლუას მონატრება

ჩვენი მარადიული ტკივილი. მერვე წელია ვხვდებით 13 აგვისტოს წარსულის მოგონებებით. ვერავინ ავსებს შენგან დატოვებულ სიცარიელეს ჩვენს გულებში. შენ იყავი კეთილი სულის ადამიანი, ყველას მოსიყვარულე და გვერდში მდგომი.

13 აგვისტოს მოვალთ შენს საფლავთან ყვავილებითა და სანთლებით იმ ადამიანებთან ერთად, ვისაც გულით უყვარდი და ახსოვხარ.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩვენო კეთილშობილო და სათაყვანებელო ძმაო.

შენი დები ანგელინა და მერი ლოლუები

სამშობლოს წინაშე ჭეშმარიტად ვალმოხდილი დიდებული ქართველი

1878 წელს დედასაქართველოს დაუბრუნდა 300 წელს მოწყვეტილი შვილი, მრავალჭირნახული, გამუსლიმანებული აჭარა.

„მოგვეპყარით, როგორც ძმებს, წაგვიძეხით წინ, გვასწავლეთ წერა-კითხვა... ჩვენი ჩამორჩენა თქვენთვისაც მავნებელია, ჩვენი უმეცრება, როგორც ჩვენი, ისე თქვენი სირცხვილიცაა, რადგან ჩვენ ერთნი ვართ,“ — „ბათუმის გაზეთი“, 1913 წლის 17 თებერვალი.

ჰაიდარ აბაშიძე დაიბადა 1893 წლის 15 აგვისტოს ბათუმში. მამამისი, ალი, სანჯაყ-ბეგთა შთამომავალი იყო. მემედ აბაშიძე მას ბიძად ერგებოდა. ალი სალიხის ძე აბაშიძეს და გენჯი ქიქავას ქალიშვილს, მებუბის, ექვსი ვაჟი შეეძინათ. უფროსი, ჰაიდარი, 7 წლის იყო, როცა მამამ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაარსებულ ბათუმის ქართულ სკოლაში შეიყვანა. აქ რუსი მასწავლებლები და მოწაფეები „ტუროკს“ ეძახდნენ მაჰმადიან ქართველებს, ქართველები კი — თათრებს. სასწავლებელში ერთი წელი სწავლობდა,

1905 წელს კი მამამ თურქეთში გაგზავნა თურქული ენის შესასწავლად. იქ გურჯი უწოდეს. ძალიან გაუკვირდა — ხან თათარი ვარ, ხან თურქი და ხან — გურჯიო. „მაშინ წარმოდგენაც არ მქონდა, თუ მეც მქონდა სამშობლო და დედაენა“, — იგონებდა.

1913 წლიდან მასწავლებლობდა, თურქეთის მიერ ძალით გამაჰმადიანებულ ქართველებში აღვიძებდა ეროვნულ თვითშეგნებას, ილაშქრებდა პანთურქიზმისა და პანისლამიზმის წინააღმდეგ.

მისი თაოსნობით აჭარაში გაიხსნა ქართული სკოლები. ჰაიდარ აბაშიძის მოღვაწეობა არ მოსწონდათ მეფის რუსეთის მოხელეებს, ამიტომ 1916 წელს იგი აჭარიდან გაასახლეს.

1918-20 წლებში „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ აქტიური წევრი იყო.

საგულისხმოა ჰაიდარის წერილი ქართველ მაჰმადიან ქალთა მდგომარეობაზე („ბათუმის გაზეთი“, 1914 წლის 2 მარტი). ამ წერილში მუსლიმი ქალი თავის აუტანელ მდგომარეობაზე მოგვითხრობს: „ჩვენ მოწყვეტილნი ვართ ცხოვრებას და მოკლებულნი ვართ თვით მზის სინათლესაც კი... ჩვენმა გასათხოვარმა ქალებმა უნდა უცადონ მშობლებისაგან პირუტყვივით გაყიდვას, მათ არა აქვთ ნება, მას გაჰყვენ ცოლად, ვინც მოსწონთ. განა ჩვენ გაჩენილი ვართ მამაკაცების მონებად? არა, ჩვენ დედებად და მეუღლეებად ვართ გაჩენილი.“

ჰაიდარი ამავე წერილში შეეხო ჩადრსაც, რომელშიც გახვეულია მაჰმადიანი ქალი, რათა მისი პირისახის ჩვენებამ მამაკაცს ვნება არ აღუძრას. „მაგრამ განა ქალები მოკლებული არიან მგრძნობელობას, ჩვენც ხომ ადამიანები ვართ? — განაგრძობს მუსლიმი ქალი, — რატომ მამაკაცები არ იფარებენ პირზე ჩადრს? რატომ გვამზერინებენ ჩვენ, ჩადრიანებს, სახეზე?.. დადგება დრო, განათლების სხივები ჩვენშიაც გაჰფანტავს სიბნელეს. ჩვენი ქართველი მაჰმადიანი ქალების მოვალეობაა, შვილები აღვზარდოთ დროის შესაფერისად, ჩავუნერგოთ მათ გულში მძულვარება იმ მონობისა და დამცირებისა, რასაც ჩვენ განვიცდით... იქნება მათ მაინც დააღწიონ თავი ასეთ მდგომარეობას!“

ზარივით გაისმა ჰაიდარის ხმა, ზოგი გამოაფხიზლა, ნაწილი კი უკმაყოფილო დარჩა. ათასნაირ ჭორს ავრცელებდნენ — ჰაიდარი გაგიაურდა, მუსლიმობას უღალატა, მაჰმადიანობის წინააღმდეგიაო.

1914 წლის ნოემბერში თურქეთის ჯარებმა ართვინი, არტანუჯი, ბორჩხა დაიპყრეს. აჭარა მოოხრდა. უკანდახეულმა თურქებმა აჭარლები ოსმალეთში გარეკეს. მტერი აჭარლებსაც აძალებდა იარაღის ხელში აღებას. ომით გაპარტახებულ მხარეში ხალხი შიმშილით იხოცებოდა.

1915 წლის 19 მარტს გაზეთ „სამშობლოში“ გამოქვეყნებულ წერილში კვლავ მოწოდება, კვლავ საყვედური... ქრისტიან ქართველებს მაჰმადიან მოძმეთა დახმარებას მოუწოდებს. ამ წერილმა საქართველო ფეხზე დააყენა, არ დარჩენილა ჟურნალ-გაზეთი, თანაგრძნობის წერილები არ დაებეჭდოს. ვისაც რა შეეძლო, დიდმა თუ პატარამ, ხელი გამოიღო მუსლიმან ქართველთა დასახმარებლად.

„ჩვენ აქ არ უნდა მოვსულიყავით. ვინაიდან ჩვენ ვართ ქართველები და ჩვენი ენა არის ქართული ენა, ამიტომ ჩვენთვის სავალდებულო არ არის თურქული ენის სწავლება და არც მის გაძლიერებაზე ზრუნვა“

1916 წელს გორში ჩატარდა მაჰმადიან სასულიერო მოღვაწეთა და თურქული ენის მასწავლებელთა ყრილობა. მას უნდა შეემუშავებინა მაჰმადიანური საღვთო სჯულისა და საქართველოში მცხოვრებ მაჰმადიანთა შორის თურქული ენის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებები. სიტყვით გამოსულმა ბათუმის დელეგატმა ჰაიდარ აბაშიძემ ყრილობას პანისლამიზმისა და პანთურქიზმის იდეების პროპაგანდაში დასდო ბრალი: „ჩვენ აქ არ უნდა მოვსულიყავით. ვინაიდან ჩვენ ვართ ქართველები და ჩვენი ენა არის ქართული ენა, ამიტომ ჩვენთვის სავალდებულო არ არის თურქული ენის სწავლება და არც მის გაძლიერებაზე ზრუნვა. რაც შეეხება საღმრთო წერილებს, ისინი უნდა ითარგმნებოდეს ჩვენს მშობლიურ ენაზე“.

ჰაიდარმა პროტესტის ნიშნად ყრილობა დატოვა.

ყრილობა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის, რუდოლფის თაოსნობით იყო მოწყობილი და ჰაიდარის საქციელი ყრილობის ჩაშლის მცდელობად შეაფასეს.

ურჩ პედაგოგს მასწავლებლობა აუკრძალეს. ჟანდარმერიის უფროსის ბრძანებით, კავკასიიდან მისი გასახლებაც უნდოდათ, მაგრამ ქართველი საზოგადოების პროტესტს შეუშინდნენ და მხოლოდ ბათუმის ოლქიდან გააძევეს. ჰაიდარი ჭიათურაში ჩავიდა.

ბათუმში ჰაიდარმა პედაგოგ შარაშიძის ოჯახში გაიცნო ყაფლან წერეთლის ასული მარგალიტა და ცოლად შეირთო. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მაღალი წრის მაჰმადიანმა ქართველმა ქრისტიან ასულზე იქორწინა.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ, იმავე წლის ნოემბერში, მოიწვიეს საქართველოს ეროვნული ყრილობა. ყრილობამ შექმნა ეროვნული საბჭო. საბჭოში მოგვიანებით, სხვა აჭარლებთან ერთად, ჰაიდარ აბაშიძეც შეიყვანეს. ჰაიდარი იყო ამიერკავკასიის სეიმის იმ დელეგაციის წევრიც, რომელიც ტრაპიზონის კონფერენციაზე მოლაპარაკებას აწარმოებდა ოსმალებთან.

ჰაიდარი, როგორც სამაჰმადიანო საქართველოს წარმომადგენელი, 26 მაისის სხდომაზე გამოვიდა და მოძმეებს დამოუკიდებლობის აღდგენა მიულოცა. შემდეგ ყადირ შერვაშიძესთან ერთად ხელი მოაწერა დამოუკიდებლობის აქტს. ამ ბედნიერ დღეს მხოლოდ ის აწუხებდა, რომ ამ ლხინს ვერ იზიარებდა სამაჰმადიანო საქართველო.

ოსმალეთმა 1918 წლის 1 აპრილს ბათუმი და აჭარა დაიპყრო. თბილისში გაიხიზნა ქართველ მუსლიმთა ერთი ჯგუფი და იქ დააარსეს სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი.

დიდხანს არ დასცალდა ოსმალეთს ბატონობა, იმავე წლის დეკემბერში დატოვა აჭარა და მისი ადგილი ახალმა ბატონმა — ინგლისმა დაიკავა. თურქეთი მაინც არ ცხრებოდა და ახლა ახალციხე-ახალქალაქში დიდ ანტიქართულ აქციებს აწყობდა. ასეთ მძიმე ვითარებაში ახალციხეში ჩავიდა საქართველოს რესპუბლიკის რწმუნებული ჰაიდარ აბაშიძე. მან 1919 წლის 1 იანვარს მაზრის ყრილობაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა და დაასაბუთა საქართველოს შემადგენლობაში სამუსლიმანო საქართველოს დარჩენის აუცილებლობა.

1919 წლის 31 აგვისტოს შედგა ბათუმში ქართველ მაჰმადიანთა ყრილობა, რომლის რეზოლუციის საფუძველზე საქართველოს მთავრობამ 1919 წლის 25 დეკემბერს გამოაცხადა სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია. კომიტეტის ნაწილი, მათ შორის ჰაიდარიც, მიიჩნევდა, რომ ეს ნაბიჯი არ იყო სწორი.

1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ახალი ხელისუფლება თითქოსდა მზრუნველობით მოეპყრო ჰაიდარ აბაშიძეს, მისთვის ხელშეუხებლობის სიგელიც მიუციათ მაგრამ...

ამ დიდმა მამულიშვილმა ცხოვრება, ოჯახთან ერთად, ვაშლოვანის ქუჩაზე, ერთ პატარა ოთახში გაატარა. მხოლოდ დაბადების 70-ე წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ, როგორც იქნა, მისცა სამოთახიანი ბინა.

1964 წელს მას ბათუმსა და თბილისში იუბილეც გაუმართეს.

1965 წლის 29 დეკემბერს ჰაიდარ აბაშიძე გარდაიცვალა. მისი ქალიშვილის თქმით, ჰაიდარმა ზუსტად იწინასწარმეტყველა თავისი გარდაცვალების დღე და საათიც კი.

ცხედარი დიდი პატივით დაკრძალეს დიდუბის პანთეონში. მის დაკრძალვაზე ლევან გოთუას უთქვამს: „მიწა ყველას იმარხავს, ამაოდ დამაშვრალთაც და უღირსთაც... მაგრამ თავის სამშობლოს წინაშე ჭეშმარიტად ვალმოხდილთ უკვდავებად ეყრება, ემსუბუქება და მართლაც დედამიწად კალთას აფარებს...“

სკანვორდი ფრაგმენტებით



1 სპორტის სახეობა



2 სადღესასწაულო ავტომობილი



3 ინგლისელი მომღერალი



4 გერმანელი კომპოზიტორი

1. გამხმარი ხილი
2. ფრანგი პოეტი
3. ჯადოქარი
4. პაპა ანუ
5. ბალტიისპირეთის ქვეყანა
6. სუსტი არაყი
7. კვამლი
8. ტუ სემიტების ნაყოფიერების ქალღმერთი
9. წერილი, უსტარი
10. პარადი
11. გაუმაძღარი
12. „... ღვთისა, ... ერისა“
13. ბარბაროსები
14. თეატრის მოყვარული
15. რისამე სახეცვლილება
16. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში
17. ჰემინგუეი „შშვიდობით ...“
18. ნიანგის სახეობა
19. ინგლისელი რეჟისორი ... რიჩი
20. ჭრილობა
21. სამშობლო
22. ტეკილას მასალა
23. ლარნაკი
24. ხილი
25. ბეწვი, ბალანი
26. „ნაუტილუსის“ კაპიტანი
27. მსახიობი ... დვალიშვილი
28. მარადმწვანე ბუჩქი
29. ჯაზმომღერალი ... ბარათაშვილი
30. მიწისქვეშა მდინარე (მით.)
31. მოკლეტანიანი პალმა
32. ამერიკელი ფსიქოლოგი ... კარნეგი
33. წყლის სამგზავრო ჭურჭელი
34. კუზანოვი
35. „ ... ნუ მიუტანთ ახალ შეკვარებულს“
36. ნივთი
37. სოფელი დუმეთში
38. დოლიძე „ ... და კოტე“
39. ვაზი
40. კოლხეთის ძველი სამეფო
41. ეგვიპტის დედაქალაქი
42. მდინარის სადინარი
43. უუფლებო ადამიანი
44. ჩუმად – მუსიკაში
45. ქალაქი რაჭაში
46. ... მეუნარგია
47. მიწის ფართობის საზომი
48. კაბის, პალტოს სახელოს ფასონი
49. სიტყვის ნაწილი, აღნიშნავს სიცოცხლეს
50. ფეხბურთის მატჩის ნახევარი
51. სატირული ხასიათის მიბაძვა
52. თიხის ჭურჭელი
53. მოკლეულლიანი თოფი
54. საქონელგაცვლა
55. მაცალკევებელი კავშირი
56. ადამიანთა მწკრივი
57. ... ფლემინგი
58. რისამე ზღვრული რაოდენობა
59. პოლონელი რეჟისორი ანჯეი ...

ყურადღება!

კროსვორდების შემეცნებით-გასართობი ჟურნალი კარუსელი აცხადებს კროსვორდის, სკანვორდის და სხვა თავსატეხების შემდგენლების კონკურსს.

ყველაზე ორიგინალური თავსატეხის ავტორს დააჯილდოებს გამომცემლობა „პალიტრა L“. ხოლო საუკეთესოები დაიბეჭდება ჟურნალ „კარუსელში“.

მასალები გამოგვიგზავნეთ ელ.ფოსტაზე: karuseli@palitra.ge ან მოგვიტანეთ რედაქციაში მისამართზე: იოსებიძის №49.

№30 სკანვორდის პასუხები:

1. ფშავი; 2. კროლი; 3. მადლი; 4. მშრალი; 5. ალმასი; 6. აგა; 7. დონორი; 8. ეკლერი; 9. გრადუსი; 10. გურამიშვილი; 11. კრამიტი; 12. სინაპი; 13. კომლი; 14. იდო; 15. იასამანი; 16. ენოლოგი; 17. ადამი; 18. სიდნეი; 19. მოსე; 20. სომალი; 21. დაიმი; 22. მოდა; 23. საია; 24. აერობიკა; 25. ავოკადო; 26. კივი; 27. კულიჩი; 28. იარა; 29. ჩაროზი; 30. ლორია; 31. ალამი; 32. ძროხა; 33. ალალი; 34. ნობელი; 35. ზამბია; 36. ალილო; 37. ჰოსპიტალი; 38. ლივერპული; 39. პანორამა; 40. იანდი; 41. კაკვი; 42. მიმინო; 43. ავა; 44. აბი; 45. სვასტიკა; 46. მიკოლა; 47. ბაია; 48. პრესლი; 49. იგრიკა; 50. ილია; 51. კა; 52. ტიპი; 53. ლია; 54. ჩაი; 55. ლალი.

სურათებზე: 1. შერმადინი; 2. ვალდშნეპი; 3. აბასი; 4. ედისონი.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები

შეადგინა ვანო კაჭახიძემ

23 წლის ქართველი პიანისტის წარმატება საერთაშორისო ფესტივალზე

ივლისის მიწურულს სანქტ-პეტერბურგში საერთაშორისო საფორტეპიანო ფესტივალი „თეთრი ღამეები“ ჩატარდა (White nights international piano festival), რომელშიც ჩვენი თანამემამულე, კონსერვატორიის მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტი, 23 წლის სანდრო ჯულაყიძე მონაწილეობდა.

სანდრო თბილისში მესამე პრემიითა და ლაურეატის წოდებით დაბრუნდა. ახალგაზრდა პიანისტმა შთაბეჭდილებები გაგვიზიარა:

სანდრო ჯულაყიძე: **„როდესაც მუსიკას ეხება საქმე, თავისუფალი დრო არ არსებობს. აქ ყველა წუთი თავისუფალია და იმავდროულად – დაკავებულიც“**

— ეს იყო 14-დღიანი საფესტივალო პროგრამა, რომელიც მოიცავდა კონცერტებსა და მასტერკლასებს. მე დაახლოებით რვა გამოსვლა მქონდა. ფესტივალის ორგანიზატორი გახლდათ ვადიმ მონასტირსკი. სულ 32 მონაწილე ვიყავით. მათგან 28 პიანისტი იყო. საფესტივალო პროგრამაში მონაწილეობას იღებდნენ ჩინეთიდან, იაპონიიდან, კორეიდან, ისრაელიდან, ამერიკიდან. მე კი ერთადერთი ქართველი ვიყავი.

— რა იცოდნენ კონკურსანტებმა საქართველოს შესახებ?

— უმრავლესობა იცნობდა ჩვენს ქვეყანას. ზოგს ამერიკის შტატ ჯორჯიიდან ვეგონე. მიხარია, რომ ეს ფესტივალი მომავალი წლის თებერვალში თბილისში გაგრძელდება, მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს.

— როგორც ვიცი, ეს თქვენი პირველი წარმატება არ არის.

— ბევრ ფესტივალზე ვარ ნამყოფი. 2016 წელს ნიცაში, საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსზე, პირველი პრემია ავიღე.

— ბავშვობიდან მონაწილეობთ მუსიკალურ ცხოვრებაში...

— ჩვენს ოჯახში, ბებიის გარდა, ყველა მუსიკოსია. ბავშვებს, როგორც წესი, არ ეხალისებათ მუსიკის სწავლა, მაგრამ ამისათვის საჭიროა ისეთი დედა, როგორიც მე მყავდა, რომელიც მუდმივად თავზე მადგა და მამეცადინებდა. ბევრი შრომა წარმატების საწინდარია, მაგრამ ცუდია, რომ ბავშვობას გართმევენ — იმ დროს, როდესაც ყველა თამაშობს, შენ ზიხარ და მეცადინეობ. ახლა დღეში ოთხი-ხუთი საათი თუ ვიმეცადინე, ბედნიერი ვარ.

— რომ არა მუსიკა, რომელ სფეროში მოსინჯავდით ძალას?

— ავტოსპორტში, სადაც მოყვარულის დონეზე არცთუ ცოტა ხანს ვიყავი ჩართული. შეჯიბრებაში რამდენიმე დონეზე გავედი და არაერთხელ მოვიგე კიდეც, მაგრამ იმდენად უპერსპექტივოა ავტოსპორტი საქართველოში, რომ როგორც უნდა მიყვარდეს, ამ სფეროში კარიერაზე არც ვიფიქრებდი.

— მუსიკაში რა პერსპექტივას ხედავთ?

— ჩვენი შემოქმედების მსყიდველობითი უნარი ნულია, ხალხი არ მოდის კონცერტებზე, სამაგიეროდ, გვაქვს ძალიან კარგი სკოლა, რომლის წყალობით ქმნი ბაზას იმ პროდუქტისთვის, რომელიც ევროპაში ან სხვაგან წარმატებით იყიდება.

მნიშვნელოვანია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პოლიტიკა. ბევრ სტუდენტსა თუ მოსწავლეს აძლევენ საშუალებას, მიიღონ მონაწილეობა კონკურსებში, მასტერკლასებსა და ფესტივალებში. უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო მათ მხარდაჭერისთვის. მაგალითად, თამუნა გოჩაშვილმა მოიგო მოსკოვის დიდი თეატრის სამტურიანი ვოკალური კონკურსი, ანა ჟორდანია ვენეციაში ჯაზის მასტერკურსზე იმყოფებოდა და დასკვნით კონცერტზე ვენეციის ბიგბენდთან მიიწვიეს.

— სად წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი 10 წლის შემდეგ?

— პატრიოტი ვარ და ვფიქრობ, ყველანაირ რესურსს გამოვიყენებ, რომ საქართველოში შეიქმნას გარემო, სადაც კლასიკური მუსიკა, ელექტრომუსიკა, ჯაზი დაფასდება, ხალხი დაინტერესდება ამ მუსიკით. საჭიროა, აღიზარდოს მსმენელი, ინფორმაცია და კარგი მუსიკა არ მოაკლდეთ.

— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

— როდესაც მუსიკას ეხება საქმე, თავისუფალი დრო არ არსებობს. აქ ყველა წუთი თავისუფალია და იმავდროულად — დაკავებულიც.

— რა პროფესიის ადამიანს აირჩევდით ცხოვრების მეგზურად?

— აუცილებლად მუსიკოსს. არამუსიკოსი ნაკლებად ემოციურია — პირადი ურთიერთობა კი ემოციებთან არის დაკავშირებული. ამიტომ, ვინც ჩემ გვერდით იქნება, აუცილებლად მუსიკასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ეკა სალაღაია

„უკან მოვიხედე და უამრავი შეშინებული ადამიანი დავინახე, იმედი და ნდობა იგრძნობოდა მათ მზერაში“

8 აგვისტოს, საღამოს 10 საათისთვის, თბილისი პანიკამ მოიცვა — მთაწმინდის ფერდობზე, ვერის სასაფლაოს მიმდებარედ გაჩნდა ხანძარი, რომელიც მთაწმინდის პარკსა და დასახლებულ ტერიტორიას დაემუქრა — ქარისა და რთული რელიეფის გამო ცეცხლის ჩაქრობა გაჭირდა, წამოიჭრა ბელინსკის ქუჩის მცხოვრებთა ევაკუაციის საკითხიც, თუმცა მეხანძრეებმა, საკუთარი სიცოცხლის ფასად, ადამიანების დაცვაც შეძლეს და ხანძარიც დროულად ჩააქრეს.

მთაწმინდის ხანძრის ამსახველი ფოტო თუ ვიდეოკადრები მეხანძრე გიორგი ჟიჟიაშვილის გასაოცარმა ფოტოსურათმა გადაფარა



„ყველა ღონე უნდა გვეხმარა და ხანძარი დასახლებულ პუნქტამდე არ მიგვეშვა. ძალას ისიც მმატებდა, რომ გვერდით პროფესიონალი მეხანძრე-მაშველები მყავდა. ასეთ დროს გუნდური მუშაობა უმნიშვნელოვანესია“

მეხანძრე **გიორგი ჟიჟიაშვილი** „კვირის პალიტრასთან“ იხსენებს, როგორ აღმოჩნდა ცეცხლის შუაგულში: — სამსახურში ობიექტიდან ძალიან დაღლილი დავბრუნდი და დასვენებას ვაპირებდი, როდესაც შეტყობინება მივიღეთ, რომ მთაწმინდის ფერდობზე გაჩნდა ხანძარი და ჩვენი დახმარება სჭირდებოდათ. შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გავედით. მოსახლეობა პანიკაში იყო, ეშინოდათ, ცეცხლს მათ სახლებამდე არ მიეღწია. შეძლებისდაგვარად დავამშვიდეთ და ვთხოვეთ, მუშაობისას ხელი არ შეეშალათ. იქვე შევიმუშავეთ სტრატეგია და ცეცხლის ქრობა დავიწყეთ.

სამუშაო ჯგუფში პირველ ნომრად გამწესების შემდეგ ხანძრის კერას მივუახლოვდი. ყველა ღონე უნდა გვეხმარა და ხანძარი დასახლებულ პუნქტამდე არ მიგვეშვა. ძალას ისიც მმატებდა, რომ გვერდით პროფესიონალი მეხანძრე-მაშველები მყავდა. ასეთ დროს გუნდური მუშაობა უმნიშვნელოვანესია. ხანძრის კერის იმ ნაწილში, სადაც ჩვენი ჯგუფი განთავსდა, ცეცხლი ეკიდა ადვილად აალებად წიწვოვან მცენარეებს, ამიტომ მოსახლეობა სწრაფად გავიყვანეთ. ასეთ დროს შესაძლებელია, ადვილად დაშავდეს ის, ვისაც ხანძრის ჩაქრობის გამოცდილება და შესაბამისი ეკიპირება არა აქვს.

რთული რელიეფური და მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, 70-მა მეხანძრე-მაშველმა ხანძრის ლოკალიზება სწრაფად შეძლო.

— რას გრძნობთ მეხანძრეები მაშინ, როდესაც სტიქიასთან ბრძოლა გიწევთ, ან რამდენად მოქმედებს მოსახლეობის და ხშირად — არაპროფესიონალების კრიტიკა, რომლებიც თქვენი მუშაობით უკმაყოფილონი არიან?

— ამ დროს მხოლოდ იმაზე ვფიქრობთ, რაც შეიძლება სწრაფად ჩავაქროთ ცეცხლი და მასშტაბის ზრდას ხელი შევუშალოთ. როდესაც ყველაფერი მთავრდება, ემოციები მერე იჩენს თავს. ახლაც ასე მოხდა. დანაკარგი მაწუხებდა — მენანებოდა ის მწვანე საფარი, რომელიც ცეცხლმა შეიწირა, მაგრამ კმაყოფილი ვიყავი იმით, რომ ხანძარს გავრცელების საშუალება არ მივეცით, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი ქარი ქროდა და ხელს გვიშლიდა. ერთხანს უკან მოვიხედე და უამრავი შეშინებული ადამიანი დავინახე. იმედი და ნდობა იგრძნობოდა მათ მზერაში. ეს ჩვენთვის ყველაზე დიდი ჯილდო და სტიმულია.

— რა დრო დაგჭირდათ ცეცხლის ლოკალიზებისთვის?

— 30-35 წუთი. მთაწმინდის ფერდობზე ხანძრის ძირითადი კერა ორად გავყავით, მეხანძრე-მაშველები გადავნაწილდით და ორივე კერა ვაკუუმში მოვაქციეთ. ხანძრის გავრცელების საშიშროებაც მალე აღმოიფხვრა.

— კამათობდნენ, უნდა გამოგეყენებინათ თუ არა „სუპერპუმას“ ვერტმფრენი. მისი გამოყენება ხანძრის ჩაქრობას დააჩქარებდა?

— ვერტმფრენის გამოყენება საჭირო არ იყო. ყველაფერს, მათ შორის ასეთი ტექნიკის გამოყენებასაც, თავისი წესი აქვს. დადებითი და უარყოფითი მხარეებიც გასათვალისწინებელია...

ამ შემთხვევაში ვერტმფრენის პროცესში ჩართვა საძმეს გაგვირთულებდა. დიდი იყო საფრთხე, რომ შეზღუდული ხილვადობისა და მთაწმინდის რელიეფის პირობებში ან ვერტმფრენი, ან რომელიმე მეხანძრე დაზიანებულიყო.

ადგილზე მობილიზებული იყო 70 მეხანძრე-მაშველი შესაბამისი აღჭურვილობით — ყველაზე ეფექტური რაოდენობა, რომელიც შეიძლებოდა ამ ხანძრის სწრაფად ჩასაქრობად გამოგვყენებინა. შედეგიც ყველამ დავინახეთ. ჩვენ სასწორზე არასდროს დავდებთ სხვის სიცოცხლეს. ვცდილობთ, ოპტიმალური გეგმა შევიმუშაოთ ზარალის მატების თავიდან ასაცილებლად.

რუსუდან შელია



ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ 5 ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲓᲘᲜᲐᲡᲢᲘᲐ

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი დინასტიების სიას სათავეში უდგას საუდის არაბეთის მმართველი ალ-საუდების სამეფო ოჯახი, რომელიც ქვეყანაში აბსოლუტურ ძალაუფლებას ფლობს.

1. ᲐᲚ-ᲡᲐᲣᲓᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ – 1,4 ᲢᲠᲚᲜ

საუდის არაბეთს მართავს მეფე სალმანი, რომელიც 2015 წელს ტახტზე ავიდა ძმის, მეფე აბდალას გარდაცვალების შემდეგ. შეიძლება ითქვას, რომ ალ-საუდებს უთვალავი ფული აქვთ და ქველმოქმედებაზეც ძალიან ბევრს ხარჯავენ. მაგალითად, მეფის ძმისშვილმა, მსოფლიოს ერთ-ერთმა უმსხვილესმა ინვესტორმა და ბიზნესმენმა, პრინცმა ალ-ვალიდმა (ალ ვალიდ იბნ ტალალ იბნ აბდელ აზიზ ალ საუდმა) საერთოდ უარი განაცხადა პირად ფულზე და 32 მლრდ დოლარი მთლიანად ქველმოქმედებას მოახმარა.

სხვათა შორის, პრინცი ალ ვალიდი საქართველოში 2015 წელს მაშინდელ ვიცე-პრემიერ კვირიკაშვილის მოწვევით ჩამოვიდა, შეხვდა პრემიერ ღარიბაშვილს და პრეზიდენტ მარგველაშვილს.

2. ᲣᲝᲚᲢᲝᲜᲔᲑᲘ – 152 ᲛᲚᲠᲓ

უმდიდრეს დინასტიებში უოლტონები სულ რაღაც ნახევარი საუკუნეა მოხვდნენ. დინასტიის დამფუძნებლის სემ უოლტონის იდეა — მომხმარებელს ერთ მაღაზიაში ეყიდა ყველაფერი — მეტად წარმატებული გამოდგა. მათი ძირითადი ბიზნესი „უოლ-მარტის“ მაღაზიების ქსელია, რომელიც დიდი ხანია მსოფლიოს პირველი რიელტერია.

3. ᲙᲝᲮᲔᲑᲘ – 80 ᲛᲚᲠᲓ

ძმები ჩარლზ და დევიდ კოხების ძირითადი ბიზნესია ნავთობი, მისი ტრანსპორტირება, ფინანსები, მსხვილი კომპანიების აქციები და სხვ.

სკანდალურად ცნობილი ძმები ამერიკაში დემოკრატების მთავარი ოპონენტები არიან და მთავრობისგან მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკას ითხოვენ.

4. ᲛᲐᲠᲡᲔᲑᲘ – 60 ᲛᲚᲠᲓ

ეს არის დინასტია, რომელიც მსოფლიოში ყველამ იცის — მათი საკუთრებაა „მარსი“, „სნიკერსი“, „მილკი ვეი“, „ემ-ენდ-ემსი“, „პედიგრი“, „ვისკასი“ და სხვ. მარსებმა მომცრო საკონდიტრო ბიზნესის მსოფლიო იმპერიად გარდაქმნა XX საუკუნის 20-იან წლებში დაიწყეს, როცა პირველი პატენტი მიიღეს ნუგას რეცეპტზე...

5. ᲙᲐᲠᲒᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲙᲛᲘᲚᲐᲜᲘ – 43 ᲛᲚᲠᲓ

ოჯახს აქვს ნედლეულის, სოფლის მეურნეობის, საკვებისა და სხვა ბიზნესი. მაკმილანები კარგილების შტოა, დინასტიის მამამთავრის, უილიამ კარგილის სიძე ჯონ მაკმილანი ისეთი „დაქოქილი“ გამოდგა, რომ პატრიარქმა ოჯახურ ბიზნესს მისი გვარიც მიამატა. ისინი მონტანაში, ცხოვრობენ და არავისთან არ ურთიერთობენ.

ბეშუმის ტყის ვარამი

ძნელად თუ მოიპოვება ისეთი სილამაზის სოფელი, როგორიც ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელი ბეშუმია. მინერალური წყაროებითა და სამკურნალო ტალახით ცნობილ სოფელს იშვიათი წიწვოვანი ტყეები აკრავს. ამის გამო აქ ათასობით ადამიანი ისვენებს. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ამ უნიკალურ ადგილს საფრთხე ემუქრება, — ცოტა ხნის წინ სოციალურ ქსელში გაჩნდა იმედა ბოლქვაძის ფოტოები, რომელზეც ბეშუმის ტყის გაჩანაგებაა ასახული. ამ ფოტოებზე საუკუნოვანი წიწვოვანი ხეების ნაცვლად მხოლოდ გადანაჭრებია დარჩენილი, თავად ხეები კი მორებად არის დაჭრილი. დაგვეთანხმებით, ამის გულგრილად ყურება ძალზე ძნელია, ამიტომაც მოჰყვა ფოტოებს სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება.

ჩვენ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელ **ბესიკ ბაუჩაძეს** დავუკავშირდით: — ხეტყე ბეშუმში კანონის დაცვით, მოსახლეობის შეშისთვის იჩეხება. ვინაიდან ხულოს მუნიციპალიტეტი გაზიფიცირებული არ არის, ცხადია, მოსახლეობა შეშას ტყეში ჭრის. წიწვოვანი ხეების მოჭრის გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტს არ მიუღია, სპეციალურმა სატყეო კომისიამ მიიღო. როგორც ვიცი, ტყის გაჩეხა შარშანდელთან შედარებით ათჯერ მაინც შემცირდა.

აჭარის სატყეო სააგენტოს განცხადებით, შეშად მხოლოდ დაზიანებული ხეები იჭრება და არა ჯანსაღი. ტყე შემოღობილია და მისი ბუნებრივი განახლება მიმდინარეობს. მოსახლეობის თქმით, კი ასწლოვან წიწვოვან ხეებს დაავადებისა არაფერი ეტყობა, ტყის ნაკვეთები კანტიკუნტადაა შემოღობილი, ძირითადი ტყე კი ნადგურდება.

იმედია, გარემოს დაცვის სამინისტროს ადეკვატური რეაგირება ექნება და ხელს შეუშლის იმ ძვირფასი განძის განადგურებას, რომლის ჩვენამდე მოღწევას არაერთი ათწლეული და საუკუნეებიც კი დასჭირდა.

ეთერ ერაძე

შპს „ელვა.ჯი“ აცხადებს ვაკანსიას სკუტერით მოსიარულე კურიერის პოზიციაზე

— სკუტერის მართვის მინიმალურ დონეზე ცოდნა აუცილებელია.

— შერჩეულ კანდიდატებს საჭიროების შემთხვევაში ჩაუტარდებათ 5-7-დღიანი ტრენინგი სკუტერის მართვაში.

— შესაძლებელია მოქნილი სამუშაო გრაფიკი.

მსურველებმა **CV** გამოგვიგზავნეთ ელმისამართზე: elva@elva.ge ან დაგვიკავშირდით ნომერზე: 595998053

სპანვორდი ჟურნალ „პარუსელიდან“

პარუსელი

უფრო მეტი სპანვორდი, ჯროსვორდი, თავსატეხი და საინტერესო ამბები იხილეთ შემეცნებით - გასართობ ჟურნალში

თარაზულად: 4. ბაღჩეული კულტურა; 10. იგივეა, რაც ლაკლაკი; 11. ვენეციური ნავი; 12. ფრანგი დრამატურგი; 13. ერთგვარი მოლუსკი; 14. გამოუცდელი, ხალხში გამოუსვლელი; 15. მხარე საქართველოში; 17. სახე გვერდიდან; 18. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 20. სხვადასხვაგვარად შეზავებული მოხარშული ბრინჯი; 21. ხელოვნების ოსტატობის უმაღლესი მიღწევა; 24. ბუნებრივი ვენტილაცია; 28. დარდი; 31. „12 სკამის“ ერთ-ერთი ავტორი; 32. ძვ. ბერძენი დრამატურგი; 33. ყვავილი; 34. კოშკის ან კედლის ძველებური საათი; 35. იორდანიის დედაქალაქი.

შვეულად: 1. ქალაქი საქართველოში; 2. ტიტანი ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში, რომელმაც ოლიმპოდან ცეცხლი მოიტაცა და ასწავლა ხალხს მისი გამოყენება; 3. თანამედროვე ქართველი პოეტი; 4. ძვ. ინგლისური ოქროს ფული; 5. საფარი ფენა, რომელიც გარშემო აკრავს რაიმე საგანს; 6. სამშენებლო მასალა; 7. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში; 8. დრო, როდესაც იწყება რაიმე მოქმედება; 9. ისრების ჩასაწყობი ბუდე; 16. იაპონური ან ჩინური დამწერლობა; 17. მრავალცოლიანობა ან მრავალქმრიანობა; 19. ჩაიკოვსკის ოპერა; 21. თხევადი საპონი; 22. სამეცნიერო ხარისხი; 23. აღორძინების ხანის იტალიელი ფერმწერი; 25. ფრანგული ცხვრის ყველი; 26. მინერალი, რომლის წითელი და ყავისფერი კრისტალები წარმოადგენს ძვირფას ქვას; 27. მეხსიერების დროებითი ან სრული დაკარგვა. 28. სახელმწიფო აზიაში; 29. მდინარე რუსეთში; 30 ადამიანის ხნოვანება.

წინა ნომრის ჯროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. რეგატა; 5. დეკადა; 8. სოლანა; 9. ფერარი; 10. ბოხოხი; 11. ქარაფი; 12. ერუდიტი; 16. დაჰაუ; 17. ქიმია; 18. რკინა; 19. ვალსი; 21. ბზობა; 24. ბანკი; 27. ეიფორია; 29. კარატე; 30. პეტეფი; 31. მონტა; 32. ნაცარი; 33. ნახირი; 34. ავარია.

შვეულად: 2. ენოლოგია; 3. ანაკონდა; 4. აბაშიძე; 5. დეფექტი; 6. კარერასი; 7. დერეფანი; 13. რეტრიევერი; 14. დოლი; 15. ტერარიუმი; 20. ლოქო; 22. ზედახორა; 23. ბაზალეთი; 25. ანოტაცია; 26. კომფორტი; 27. ერევანი; 28. ასპინძა.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი
გიორგი თევდორაშვილი

გამომშვები რედაქტორი
გიორგი კვიტაშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები:
ლია იაკობაშვილი; ნათია გორდელაძე
სარედაქციო კოლეგია

მის.: იოსებიძის ქ. №49
ტელ.: რედაქცია: 238-98-88 რეკლამა: 237-78-07
ფაქსი: 238-98-88

contact@kvirispalitra.ge
www.kvirispalitra.ge
სარეგისტრაციო ნომერი 1518
„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებ-გვერდზე:
www.elva.ge ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით:
(+995 32) 2 37 50 03; (+995 32) 2 38 26 74
ადგილზე მიტანა უფასოა!

დაიბეჭდა სტამბა კოლორში

„პალიტრამედიის“ ცხელი ხაზი
2 19 60 13; 2 19 60 53
ან მოგვწერეთ: 91110